ლიტერატურული გაზეთი

№2 (306) 4 - 17 თებერვალი 2022 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი

ბექა ახალაია

სტენტირება

ამ სამი დღის წინ დაემართა მამაჩემს ინფარქტი,
მამაჩემს გულში ჩაუყენეს სტენტები, ორი ცალი.

კარგადაა და ერთ-ორ დღეში გაწერენ კლინიკიდან,
საბედნიეროდ ყველაფერი მშვიდობით დასრულდა,
მაგრამ ვერაფრით ვეგუები, ვერაფრით, მის სხეულში
ჩამონტაჟებულ იმ ორ ლითონს, მიჭირს, გავიაზრო,
რომ რაღაც არის მამაჩემში — არამშობლიური
და სულ ცოტათი საშიშიც კი... ძნელია შეგუება.

ორი ღამეა, ვერ ვიძინებ, დავძვრები ინტერნეტში
და მერამდენედ ვკითხულობ უკვე წაკითხულ სტატიებს
სტენტირებაზე. მინდა, რამე ისეთი გავიგო,
რაც იქნება გამოსადეგი, და ჩავინიშნო.
არც კომენტარებს, სტატიების ქვეშ, ვტოვებ წაუკითხავს —
სტაჟიანი სტენტჩადგმულები გამოცდილებას
უზიარებენ ახალბედებს, ან, სულაც, ჩემნაირებს.
ცოტა ვმშვიდდები, როცა საერთო განსაცდელგამოვლილ
ხალხს ვხედავ, ასე, ჩვეულებრივად რომ ცხოვრებას აგრძელებს.

და მახსენდება ყველაფერი, თავიდან ბოლომდე,
რასაც შეეძლო, ემოქმედა წვეთ-წვეთად, თანდათან,
მამაჩემის გადაღლილ გულზე... განსაკუთრებით:
ჩვენი ულიფტო კორპუსის ბოლო, მეექვსე სართულზე
(სადაც ის ბინა, ახლა რომ ვცხოვრობთ, იაფად ვიყიდეთ.
კაპრონის ძაფით მოესაზღვრათ, კედლებიც არ ჰქონდა),
სამშენებლო ნაგავსაყრელზე მოგროვებული
სხვა და სხვა ფერის აგურები ბიჯაგით ავიტანეთ.
სვენებ-სვენებით აგვქონდა ხოლმე, რადგან მე ვიღლებოდი,
მიუხედავად იმისა, რომ ბიჯაგი წინიდან მეჭირა,
მამაჩემი კი უკან, ქვევიდან, მომყვებოდა
და ბევრად მეტი სიმძიმე, სწორედ, მასზე იყო...
რამდენიც ვთხოვე, რომ ადგილები შეგვეცვალა,
არ დამანება, გაჯიუტდა, ტყუილად ვეცადე...

*

რაც თავი მახსოვს, არ ყოფილა არასდროს გულჩვილი,
სენტიმენტები და ეგეთები არასდროს უყვარდა,
თუნდაც დიდი ხნის უნახავ შვილებს, სალმის ნიშნად,
თავზე ხელს თუ გადაგვისვამდა, და სულ ეს იყო.

რაც ორმოცდაათს გადააბიჯა, მორბილდა ცოტათი,
ამჯერად უკვე, მისალმებისას, კოცნაც კი დაგვიწყო,
ოთხი წელია, გვეხუტება, რაც სამოცს გადაცდა.

*

ამ სამი დღის წინ დაემართა მამაჩემს ინფარქტი,
მამაჩემს გულში ჩაუყენეს სტენტები, ორი ცალი.

ნესტან ეგეტაშვილი

წიგნები წარწერებით

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

1.

გზად ერთი ხიდი ჰქონდა გასავლელი, მაგრამ ხიდის შუაგულს რომ მიაღწია, ციდან ცხრაკლიტული ციხე ჩამოვარდა და შიგ გამოამწყვდია. ციხეს არც კარი ჰქონდა და არც — სარკმელი. ერთი ეგაა, თავზე ჭერის ნაცვლად ზეცა ეფარა. პერანგის სახელოები დაიკაპიწა, შარვლის ტოტები აიკეცა და კედლებზე აცოცება სცადა, მაგრამ ვერაფერს გახდა, ციხე იმსიმაღლე იყო, ცის ნაგლეჯი პაწაწინა მოლაღურივით მოჩანდა. ციხიდან რომ ვერ გამოვიდა, დაჯდა და ლოდინი დაიწყო. შუაღამისას ხიდზე ერთმა კაცმა ჩამოიარა, უხილავი კარი შემოხსნა, დასტაცა ხელი და თან წაიყვანა. ისიც უსიტყვოდ გაჰყვა. კაცმა თავის სახლში მიიყვანა. სახლი ზღვის პირას იყო და გარს ლამაზი ბაღი ერტყა. იმ ბაღში ვაშლის ხე ედგა. ხე ქუდისოდენა ვაშლებს ისხამდა. კაცი ვაშლებს არც თვითონ კრეფდა და არც სხვას აკრეფინებდა, თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. ამიტომაც ხელში მშვილდ-ისარი მიაჩეჩა და ხის მცველად დააყენა. მთელი ღამე არ ეძინა, ხეს დარაჯობდა. გამთენიისას ღოჯებიანი დევი მოვიდა, ვაშლის ხეზე ავიდა და კრეფა დაიწყო. მშვილდ-ისარი მოზიდა, ისარი გატყორცნა და დევს გულში მოახვედრა. დევმა დაიღრიალა, ხიდან ჩამობობღდა და გაუჩინარდა, თუმცა მიწაზე სისხლის კვალი დატოვა. დევის ნაკვალევს გაჰყვა, მაგრამ სისხლის კვალი ერთ ქვასთან წყდებოდა. ქვა გადასწია, თოკის ერთი ბოლო წელზე მოიბა, მეორე ქვას გამოაბა და დევის სოროში ჩავიდა. ჭია-ღუა თვალებსა და კისერში უძვრებოდა. სახეზე და ხელებზე აბობღდებოდა. თვალებს ზიზღით ხუჭავდა, პირში ჩამძვრალ ჭიაყელებს აფურთხებდა. შორიდან დევის ბუყბუყი ესმოდა. ფეხით ჭაობს რომ შეეხო, თოკს ააბობღდა, მაგრამ თავი მაინც ვერ შეიმაგრა და წელამდე ჩაეფლო. გვერდით მიიხედა, კერასთან დედამისი იჯდა — ფაფას ხარშავდა. რას ხარშავ, დედი, ვისთვის გინდაო, გაკვირვებულმა ჰკითხა. შვილი მყავს ავად, იმისთვის მინდაო, შემოესმა. ჭაობში კისრამდე ჩაფლულს ყურში ცხვრის ბღავილი ჩაესმა. სიბნელე იყო, მაგრამ თვალი გაახილა და ცხვარი დაინახა. დაგრეხილი რქები ჰქონდა, გაწითლებული, გადმოკარკლული თვალები. ცხვარს ზურგზე შემოაჯდა, მან კი ვარსკვლავებიან ღამეში გააქროლა. იფრინა, იფრინა და დახრუკულ-დაბუგულ მინდორზე დაეშვა. პაპანაქება სიცხე იყო. ზაფხული იდგა. დამსკდარ მიწაზე გართხმულმა საზამთროებმა ზღვის პირას ჩამწკრივებული შეზლონგები მოაგონა. ცხვრის ზურგიდან ჩამობობღდა, დაავლო ერთ უზარმაზარ საზამთროს ხელი, მაგრამ ისეთი მძიმე იყო, ხელიდან გაუვარდა და შუაზე გადასკდა. გულიდან საზამთროს კურკებივით შავი, სამი მერცხალი ამოფრინდა. დაიჭი, შენი დარდებიაო, მოეჩვენა რომ ცხვარმა უთხრა. ერთ მერცხალს ხელი სტაცა და დახრჩობა დაუპირა, რომ პერანგის სახელოზე ვიღაცამ უღონოდ მოქაჩა. მიიხედა და ჩია ბერიკაცი დაინახა. თუ მოკლავ, ერთი თვალით დავბრმავდებიო, ჩიფჩიფებდა. ყური არ ათხოვა, მერცხალს თითები მთელი ძალით შემოუჭირა, ხელის გული სისხლით აევსო და პერანგის სახელოზე ჩამოეწვეთა. მეორესაც თუ მოკლავ, ორივე თვალით დავბრმავდებიო, განაგრძობდა ჩიფჩიფს მოხუცი, ხელი დაშრეტილ თვალზე აეფარებინა, სისხლი ლოყაზე ცრემლივით ჩამოსდიოდა. გააფთრებული მიუტრიალდა, სისხლიანი მუშტი მოუღერა, მაგრამ არ დაარტყა, გადაიფიქრა. ბერიკაცი კიდევ უფრო მოიკუნტა, ხელები აუცახცახდა. შეშინებული რაღაცის თქმას ცდილობდა, მაგრამ პირიდან გაურკვეველი ბგერები ამოსდიოდა...

ოფლში გახვითქულს გამოეღვიძა. თენდებოდა. ექვსი იქნებაო, ამოიჩურჩულა და საათს დახედა. ექვსს ხუთი აკლდა. ხომ ვთქვიო, შეიკურთხა და ლოგინზე წამოჯდა. თვეზე მეტია, რაც გამთენიისას, ერთსა და იმავე დროს, კოშმარები ესიზმრებოდა. სულ აყალმაყალსა და ჩხუბს ხედავდა. ყვიროდა, სახეზე სისხლმოწოლილი ღრიალებდა. ესღა მაკლდა, მამაჩემიო, ამოიბურდღუნა. გული ძლიერ უცემდა. ისევ დაწვა, ლოგინზე მოიკუნტა და ძილის შებრუნება დააპირა, მაგრამ არ გამოუვიდა. ფიქრის სხვა რამეზე გადატანა სცადა, თუმცა გონება ისევ სიზმრის სურათებს უტრიალებდა, სიტყვები გონებაში თავისთავად იბადებოდა და ქრებოდა.

ადგა. სამზარეულოში გავიდა. მაგიდიდან წამლის თითქმის დაცარიელებული ფირფიტა აიღო. ექიმმა აუკრძალა, მაგრამ უარესი რაღა უნდა დამემართოსო, გაიფიქრა, ენის წვერზე ორი აბი დაიდო და ჭიქაში დარჩენილი ვისკი მიაყოლა. რძისფერი დივნისკენ მთვარეულივით წაბარბაცდა, ზედ მიეგდო და თვალები მილულა: „მამაჩემი სიზმარია... დედაჩემიც სიზმარია...“ — ამოიჩურჩულა — „დამესიზმრნენ და გაქრნენ... ყველაფერი ჩემ გარშემო სიზმარია“.

2.

ვარაზმა გვერდით მიიხედა და მარა დაინახა. ერთი ხელი აგურისფერი პალტოს ჯიბეში ჩაედო, მეორით მხარზე მოგდებული ზურგჩანთა ეჭირა. მძიმე, შავი ნაწნავი თითქმის წელამდე სწვდებოდა. ცაცხვის ყვავილების სურნელი ასდიოდა. გაჩერებაზე ხალხს შორის იდგა და გვერდით მშვიდად იყურებოდა. უცებ აღელდა, აწრიალდა. უცნობის მზერა იგრძნო და ლოყები აეწვა. სიცივისაგან აწითლებული ხელი თმაზე გადაისვა, ზურგჩანთა მეორე მხარზე გადაიტანა და ვარაზს შემკრთალმა მოხედა. თვალებიც რა ლამაზი ჰქონიაო, გაიფიქრა ვარაზმა და თაფლისფერმა მზერამ გულ-მუცელი ისე გაუთბო, თითქოს ნოემბრის ნისლიან დღეს მოულოდნელად მაისის მზემ შემოანათა. მხოლოდ გაზაფხულზე, როცა სახლამდე პირველად მიაცილა, გაიგო მისი სახელი. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და ბედნიერებისაგან თავბრუდახვეული ხუთსართულიანი „ხრუშჩოვკის“ ეზოში წრიალებდა, სახელიც რა უცნაური ჰქონიაო, უკვირდა.

იმ წელიწადს საერთოდაც ბევრი რამით იყო გაკვირვებული. მისი ცხოვრება ანც ბავშვს დამსგავსებოდა, მოულოდნელად ფეხი რომ აედგა და მშობლების უკითხავად აღმა-დაღმა დაეხეტებოდა. მერე და მერე იმასაც ფიქრობდა, რომ სინამდვილეში, ყველაფერი პირიქით იყო, ეს მისი ოცნება გადაქცეულიყო მოუხელთებელ, ცუღლუტ ბიჭუნად.

ივლისში სამი გამოცდა ჩააბარა და სიძველეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. მისდა გასაკვირად აღმა-დაღმა თვითნებურად მოხეტიალე ცხოვრება წარმატებას აღწევდა. რომ მომენდომებინა, ხომ არაფერი გამომივიდოდაო, ბრაზობდა, მაგრამ გულში მაინც უხაროდა. მის ცხოვრებაში ეს პირველი წარმატება იყო და საკუთარი თავის შეფასების წარმოდგენამეტრზე ვერცხლის წყალმაც ოდნავ ზევით აიწია. მაშინ ეს წარმოდგენამეტრიც დედისთვის ჰქონდა მიბარებული, ისევე როგორც თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ აღმა-დაღმა მოხეტიალე ცხოვრება. ჩემთვის ყველაფერი სულერთია, მხოლოდ დედაჩემის ხათრითო, ძმაკაცებთან თავს უხერხულად იმართლებდა. აკი, მათთან გამუდმებით ამას იკვეხნიდა, დავკრავ ფეხს და სამოგზაუროდ წავალ, მთელ ქვეყანას შემოვივლი, ხეტიალში გავატარებ ცხოვრებას, უმაღლესი განათლება რა ჩემი საქმეაო.

დედა დანარჩენ მშობლებთან ერთად მზით გადამწვარ ხრიოკ მიწაზე, ქარისაგან გვერდზე გადახრილი თუთის ქვეშ იდგა და ყოველი გამოცდის შემდეგ კითხვებით სავსე თვალებით ეგებებოდა. შავ-შავი ნაყოფით დახუნძლული ტოტები სიოს წამობერვისთანავე ირხეოდა და მწიფე თუთაც ძირს პანტა-პუნტით ცვიოდა. თუთის ხის ქვეშ ადგილი თუ არ იყო, ყვავილებიანი ქოლგით ზედ კიბესთან ელოდებოდა. რა ქენი? ჰკითხავდა და ავტობუსის გაჩერებამდე უკან ჩრდილივით მიჰყვებოდა. დედის მღელვარება ნათესავების პაწაწინა ბინაშიც ფეხსაცმელზე მიკრული თუთასავით თან მისდევდა. მერე და მერე, მიწასავით დატკეპნილი წარსულის ჯურღმულებში შეჩურთა. ივნის-ივლისში დედამიწის ზურგზე ჩამოქცეული მწიფე თუთით ამოქოლა. დაამაჭრა, დააღვინა, მაგრამ მაინც ვერაფრით დაივიწყა.

სექტემბერში ირაკლისთან ერთად უნივერსიტეტთან ახლოს, მარტოხელა ლილი დეიდას ოროთახიან ბინაში ერთი ოთახი იქირავა. ის და ირაკლი ქირის ფულსაც შუაზე იყოფდნენ. მოხუცებულ ლილის სახლი ქოთნის ყვავილებით ჰქონდა გამოტენილი. ყოველ ნაბიჯზე თეთრი, ვარდისფერი, მუქწითელი გერანები ყვაოდა. მისი სურნელით გაჟღენთილიყო ხმაურიან ქუჩაზე გადმოკიდებული პაწაწინა აივანი, ორთქლისაგან კედლებდაფხავებული, ალაგ-ალაგ კაფელაყრილი სამზარეულო და ჩუქურთმიანი ავეჯით გამოტენილი ლილის საძინებელი. მათ გარდა სახლში ორი კატაც ცხოვრობდა — სიბერისაგან დაუძლურებული ალისა და ცელქი, დაუდგრომელი ცუცა. ნაცრისფერი ალისა სამარის კართან იდგა, ზეზეურად იხრწნებოდა. კუდი კარგა ხნის წინ მოსძვრომოდა, ძლივს დაფახფახებდა. უფროსი შვილიშვილი რომ მოევლინა ქვეყნიერებას, ჩემთან მაშინ მოვიდაო, ვინ იცის, ლილი მერამდენედ ჰყვებოდა. სამშობიაროდან დაბრუნებულს აივანზე სულ პაწაწინა კნუტი დამხვდა, ეტყობა, ხიდან ჩამოხტა და თითქმის სამი ათწლეულია, რაც ჩემი სახლიდან ფეხი აღარც გაუდგამსო. ამ წლების მანძილზე ყველა ჩემი ბედნიერებისა თუ უბედურების მომსწრეაო. თუმცა რამდენიმე წლის წინ, ლილისა და ალისას ჰარმონიულ ურთიერთობაშიც დატრიალებულა ბორბალი უკუღმა. ერთ დღეს დიასახლისს სახლში ახალი კნუტი მიუყვანია, თითქოს წასასვლელად გამზადებული, ნაწყენი ალისა კი შემოსასვლელში გადაბარგებულა. ბევრს ვეცადეო, შესჩიოდა მდგმურებს ლილი, მაგრამ ალისა ჩემს კალთასა და ლოგინში ვეღარ დავიბრუნეო. უკუდო კატა მუდმივად შემოსასვლელში, დაბინდული სარკის ქვეშ იწვა, მხოლოდ ხანდახან თუ ასწევდა სიბერისაგან დამძიმებულ ტანს და ვერცხლისფერი ჯამიდან რძეს უხალისოდ ატლეკდა. სამაგიეროდ ცუცა იყო გაპაპაჯვარებული. სამზარეულოში ფეხის შედგმა და ლამაზი, ფუმფულა, თეთრი, ჩამრგვალებული, ცისფერთვალა კატის გამოჩენა ერთი იყო. ჯერ ფეხებზე გაგეტმასნებოდა, მოჰყვებოდა კნავილს. თუ ვერაფერს გახდ-

ებოდა, პირდაპირ თავდასხმაზე გადადიოდა — კოჭებზე გიკბენდა, წვივებს დაგიკაწრავდა, მაცივრის თავზე ახტებოდა, იქიდან პირდაპირ მაგიდაზე ჩამოხტებოდა და საჭმლის მოტაცებასაც არ თაკილობდა. ცუცასგან დაშინებული მდგმურები პირველ თვეებში სამზარეულოდან საჭმელს ქურდულად ეზიდებოდნენ, თავიანთ ოთახში იკეტებოდნენ და იქ ჭამდნენ. თუმცა, მერე და მერე ცისფერთვალა ბანდიტთან ურთიერთობა მშვენივრად მოაგვარეს, სოფლიდან გამოგზავნილი შაშხისა და სულგუნის მეშვეობით უსიტყვოდ ხელშეუხებლობის ხელშეკრულებაც კი გააფორმეს.

ვარაზმა გვერდით მიიხედა და მარა დაინახა. ყველაფერი დანარჩენი ისე გაბუნდოვანდა, გეგონებოდა სამყარომ ალისას თავზე ჩამოკიდებულ ძველისძველ სარკეში ჩაიხედა. ნოემბერი იყო. ხეებზე შემხმარ ფოთლებს დრო მიწისკენ სვენებ-სვენებით ეზიდებოდა. გაჩერებაზე იდგა და რვა ნომერ ტროლეიბუსს ელოდებოდა. სულ რამდენიმე თვის გადმოცხოვრებული იყო თბილისში და ლილი დეიდას გერანების სურნელი ჯერ კიდევ თავბრუს ახვევდა, უკუდო, მოწყენილი ალისა გულს უკლავდა, ცუცას თავხედობას მდგომარეობიდან გამოჰყავდა, ჯგუფელებს კარგად ვერ უგებდა, ვერც ლექტორებს აწონებდა თავს, მეცადინეობას გულს ვერ უდებდა, არც ქუჩიდან შემომავალი ხმაური და ბუღი აძლევდა მოსვენებას, დედის მომზადებული სადილები ენატრებოდა, მაგრამ გრძელნაწნავიანი გოგო დაინახა თუ არა, უეცრად ქარიშხალი ამოვარდა და ყველაფერ დანარჩენს ზედ უდაბნოს ქვიშა მიაყარა. მარას თაფლისფერმა თვალებმა სიბნელეში ვარსკვლავებივით გამოანათა. ამოისუნთქა. ეგონა, მთელი ცხოვრება ამ გოგოს ეძებდა, ის კი სულ ასე, ხელისგაწვდენაზე იდგა, ერთი ხელი აგურისფერი პალტოს ჯიბეში ჩაედო, მეორით მხარზე მოგდებული ზურგჩანთა ეჭირა. მძიმე, შავი ნაწნავი თითქმის წელამდე სწვდებოდა. ცაცხვის ყვავილების სურნელი ასდიოდა.

3.

შუადღე გადასული იყო, რომ გამოეღვიძა. წამალს თავისი გაეტანა. დივანზევე ჩასძინებოდა, უსიზმროდ და ღრმად. მოთენთილობას გრძნობდა. თითქოს სხეულის დამორჩილება უჭირდა. ძილს ისევ გააგრძელებდა, მაგრამ კუჭი შიმშილით ეწვოდა. ზანტად წამოჯდა. ტახტზე მიგდებული ჯინსი ამოიცვა. ბალიშებიდან მოღეჭილი მაისური ამოაძრო, ქურთუკი აიღო და სახლიდან გავიდა.

ბაღი გადაჭრა და ქუჩის კუთხეში, კაფე „ბროწეულებში“ შევიდა.

— ერბო-კვერცხი, ყველის ბუტერბროდი, კაპუჩინო და ნუშის ნამცხვარი, თუ შეიძლება, — დაზეპირებულივით ჩაილაპარაკა, თითქოს გონებას ძაბავდა, რომ არაფერი გამორჩენოდა.

— და ერთი ბოთლი „ბორჯომი“, — მოღიმარმა ოფიციანტმა ღია ფერის თვალები შეანათა.

— სულ გადამავიწყდა, ერთი ბოთლი „ბორჯომიც“ და საიდან... საიდან იცით?

გოგონამ არაფერი უპასუხა, გაუღიმა და მეორე მაგიდასთან გადაინაცვლა.

„ბროწეულებიდან“ წიგნის მაღაზიაში შეიარა. საუზმემ და მაისის ცინცხალმა ამინდმა ძალა დაუბრუნა, უფრო ცოცხლად ადგამდა ნაბიჯებს. წიგნების თაროებთან დიდხანს იტრიალა. თომას ბერნჰარდის „სარდაფი“ და რეი ბრედბერის „451° ფარენჰაიტით“ აარჩია, წიგნები იღლიაში ამოიჩარა და ისევ ბაღისკენ წავიდა. ამოჩემებული ძელსკამი, უზარმაზარი ჭადრის ქვეშ, დაკავებული აღმოჩნდა. ცოტა ხანს მის ირგვლივ იბოდიალა. ხის სკამი განთავისუფლდა თუ არა, სწრაფი ნაბიჯით ჭადრისკენ გაემართა. დაჯდა, ღრმად ამოიოხრა და „სარდაფი“ გადაფურცლა. ბოლო დროს წიგნებს გულს ვერ უდებდა. სტრიქონებს მხოლოდ ადგილ-ადგილ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ თუ წაიკითხავდა. ზოგჯერ გასართობად ბიბლიომანტიას მიმართავდა. ეს ჩვევა ახალგაზრდობიდან დასჩემდა, რაც ანტიკურ ტრადიციაში გავრცელებულ „Sortes Vergilianae“-ზე (ვერგილიუსით მისნობაზე) გაიგო. ვერგილიუსის მაგიასთან კავშირის გამო, ძველ დროშივე მიმართავდნენ მის პოემას მომავლის ამოსაცნობად. სტუდენტობისას სადღაც ამოიკითხა, რომ „ენეიდას“ სტრიქონებით წინასწარ შეუტყვია თავისი ბედი რომის იმპერატორს — ადრიანესაც. მას შემდეგ საკუთარ მომავალსაც წიგნებში ეძებდა. სხვადასხვა დროს სხვადასხვა კითხვით მიმართავდა ხან ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეას“, ხან „ვეფხისტყაოსანს“, ხანაც მარკუს ავრელიუსის „ფიქრებს“. კითხვებზე პასუხებს საყვარელ წიგნებში ეძებდა. მაგრამ ბოლო დროს მათ მხოლოდ წარსულზე ეკითხებოდა, მომავალი აღარ აინტერესებდა. „სწორად მოვიქეცი?“, ამოიჩურჩულა ახლაც და „სარდაფი“ გადაშალა: „ერთი გაბედვა ჭირს, თორემ თუ გაბედე და გადაუხვიე ძველი გზიდან, ისე გარბიხარ, უკან აღარ იყურები“. „ვითომ?“, თავი დაეჭვებულად გადაიქნია და პასუხს ძებნა სხვა გვერდზე დაუწყო: „ყოველი ადამიანი, სულერთია, ვინც უნდა იყოს და რა საქმიანობასაც არ უნდა ეწეოდეს, მარტოობისთვისაა განწირული. თავის ანაბარაა“. „და ლუკა...“, გაუბედავად ამოიჩურჩულა, წიგნი გადაფურცლა და პირველივე სტრიქონი, რაც თვალში მოხვდა, ამოიკითხა: „ჩვენ ყველას ერთნაირად გვაქვს მისჯილი ეს ცხოვრება, რაც იმას ნიშნავს, რომ სამუდამოდ სიკვდილმისჯილნი ვართ“. „და ეკატერინე?“, ისევ ალალბედზე გადაშალა: „არაა საჭირო აღფრთოვანდე ვინმეთი, ან შეიძულო. რადგან სიძულვილი და სიყვარულიც ადამიანზე ერთნაირად დამანგრევლად მოქმედებს“. უსიამოდ გააჟრჟოლა და „სარდაფი“ სწრაფად დახურა. მუხლებზე დაიდო და ბაღში ხალხს გახედა. მერე თითქოს რაღაცა გაახსენდაო, თვალები გაუნათდა. ქურთუკის ჯიბიდან კალამი ამოიღო, ხელში კარგად დაატრიალა, ეკატერინეს ნაჩუქარიაო, გაიფიქრა, წიგნი ისევ გადაშალა და ყდას შიდა მხრიდან, ლამაზი ასოებით მიაწერა: „ჩემს ლუკას...“. თვალები დახუჭა. ფიქრებში წავიდა. მზის სხივებმა წარსულში დააბრუნა: იმ დღეს ეკატერინეს სახლში მიაკითხა. სულ რამდენიმე დღის დაწყებული იყო მათი ამბავი. „8000 მოსავალში“ „ორგოს“ ნახევრადმშრალი, წითელი ღვინო იყიდა, მანქანაში, სახლიდან წამოღებულ თავის ნივთებში, „Blue De Chanel“-ი ამოქექა და დაისხა. ლიფტს არ დაელოდა, მე-6 სართულისკენ კიბეებს ფეხით აუყვა. ეკატერინე აბრეშუმის ლავანდისფერ კაბაში დახვდა. არაფერი უკითხავს, ხელები კისერზე შემოხვია და საძინებლისკენ წაიყვანა. ახსოვს, ძლივს მოახერხა, რომ ღვინის ბოთლი სადმე შეუმჩნევლად დაედო. საძინებელში თითქოს ზაფხული იდგა. მზის სხივებს ყვავილებიანი ფარდები აკავებდა. ლავანდის სურნელი ტრიალებდა. ეკატერინესაც ზაფხული ჩასდგომოდა თვალებში. მისი ტანი ოხშივარავარდნილ მინდორს ჰგავდა. ყოველთვის, როცა კი იმ სახლში მიდიოდა, ზურგზე აკიდებულ თავის წლებს იხსნიდა და კართან ტოვებდა. იქნებ ამიტომაც მირბოდა ასე ფრთებშესხმული, დაუფიქრებლად, გაუაზრებლად, თავის ახალგაზრდობასთან შესახვედრად.

ოთახში უკვე ბინდი იდგა, როცა შიშველი ეკატერინე ფეხზე წამოდგა და ტუმბოს უჯრიდან კოლოფში ლამაზად შეფუთული კალამი ამოიღო. უნდა წეროო, ყურში ჩასჩურჩულა. ნეტავ, რას გულისხმობსო, გაიფიქრა, მაგრამ ეკატერინეს თვალებში გამკრთალმა უცნაურმა სხივმა ყველაფერს მიახვედრა. მანამდე წერაზე არც უფიქრია. ან იქნებ უფიქრია, ოღონდ ხმამაღლა არასოდეს უთქვამს, თავის თავსაც არ გამოსტყდომია. სიტყვებს რა დიდი ძალა ჰქონიაო, ტანზე ჟრუანტელმა დაუარა. დიდი ხნის საიდუმლო, თავსაც რომ უმალავდა, ეკატერინეს ბაგეებმა გამოამჟღავნა. ეს ქალი გულთმისანიაო, გაიფიქრა და გულში მაგრად ჩაიკრა.

უნდა წერო, უნდა წეროო, ეს სიტყვები ეკატერინეს ბინიდან წამოსულმაც ვერ დაივიწყა. ფეხდაფეხ აედევნა და მთელი ღამე მოსვენებას არ აძლევდა. თითქოს ლავანდისფერკაბიანი ეკატერინე დაპატარავდა და მის ყურში ჩასახლდა. სასტუმროს აივანზე იდგა, აციმციმებულ ქალაქს გასცქეროდა და სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. მეორე დღეს უნივერსიტეტში, თავისი კაბინეტის კარი შეაღო თუ არა, თაროდან „ვეფხისტყაოსანი“ გადმოიღო, გადაფურცლა და პირველივე სტრიქონი, რაც

თვალში მოხვდა, ამოიკითხა: „შევე საჭურჭლეს, რომელსა ფასი არ დაედებოდა, თვალ-მარგალიტი ავიღე, რაც ოდენ ამეღებოდა“.

— რას შვები, ბებერო, — ვიღაც გვერდით მიუჯდა და ხელი მუხლზე დაუტყაპუნა.

შეკრთა და ფიქრებიდან მაშინვე გამოერკვა. თვალი გაახილა, ვარაზი უღიმოდა. არაფერი უპასუხა. მხრები აიჩეჩა და თვალები ისევ მილულა.

4.

ვიდრე გაზაფხულდებოდა, ერთმანეთს ტროლეიბუსის გაჩერებაზე ხვდებოდნენ. თავიდან — შემთხვევით, მერე — განზრახ. პარასკევობით ვარაზი უნივერსიტეტიდან ყოველთვის ნათესავებთან მიეშურებოდა. გაჩერებაზე იმდენ ხანს ყურყუტებდა, სანამ მარას თვალს არ მოჰკრავდა. ისიც შეანათებდა თაფლისფერ თვალებს და შორიახლოს მშვიდად დადგებოდა. ორივე ერთსა და იმავე ტროლეიბუსს ელოდებოდა. ჩამოდგებოდა თუ არა რვა ნომერი, დაიძვრებოდნენ მისკენ. გვერდიგვერდ იშვიათად თუ მოხვდებოდნენ. ადგილიც რომ ყოფილიყო, მაინც არ სხდებოდნენ. იდგნენ და ერთმანეთის გამოსახულებებს ტროლეიბუსის ფანჯრის მინებში ეძებდნენ. ხანდახან ერთმანეთს თვალებით გადააწყდებოდნენ და მაშინვე იბნეოდნენ. მარა მალევე ჩადიოდა, უნივერსიტეტიდან მე-3 გაჩერებაზე. ვარაზი ტროლეიბუსიდან უყურებდა მის გამართულ ზურგს მეტროს ღია, ოხშივარავარდნილ კარებში რომ უჩინარდებოდა. „მივესალმები, გავუღიმებ... ვკითხავ, რა ჰქვია ან რაზე სწავლობს“, ფიქრობდა ხოლმე, სანამ მარა გაჩერებაზე გამოჩნდებოდა. მაგრამ დაინახავდა თუ არა, გეგმები თავზე ხუხულასავით ენგრეოდა, გული ბაგაბუგს უწყებდა და მომდევნო პარასკევის იმედადღა რჩებოდა.

იმ დღესაც ასე იყო. გაჩერებაზე ერთმანეთისგან შორიახლოს იდგნენ და რვა ნომერ ტროლეიბუსს ელოდებოდნენ. უეცრად გზაჯვარედინიდან ავტომობილი გამოვარდა, მეორე უკანვე მიჰყვა. პირველმა მიმართულების შეცვლა სცადა, მკვეთრად მოუხვია, თუმცა ისეთი მაღალი სიჩქარით მოძრაობდა, წრეზე დაბზრიალდა და პირდაპირ გაჩერებასთან ჩამომდგარ ტროლეიბუსს შეასკდა. მანქანიდან რამდენიმე თავპირდასისხლიანებული ბიჭი გადმოხტა და ხალხისკენ გავარდა. მეორე მანქანამ შუა გზაზე დაამუხრუჭა. იქიდან ორი შეიარაღებული მამაკაცი გადმოვიდა და გაქცეულებს სროლით გამოეკიდა. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა — ხალხის კივილი, სროლა, მანქანების სიგნალი ერთმანეთში აირია. ვარაზი ამ აურზაურში მხოლოდ მარასღა ხედავდა, ერთ ადგილზე გაშეშებული რომ იდგა და მთელი სხეულით ცახცახებდა. არაფერზე უფიქრია, ხალხის ნაკადი გაარღვია, მარასკენ შეშლილივით გავარდა და ორივე ხელით მაგრად შემოეხვია. ყველაფერი მალევე ჩაწყნარდა. გაირკვა, რომ არავინ დაშავებულა. უიარაღო დევნილებს თავი სამსართულიანი სახლის სადარბაზოსთვის შეუფარებიათ. იარაღიანი მდევრები კი პოლიციის მანქანების ხმების გაგონებისთანავე შუა გზაზე გაჩერებულ მანქანაში ჩამხტარან და გაქცეულან. ოღონდ ვარაზს იმ დღიდან მთელი ერთი წელიწადი, ორი თვე და თექვსმეტი დღე მარასთვის ხელი აღარ გაუშვია.

5.

— რა იყო, აღარ მელაპარაკები? — ვარაზი ძელსკამის საზურგეზე გაიზმორა, გრძელი ფეხები თავისუფლად გაშალა და წინ მოგოგმანე მტრედები დააფრთხო.

თვალები გაახილა, ვარაზს უხალისოდ შეხედა და კარგა ხნის მერე ჰკითხა:

— გუშინ სად იყავი, რომ არ გამოჩნდი?

— დაბადების დღე მქონდა.

— რამდენის გახდი?

— ოცდაორის. და შენ რას შვრებოდი, ბებერო? ახალი წიგნები შეგიძენია? — ხელიდან რეი ბრედბერის „451° ფარენჰაიტით“ გამოართვა, გადაფურცლა. წარწერა — „ჩემს ლუკას...“ წაიკითხა და ჩაეცინა, — რატომ არ უგზავნი? ასეთი წარწერიანი წიგნებით ხომ ისედაც გაქვს სახლი გადავსებული — თაროები, ჭურჭლის კარადები, სათავსოები... ოთახებში სვეტებად აკოკოლავებული... გაუგზავნე, ერთი მაინც, რა მოგივიდა? მე არ მიჯერებ, არ მიჯერებ, იქნებ ბრედბერის მაინც დაუჯერო, — „451° ფარენჰაიტით“ თვალდახუჭულმა გადაშალა, მერე ალალბედზე ჩახედა და კითხვა დაიწყო, — „არასოდეს მოითხოვო გარანტია და უშიშროება — ასეთი ცხოველი არ არსებობს, ან თუ არსებობს, ალბათ იმ ზარმაცი მაიმუნის ნათესავია, რომელიც თავდაყირა ჰკიდია ხეზე და მთელ ცხოვრებას ძილში ატარებს“, — კმაყოფილმა ჩაიკითხა და მეგობარს ნიშნისმოგებით გადახედა, — ესეც მე ვარ?

— ანუ, რაო? — ნაწყვეტის მოსმენა ხელახლა უნდოდა, მაგრამ ვარაზს გამეორება ვეღარ სთხოვა.

— გაუგზავნე, თუნდაც ერთი წიგნი, — მუდარით სავსე თვალებით მიაჩერდა, — მამაჩემს ერთი წერილი რომ მაინც გამოეგზავნა, სიხარულისგან ცას ვეწეოდი... მართალია, კომპასი უფრო გამიხარდებოდა...

— და წიგნზე რას იტყოდი?

— ახლა წიგნზეც თანახმა ვარ, მაგრამ ბავშვობაში კითხვას ვერ ვიტანდი, ჭირივით მეჯავრებოდა... — გაიღიმა.

— გუშინ ჩემი დაბადების დღეც იყო, — კარგა ხნის დუმილის შემდეგ ამოიჩურჩულა.

— გილოცავ, ბებერო, ხომ გეუბნებოდი ერთმანეთს ვგავართ, რაც არ უნდა მოინდომო, მაინც ვერაფერს დამიმალავ-მეთქი, რამდენის გახდი?

— ორმოცდაცხრამეტის...

— უფრო დიდი მეგონე, — წამოიძახა და მაშინვე ენას კბილი დააჭირა, —მაპატიე... და აღნიშნე?

— ჩემი და მესტუმრა, ტორტით და შამპანურით, — ჩაიცინა და ხელი უიმედოდ ჩაიქნია.

— და გყავს? ჩემთან რომ არასდროს გიხსენებია?

— მეც გვიან გავიგე... ღმერთი მოწყალეა, ყველა რომ წამართვა, სამადლოდ ერთი და გამომიგზავნა.

— როგორც ზღაპრებში?

— როგორც ზღაპრებში, — გაიმეორა და მხრები აიჩეჩა. მერე გადაწყვიტა, ხვალ ლუკასთვის ქართული ზღაპრების წიგნი ეყიდა...



ბექა ახალაია

ვერეს ხეობა

არადა, თითქოს, უწყინარი, პატარა და მშვიდია,
შეხე, ქვის უკან, იმ საყვარელ, ერთი ბეწო მორევს,
როცა აიწყვეტს, სულ სხვა ხდება. მოდიან და მიდიან
სატვირთოები — სამშენებლო ნარჩენების გორებს
ახლებს და ახლებს უმატებენ, კოშმარია, გზის გასწვრივ,
მთელი მარცხენა სანაპირო ნაგავს მიაქვს და არც
არავინაა განმკითხავი. ხმას თუ ვინმეს მიაწვდენ,
თითს გაატოკებს?! კი, გეგონოს! იოცნებე! დამრეც

რიყეზე, ზოგან, ქვევით ჩადის ნაგვის მთელი ნაშალი,
და, ქალაქიდან მოტანილი, ისევ უკან ჩააქვს
მდინარეს, ვითომც არაფერი. მოკლედ, ასეთ საშინელ
დღეშია ირგვლივ ყველაფერი. ზევით წყნეთის გზაა
(მარჯვნივ, კლდის თავზე), სულ ზევით კი — ეკლესია, ზარის ხმა
აქამდეც აღწევს. მარცხნივ, სერზე, სერპანტინი ადის,
ისეთი ვიწრო და ციცაბო, არა, არ ღირს გარისკვა,
შესაბამისად, მანქანები, უფრო სწორედ, მათი

მძღოლები ასეც იქცევიან, და უვლიან შორი გზით,
მაგრამ, ხანდახან, ეზარებათ — ზოგიერთი, თავზე-
ხელაღებული, ექსტრემალობს, შედეგად გვაქვს მორიგი
ფიასკო — ამოყირავება. აბრებიც დგას (აზრი?!),
რომლებზეც მსხვილი, ყავისფერი ასოებით წერია,
რომ არ ღირს თავის გამოდება, მოერიდონ... თუმცა,
როგორც უკვე ვთქვით, ზოგს არ ესმის. მერამდენე წელია,
ამ ღრანტეებში დავსეირნობ, ხომ იცი და, უცებ,

თვალწინ დამიდგა ყველა, ვისაც ვშველოდი, ან თავისით
ძვრებოდა ხოლმე მანქანიდან, დაშოკილი, ძლივს რომ
ატრიალებდა პირში ენას, ვამშვიდებდი, რა ვიცი,
მე რაც შემეძლო, ვაკეთებდი, და პატრულშიც (თვითონ,
აბა, სად ჰქონდა მაგის თავი) ვრეკავდი და პატრულის
შავი „პიკაპი“ მოდიოდა, მოუძღოდა ამწე
ევაკუატორს... მერე, თითქოს, წამში ქრები. ჩათვალე,
აღარ არსებობ, ფანტომი ხარ, ვერ გამჩნევენ, აწი

ვიღას ჭირდები... აი, ასე! მადლობები?! კაი, რა!
დამშვიდობებაც ავიწყდებათ. მხოლოდ ერთხელ ერთმა
(თავისებურად ჯიგარი და დადებითი აურის
მქონე ტიპია) გამომართვა ნომერი და ჩემთან
დავლიეთ, მგონი, მესამე დღეს. „მადაგონის“ ლუდი და
სხვა ბევრი რამეც მოიტანა... იმ კოტეჯში ვიღაც
მხატვარი ცხოვრობს, დაქნეული ბებერია, უდიდეს
ფერმწერად მოაქვს თავი, მაგრამ სულ ტყუილად. მიხვალ

(ყველას პატიჟებს, ვინც ჩაივლის ახლომახლო) — მაშინვე
შინიდან გარეთ, აივანზე, გამოიტანს თითქმის
ყველა ნახატს და ჩაამწკრივებს, ხელს ჩაგკიდებს, საშინლად
კომიკურია (ალბათ, ცოტა სევდიანიც), სიტყვით
როგორ გამოდის, ორატორობს, არ იღლება, ნახატებს
გიხსნის ბოლომდე, დეტალურად, გეგონება, ისეთ
რამეებს ხატავს, აღქმა ჭირდეს, ვერ იგებდე, არადა,
რეალისტური, სტანდარტული ფერწერაა, მისი

აზრით კი ნაღდი ნოვაცია, ავანგარდი... მშრალ ხიდთან
ასეთ პორტრეტებს, პეიზაჟებს, ნატურმორტებს ოხრად
ნახავ, იყიდი იაფადაც, ეს კი: აბა, წავიდაააა!
ადებს და ადებს მსუყე ფასებს... გეუბნები, უქრის...
სასაფლაოა იქვე, ახლოს. გადაუხვევ, გაივლი
ცოტას და — Bingo! მანდ მარხია ის საწყალი ბიჭი
(ოპერატორი), აქციაზე რომ ცემეს და, მალევე,
ლოგინში, დილით, მკვდარი ნახა დედამისმა... მიჭირს

უემოციოდ იმ ყველაფრის გახსენება, ბევრი სხვა
რამისაც, მაგრამ იქით იყოს... საბაგიროს იქით,
ხიდთან ვარ ერთხელ, გაუშლია — თითქოს, ფრთები შეისხა
(თუ გამოისხა, როგორცაა) — მკლავები და, ტიპი
მოფრინავს. მაგრად დავპანიკდი. თურმე, ფეხზე თოკი აქვს
ჩაბმული. სანამ მივხვდებოდი, რა ხდებოდა, ორნი
(გოგო და ბიჭი) — ერთმანეთზე მიკრულები მოქრიან
რაკეტასავით, ნუ იტყვი და, თან უღებენ — დრონი

დაფრინავს ზევით. რავი, აბა, იქნებ, ვინმემ ამიხსნას,
როუფჯამფინგი თუ ჯანდაბა, რა სპორტია, რა რჯით?!
ერთი მაგათიც... გზას ავუყვეთ, სასროლეთის სამიზნე
ფურცლები მომაქვს, ტყვიებიც და... საერთოდაც, დავრჩეთ
ამაღამ, შენ ხომ კარგად მიცნობ, ისიც ვიცი, ნაკლებად
გჯერა შეცვლის და, მითუმეტეს, ჩემს ასაკში შეცვლის,
მიყვარს ტყე-ღრეში ხეტიალი... რომელია?! რვა ხდება
(ათი უკლია — ბ. ა.), ღამით — კარავი და ცეცხლი.

ენი

ენი მოუკვდა ჩემს მეგობარს, განიცდის ძალიან,
ერთი წლისაც კი არ ყოფილა, ასაკი არ ვიცოდი.

ამ ზაფხულს, როცა ჩემს მეგობარს დავურეკე (მინდოდა, მენახა),
მითხრა, მცალია, მაგრამ ჩემები ბათუმში არიან და
მაკე ენის მარტო ვერაფრით ვერ დავტოვებო.

სხვა რა გზა მქონდა, სახლში ვესტუმრე იმავე საღამოს,
ორი დღე ვსვამდით, თან ვდარაჯობდით მაკე ენის.
მასთან ფოტოც კი გადავიღე: მუცელგაბერილი,
მოწყენილია, მუხლზე მიზის, კადრს მიღმა იყურება...
წამოვედი და მასპინძელი დავტოვე სადარაჯოდ.

ცოტა ხნის მერე ისევ ვესტუმრე მეგობარს და
ისევ დალევა — სიგარეტის ნამწვები, ბოთლები
(ენის უკვე ემშობიარა, დედობას ეჩვეოდა)...
გამთენიისკენ წავუძინეთ. კარგა ხანს გვეძინა.
ენის შვილებმა გამაღვიძეს, ჩემს შუბლზე ერთმანეთს
გამწარებით რომ ეჩხუბებოდნენ, უხმოდ და სასაცილოდ.
ენი კი იქვე, ფეხებთან მეჯდა, გვიყურებდა,
როგორც მივხვდი, ბედნიერებით სავსე თვალებით...

საწყალი ენი, ლამაზი ენი გუშინწინ მომკვდარა,
ჯერ ერთი წლისაც არ იყოო, მომწერა მეგობარმა,
ვისთან არ გვყავდა, სად არ გვყავდა, ვერაფრით ვუშველეთოო...
როგორც ჩანს, ზოგი მათგანისთვის არაა საკმარისი
მოსიყვარულე პატრონები, საჭმელი, თბილი სახლი,
და, ჩვენსავით, მოიწყენენ და სპლინით კვდებიან.

ლამაზი ენი, საწყალი ენი ხის ძირას დაუმარხავთ...
მე კი ვზივარ და ლექსს ვწერ მასზე, ჟღალ-წითელ კატაზე,
როგორც მოხუცი ოპოსუმი — ტომას სტერნზ ელიოტი.

გაცემის ხელოვნება

მე მყავს ძმაკაცი, შეპყრობილი გაცემის მანიით,
ამას აკეთებს მთელი ვნებით, მთელი მონდომებით.

თუ დაკარგვაში დახელოვნება მარტივი საქმეა
(როგორც ბრწყინვალე თავის ლექსში პოეტი გვეუბნება),
ალბათ, რთულია, გაჩუქებაში დახელოვნდე,
უფრო სწორედ, შეუძლებელიც კი მგონია,
ასეთად უნდა დაიბადო, იმთავითვე ასეთი უნდა იყო —
გაცემის დიდოსტატი, ნამდვილი მაესტრო.

ჩემი ძმაკაცი შეპყრობილია გაცემის მანიით,
აღარც კი მახსოვს, რაც დავძმაკაცდით, რამდენი რამე მაჩუქა,
თიკანაძის ფოტოალბომი — ეს იყო ბოლო,
მანამდე — ბესიკ ხარანაულის უშველებელი წიგნი,
უფრო მანამდე — ტყავგადაკრული, ძვირფასი მათარა,
და კიდევ უფრო მანამდე კი — დაწნული სამაჯური,
და ასე შემდეგ... მჩუქნის და მჩუქნის, არაფრით ბეზრდება.

განა მხოლოდ მე?! სხვებსაც, ყველას, ვინც მისთვის ძვირფასია,
ის არ წერს ლექსებს, თუმცა, ალბათ, ლექსებსაც უპრობლემოდ
გააჩუქებდა, სამაგიეროდ ყიდულობს ჩემს კრებულებს
და ჩუქნის თავის თანამშრომლებს, ჩუქნის (ექიმია),
კლინიკაში კი პაციენტებს ჩუქნის სიცოცხლეებს,
ყველაზე ძვირფასს, რაც შეიძლება, ვინმეს რომ აჩუქო
(ჩემთვის ეგ ჯერ არ უჩუქებია, ოდესმე მაჩუქებს)...

ერთხელ წავედით, ნასვამები, დიდუბის პანთეონში,
კონიაკით ჩამოვუარეთ ძვირფას საფლავებს,
დრო გაგვეპარა, თან ისე, რომ ჩაგვკეტეს, არც ახსოვდათ,
იქ თუ ვიყავით, ჩვენ კი, უკვე საკმაოდ მთვრალები,
ვერ გადავძვერით პანთეონის მაღალ გალავანზე,
და გადავწყვიტეთ იქ დარჩენა, სამყოფი კონიაკი
და სიგარეტი თან გვქონდა და დილამდე შევუბერეთ.

როცა სადღაც, კორპუსებს მიღმა, ოდნავ ინათა,
ჩემს ძმაკაცს უცებ შემოაწვა ვნება გაჩუქების,
ჯერ დააპირა პერანგის ან პიჯაკის ჩუქება,
მაგრამ ჩემზე მაღალია და გადაიფიქრა,
ვეცადე, თუმცა ვერ შევძელი — არაფრით დაიშალა,
და მოიქექა ჯიბეები, როგორც იქნა, საფულეს მიაგნო,
მქონდა საფულე, შეყვარებულის ნაჩუქარი,
ამიტომ ცოტა შეყოვნდა, მერე საქ. ბანკის ბარათი
ამოიღო, გამომიწოდა, შენი იყოსო,
რა თქმა უნდა, არ გამოვართვი. არ დანებდა და
ბოლოს თავისი პირადობა მაჩუქა — სახელი:
გურამი; გვარი: თავართქილაძე; პირადი ნომერი: ...

* * *

ჩემი სახლის წინ
ისევ აყენია Fiat 500,
თეთრი, წითელი სარკეებით
და კართან წითელი ზოლით,
მისი პატრონი ეძებს გასაღებს,
თუმცა არა,
ის ჯერ კიდევ საშხაპეშია,
გარუჯული ტანიდან გელს იშორებს
და ამ მომენტში მისი ხელები
ნერვიულად ეხება გულ-მკერდს,
არც თმის დაბანა
უნდა იყოს მარტივი საქმე,
მადლობას ვუხდი ცხრავე
შემქმნელს,
მიკელე ჩერიანოს,
რუფიას,
ბრიკერაზიოს,
ჩეზარე გატის,
ვენტიმილიას,
ლუიჯი დამევინოს,
ჯოვანი ანელის,
კარლო რაკას,
სკარფიოტის,
მადლობა თქვენ
დიდებული ქმნილებისთვის,
მადლობა ტურინს,
ტურინის ცხენს,
ნიცშეს და ბელა ტარს,
სიცოცხლე ფიატს,
სანამ მანქანას დაძრავს,
მომცემს წუთს მაინც
გასაშტერებლად,
სულ ტყუილუბრალოდ
ვუსაყვედურე მშობლებს,
მეოთხე სართული იდეალურია,
მუხლს ზემოთ
მიჰყვება შავი, თხელი კაბა,
მთლიან კიდურზე ფიქრი
შემაწუხებლად რთულია,
ლუქის მოძრაობა,
სხეულს არც ერთი ხალი, წანაზარდი,
თუ ლაქა არ ეკარება,
სარკეს ასწორებს და მისი მკერდი
სალონის სიცხით უფრო ხურდება,
მის გარშემო არავინაა და ეს მაშინებს.

* * *

როცა ხიდს ვკვეთ
აგზნებული, აღტაცებული,
და ჩემი მზერა ებჯინება
ხელუხლელ წერტილს,
უცხო თვალი მანქანიდან
დამაკვირდება
და გაიფიქრებს,
რომ გულაყრილი ისევ ვდარდობ
ძველ სიყვარულზე,
რომ იდიოტთა შორის
პირველი ვარ უკონკურენტოდ,
როცა ღიმილი სახეს ჰპარავს
იდუმალებას,
რომ თავად ვარ მესაჭე ახლა,
უფრო მარტივი მისი ვერსია,
რომ ხიდზე ასე არავინ დადის,
თან იმ სიჩქარით თვალს
ვერ ასწრებს ადამიანი,
იმედგაცრუებული გადასწრებას
გადაიფიქრებს,
დე, მოთმინებით ამოუდგეს
ძველისძველ „პეჟოს“,
რაც მთავარია,
გულისყურით დამაკვირდეს
უკანასკნელად,
თუ რას ვაკეთებ ხიდზე
ამგვარი სახით,
ვწერ და ვწერ,
დანაშაული ასე ცხადი
და დაფარული ჯერ
არ ყოფილა,
ჩემს პოეზიას მოწმეები
არ დაელევა.

* * *

ავტობუსი არასოდეს იგვიანებს,
წამის სიზუსტით ის მაშინ მოვა,
როცა სხვისი აწმყო განმეორებით
ათვლას დაიწყებს,
შენი კუთვნილი ხომ არასოდეს
გადატვირთულა.
საქარე მინას შესისხლული
ათობით ჩიტი,
თავსხმა წვიმა,
შვილის ზარი,
მინერალური წყლის მოქმედება,
მოხუცი,
მოხუცი ჯოხით,
მოხუცი ეტლით
მოხუცთან ერთად,
ასევე ეტლით,
ავტობუსი არასოდეს იგვიანებს,
ბარ-რესტორნებს შორის დასრიალებ,
დასრიალებს ოთხფეხა თქვენს ასაკრეფად,
ისინი ისევ დარჩენას გთხოვენ,
როცა სხვისი აწმყო განმეორებით
ათვლას დაიწყებს,
გაიღება კარი,
ერთ ადგილას შექუჩებული
ხალხი გადმოარწყევს
მცირედ ემპათიას,
ფეხი კი უკვე
რა ხანია,
აღარ გიცურს,
შეიძლება ორზე მეტ ნაწილად
დავყოთ ყოველივე,
ამ ამბავს კი მხოლოდ
ორი მხარე აქვს.

* * *

ვიცოდი, შენი გახსენების
გარეშე დღე არ
ჩამთავრდებოდა,
და სწორედ ახლა
შუქი ჩაქრა,
შორეული შენი ნათება აქამდეც აღწევს,
შენი სახე არც ერთი წამით
სხვა თავშესაფარს
არ ეძიებდა,
ასეთი მკაცრი, ვფიქრობ,
ბუნება აღარ იქნება,
რომ ვერ გავუძლოთ დაუსრულებელ ბორიალს
ჩაბნელებულ ქუჩაბანდებში,
შენი თვალები საათის ღამეულ
რაკუნზე უფრო მშვიდია,
ხოლო შორეული ნათება
მთელ სამყაროს გადასწვდება დღეს.

* * *

უმეტესად ცას ვუყურებ
ან კიდევ მიწას ჩავშტერებივარ,
მხოლოდ მათ შორის
გამოკიდებული მშვენიერება
თუ გამახედებს წინ,
დღეს, როცა წიგნების
პირველ თაროს ზედაპირული
ინტერესით ვათვალიერებდი,
ჩემმა სახელმა გამიშუალედა
ძირს დამსკდარი,
დაკარგული მზერა,
ძველ ნათებაზე უფრო
მკვეთრი და კაშკაშა
მისი თვალები,
კარგად გაწმენდილ
სათვალეებში ეს სილამაზე
უკეთესადაც აღიქმებოდა,
და სხვათაშორის ხმა
არც ერთგან არ გაბზარულა,
მშვიდი ვიყავი,
რადგან მოსაპოვებელი
არაფერი იყო,
ის უკვე მოიპოვეს,
თუ სწორად მახსოვს,
ორიოდე წლის წინ,
უელბეკის „სეროტონინს“
ხელი დავავლე,
გვერდით კი ნამდვილი
„სეროტონინი“ მედგა,
თხუთმეტ ლარამდე დაჯდა,
ხოლო ჭეშმარიტის ფასზე
წარმოდგენა არ მაქვს,
სადმე გადავაწყდები მის შეყვარებულს,
ვკითხავ,
კითხვას ხომ არ შეეშვა,
ან რომელ გვერდზეა,
ან იქნებ ხელმეორედ
წაკითხვა უნდა,
კარგ წიგნს ხომ რამდენჯერმე
კითხულობენ,
მაგრამ არა — სამუდამოდ,
რასაც მე ვაპირებ ძველ ნათებაზე
უფრო მკვეთრი და
კაშკაშა თვალების გამო.

* * *

მინდა, ყველაფერი პოეზიამ
ჩაყლაპოს
მანამ, სანამ
უსხეულო სილამაზე ბეტონის
გროვად გადაქცეულა,
გადაქცეულა გიგანტურ კონსტრუქციად
სხვათა დასაშინებლად,
მოპირდაპირე მხარეს ჯეელები
მონდომებით ილუკმებიან,
მათთან სანაპიროზე გაწოლილი გოგოს
ტრაკს ისევ ტრაკის ფორმა აქვს,
რა იქნება თუ ბეტონს
სისხლს შევურევ?
ანდაც ვიქირავებ ბინას
რამდენიმე თვით და მის
ჩამოდნობას დაველოდები,
ალბათ, უფრო ღამით,
რათა საწყის ფორმასთან
ისევ შევძლო ურთიერთობა.
მინდა, ყველაფერი პოეზიამ ჩაყლაპოს,
მანამდე ხომ ყოველივეს ეძლევა შანსი,
ახლა კი ხმისამოუღებლად
შევძლებ,
მოვისროლო მოუნელებელი ნარჩენები,
არადა, ვიცი,
პოეზიას ყველაფრის მონელება შეუძლია,
ჩემს გარდა.
და თუ ერთხელ მაინც
მოინდომებს პირის უფრო
ფართოდ გაღებას,
მუცელს მოვაშორებ დიდი ხნის
წინ ჩაწყობილ ქვებს,
პოეზიას ქვები ვერასოდეს
დაანაყრებს.

* * *

რა ხდება მაშინ,
როცა ერთად ყოფნა
შეუძლებელია
და ამას ემატება
ცალ-ცალკე ყოფნის
შეუძლებლობაც,
წინასწარ ვერაფერს ვხვდები,
მაგრამ ის კოცნა
პირველად მივამსგავსე
ბოლოს,
ახლა,
როცა გემოს ვერ გრძნობ,
ვერც ერთ სურნელს
ვერ გაარჩევ,
ისევ კოცნას
გთავაზობ,
მძულს ყველა კითხვა,
ისინი ასე დაჟინებით
ითხოვენ თვითგამორკვევას,
ანალიზს და შეფასებას,
რაღაც აუცილებლად თვითკმარი
უნდა იყოს და
აგრძელებდეს არსებობას
დაუსრულებლად,
ჩემი ნაწილაკივით,
რომელსაც შენი სხეული
უცხოდ აღიქვამს,
დღემდე მჯერა,
როცა გასვლას ითხოვდი,
სულის მოთქმა გჭირდებოდა
და სხვა მიზეზი არ არსებობდა.

ამირან ბასილაშვილი

იქაური ნოველები

მარიამობის ქლიავი

„დედაბერს შვიდი სოფლის დარდი აწუხებდა და იმის დარდი კი არავის ჰქონდაო“.
ხალხური ანდაზა

სანამ არ დაბრმავდა მარო, იქამდე არავინ იცოდა, რომ მარჯვენა-მარცხენაში ვერ ერკვეოდა. მარჯვნივ შეტრიალდი დედი, ბაბო ან მაროო, — ეტყოდნენ და ის მარცხნივ ტრიალდებოდა. რაღა უნდა ექნათ, უკვე გვიან იყო მარჯვენა-მარცხენის სწავლა, როგორმე უნდა მოეთმინათ ასეთი მარო.

სანამ ხედავდა, დღე და ღამე მუშაობდა. მაგ მუშაობამ უყო, ჯერ მხედველობა დააკლდა და ყურადღება რომ არ მიაქცია, სულ დაბრმავდა. ერთ დროს სხვათა მომვლელი და ყურის მგდებელი, თვითონ გახდა მოსავლელი და ხელი-ხელ სატარებელი. მარო სიბრმავეს ვერ ეგუებოდა, ყოველდღე გაიძახოდა, თვალთ დღითიდღე მაკლდებაო, არადა თვალის ჩინი წლების წინ დაეკარგა. შეუგუებლობას იმედითაც გამოხატავდა, ფიქრობდა რომ ერთ დღესაც შეიძლებოდა თვალში სინათლე დაჰბრუნებოდა, რადგან იმაზე დიდი ბოროტება რა უნდა ყოფილიყო, ასეთი გამრჯე ქალი დაბრმავებულიყო.

იჯდა მარო სახლში, თავის სავარძელში მოკალათებულიყო და ჭამდა და სვამდა, რასაც ხელში ჩაუდებდნენ. გარეთ კი მაროს გარეშე იფურჩქნებოდა ვაზი, იკრიფებოდა ვენახი, დუღდებოდა ბადაგი, ივლებოდა ჩურჩხელა, ითესებოდა ლობიო, კიტრი, პომიდორი, ირწყვებოდა, იზრდებოდა, შემოდიოდა და იკრიფებოდა.

სიმხნევე არ დაჰკარგოდა, მაგრამ ამ თვალებს რა ვუყო, ღმერთოო, იტყოდა, ვითომ იმას ძალიან ადარდებდა მაროს და მაროსნაირების სიბრმავე. მაროს გული უგრძნობდა, რომ ეს სიმხნევე აძლებინებდა, რა დღესაც მხნეობა მოაკლდებოდა და იმედის ნაპერწკალიც გაქრებოდა, მაშინ საამქვეყნო პირი აღარ დარჩებოდა. და ეს დღეც დადგა. თავი სუსტად იგრძნო, მოიღვენთა. და ჩაწვა მარო. ჩანდა, ვეღარ ადგებოდა. ნიშნები საკმარისი იყო და გადარეკეს აქეთ-იქით, დედათქვენი ვერ არი კარგადო. დედა კარგად რომ ვერ იყო, კი იცოდნენ მაროს გოგოებმა, მაგრამ ეს სხვა რამესა ნიშნავდა, იქითკენ არის და იცოდეთო. მოლაგდნენ. ოღონდ სიკვდილის სუნი დატრიალდეს და ვინ არ მოვა. არაფერი დარჩენოდა მაროს სანატრებელი, მარტო მარიამობის ქლიავსა ნატრობდა. ეს რომ შვილიშვილმა მოისმინა, ბებიას მარიამობის ქლიავი მონდომებიაო, მამას, ქალაქელ კაცს, ჰკითხა, რასა ნიშნავსო. მე რა ვიცი, ალბათ, ქლიავი, რომელიც მარიამობისთვის მწიფდებაო — იყო პასუხი.

მარიამობამდე კი ბარემ ნახევარი წელი იყო დარჩენილი. მარო მარიამობას ვეღარ მოესწრებოდა, ვეღარც მარიამობის ქლიავს შეჭამდა.

უკვდავების წყარო

ეთერა მარტოხელა დედაკაცი იყო. ბედისგან ისე გამოსულიყო, რომ მარტო სწევდა ცხოვრების ჭაპანს. თუმცა რაღა ბედისგან, მთხოვნელი არ აკლდა ახალგაზრდობაში, მაგრამ ეს ყველას ცხვირს უბზუებდა — დაბალიაო, მსუქანიაო, გამხდარიაო, ფერმკრთალიაო, მუწუკებიანიაო, მელოტიაო, ყასაბიაო, წიგნის ჭიააო. უნაკლო კაცი ეთერასთან არ მივიდა და დარჩა ესეც ცალად.

ეთერა საბავშვო ბაღის დირექტორად იყო ერთხანს. მაშინ იყო, ცეკვის მასწავლებელთან რომანი რომ გააბა, ოღონდ ფარულად და უიმედოდ, რადგან ცეკვის მასწავლებელი ცოლ-შვილიანი იყო და მათი ერთად ყოფნა ვერ გამოვიდოდა. ეთერამ, რა თქმა უნდა, ეს იცოდა, მაგრამ უკან მაინც არ დაუხევია და ძლივს უნაკლოდ აღქმულ კაცთან თავდავიწყებულ სიყვარულს მიეცა. აღქმულ იმიტომ, რომ უნაკლო როგორ იქნებოდა, უფრო ასაკისა იყო, ასაკს ნაკლებად წუნია გაეხადა.

რთულია თქმა, მართლა ასეა თუ არა, მაგრამ მარტოობა მოხუცებულობაში დიდი სატანჯველიაო, ამბობენ. ეთერას ტანჯვისა არაფერი ეტყობოდა, ფეხსაცმელებიდან ნაპერწკლებსა ყრის, პატარა გოგოსავით არიო — მეზობლები ლაპარაკობდნენ. ეთერაზე კარგად ვინ იცოდა საკუთარი თავისა. საღამოს საქმისგან მოღლილი წამოწვებოდა საწოლზე და ის არცთუ დიდხანს გაგრძელებული დრო აგონდებოდა, ცეკვის მასწავლებლის მკლავზე რომ ედო თავი და თვალებით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, ხმას არ იღებდნენ, თითქოს უსიტყვოდაც ესმოდათ ერთმანეთის. ეს ეთერას ფიქრების სატკივარი იყო, სულიერი ამბავი, თუ შეიძლება, ასე ითქვას, ჯანმრთელობის სატკივარი კი სხვა ჰქონდა — თვალებმა უმტყუნა, ატყობდა ეთერა, მხედველობა უქრებოდა თვალებში.

მეზობლის ბიჭები თბილისში ხშირად დადიოდნენ, თან საქმეზე, თან საქეიფოდ. ეთერამ წყალი დააბარა, ავლაბრის გადმოკიდებული კლდეებიდან რომ გადმოდის. ხმა იყო დავარდნილი, რგებს ეგ წყალი თვალებსო.

ეთერას წყალი მოუტანეს და იმანაც იბანა თვალი ამ წყლით და, მიამა, შვილოო, კი უთხრა მეზობლის ბიჭს, მაგრამ ის აღარ იცოდა, რომ ამ ბიჭებმა მოატყუეს. წყალთან გაიარეს, ე წყალი საიდან ჩამოდისო — ერთმა იკითხა ყასიდად. საიდან და ავლაბრელი სომხები აფსავენ და იქიდანო — გაიცინეს და მერე მთვრალებმა გამოიარეს. ეთერას დანაბარები ყურყურაზე გაახსენდათ და იქ გაუვსეს ხუთლიტრიანი...

სანათა

მზის ამოსვლამდე ადგება და საქმეს დაიწყებს. მილზე შლანგს დააერთებს და ბოსტანში კიტრებს მიუგდებს. საქათმეში შევა, ჯერ კიდევ გამოუფხიზლებელ და ქანდარაზე შემომსხდარ ქათმებს დააფრთხობს, საკენკს მიუყრის. წინასწარ შეთვალიერებულ მამალს ხელს სტაცებს და დაიჭერს. შეთქმული ჰყავს წმინდა გიორგის სახელზე.

ეზოში მავთულზე გაფენილ სარეცხს აკრეფს და სახლში შეიტანს. ქმარსაც გაუღვიძია. საწოლთან მივა, დაიხრება, ქმარს ხელებს მხრებზე შემოახვევინებს, თვითონ კი იღლიებში ამოსდებს ხელებს, ასწევს, ნელ-ნელა წამოაჯენს, საწოლის თავზე ბალიშს მიუყუდებს და მიაწვენს. რკინის პატარა ჯამში ფაფას მოამზადებს, მაცივრიდან მაწვნის ქილას გამოიღებს, პურს ჩაამტვრევს, კოვზს ჩადებს და ქმარს საწოლთან, პატარა მაგიდაზე დაუდგამს.

გარეთ გავა. მილს შლანგს გააძრობს და ბოთლს ახალი წყლით აავსებს. მერე შლანგს მილს კვლავ მიუერთებს და ახლა ლობიოებს მიუგდებს. წყლის ბოთლს შეიტანს და მაწვნის ქილის გვერდით დადგამს. თავშალს აიღებს, სანთლებს, ასანთს. გარეთ გამოსული ფეხებშეკრულ მამალს ამოიჩრის და წმინდა გიორგისკენ წავა. სალოცავის კარი გაიჭრიალებს. ეკლესიას სამჯერ შემოუვლის და შიგნით შევა. პირჯვარს სამჯერ გადაიწერს. ყოველ გადაწერაზე გულის მხარეს სამი ერთადშეკრული და ორი ხელისგულზე მიჭერილი თითის ნაცვლად მთლიანად გაშლილ ხელს დაიდებს. სანთლებს აანთებს გაჭვარტლული ჯვარცმის წინ. სალოცავს კანკელი არა აქვს, ამიტომ თოკი გაუბამთ ვიღაც მოცლილებს და გთხოვთ, ნუ შეხვალთ საკურთხეველშიო, დაუწერებიათ. წარწერის გამკეთებლებმა არ იციან, რომ მას სიტკბოც მოუტანია — კანფეტები და პარკით შაქარი. სიტკბოს რომ მიიტან კი, საკურთხეველშიც შეგიძლია შესვლა და ვითომ ტრაპეზზე ამ სიტკბოების დატოვებაც.

გამოსვლისას სალოცავის კარი აღარ გაიჭრიალებს. სახლში მოვა. ტელევიზორს ჩაურთავს ქმარს და წყალს გაზზე დაადგამს. მეზობლის კაცთან გადავა, მაგრამ სახლში არ დაუხვდება. დაბრუნდება. წალდს აიღებს, მამალს კუნძზე წამოაწვენს და თავს გააგდებინებს. ცოტა ხანს უჭირავს თავწაჭრილი მამალი, რათა სისხლი მიწაზე დაიწკრიტოს. წალდს ისევ სათონეში შეიტანს. წამოვა და მამალს ჯამში ჩადებს. ოთახში შევა. ქმარი დაძაბული უყურებს, არაფერს ეუბნება. ის ქმრის თვალებს გრძნობს, ერთხანს ითმენს, მერე ქმრისკენ ბრუნდება და ეუბნება, რომ მეზობლის პატარა ბიჭს დააკვლევინა მამალი. ქმარი ძველი ყაიდის კაცია, ჭირ-ვარამ გამოვლილი, სამართლიანობისა და ჩაგრულთა გამოქომაგებისთვის პატიმრობამოხდილი, ქალის დაკლული სამსხვერპლო ცხოველისა თუ ფრინველისა არ სწამს. რომ გაიგოს, მამალი ცოლმა დაკლა, ხორცს პირს არ დააკარებს.

წყალი ადუღდება და მამალი გაიფუფქება, გაიტრუსება, გამოიშიგნება და მოიხარშება. სადილად ისიც ქმრის საწოლთან მდგარ პატარა მაგიდასთან დაჯდება. ცოლ-ქმარი თითო ჭიქა ღვინოსაც დალევს. სადღეგრძელოს ქმარი იტყვის. ერთ ჭიქაში ჩაატევს ღმერთებისასაც, წმინდანებისასაც, ცოცხლებისასაც და მკვდრებისასაც. ცარიელ ჭიქას კი იღბლიანი და ბედნიერი კაცის იერით დადგამს.

სტალინის გოგო

— რამდენი შვილი გყავს?
— ერთი შვილი და სამი გოგო...
ხალხური

ბავშვობიდან ბიჭაჭუა იყო. უბნის ბიჭებს ცელქობასა და თავგადასავლების ძიებაში არ ჩამორჩებოდა. მის ქმარს, რომელმაც მეხუთე კლასიდან შეიყვარა, გარდაცვალებამდე ახსოვდა, გამხდარ-გაჩხინკული გოგო სკოლის კიბეებზე თანაკლასელ ბიჭებს როგორ აგორებდა.

მამამისი ღვინის წერტში მუშაობდა. თბილისში ბინა მიიღეს, ოპერის სიახლოვეს. ბალეტი და ოპერა არ გაუცდენია. მერე შავტრაკა და გაუთხოვარმა მამიდებმა ბინა დაისაკუთრეს. მამამისი მორჩილი კაცი იყო, ბინის გამო დებთან აყალმაყალი არ აუტეხია, ოჯახი ისევ სოფელში დააბრუნა. ის მეხუთე კლასში გადადიოდა.

სოფელში სტალინის გოგოს ეძახდნენ. ჩანთა მამის მოტანილი შოკოლადებით ჰქონდა გამოვსებული და ყველა შემხვედრს უზიარებდა. უფროსი და იყო, ორი ძმა და და ჰყავდა. დის გაზრდა მას მოუწია, დედა მშობიარობას გადაჰყვა. მამა სახლში იშვიათად იყო, ძმები ეხმარებოდნენ, მაგრამ თავადაც მოსავლელები იყვნენ. უღმერთო დროში ღმერთის პოვნა ძნელი იქნებოდა, უბედურებამ კი შეიძლება მისი დამალული არსებობაც დაგავიწყოს. ერთი ძმა მდინარეში დაიხრჩო, მეორე ხეზე ამძვრალიყო, მაღლა, სულ წვერში, გამარჯობა, ღმერთოო — ხელი გაუწოდებია მისასალმებლად, მაგრამ ღმერთი ხომ უხილავია, უხილავ ხელს როგორ გამოუწვდიდა, ან რომც გაეწვდინა, ეს როგორ დაინახავდა. ტოტმა ვეღარ გაუძლო, ჩამოიხლიჩა, ჩამოტყდა და სული მიწაზე დაცემისთანავე განუტევა. მამამ ცოლის დაკარგვას გაუძლო, ერთი შვილის დაკარგვას გაუძლო, მეორეც რომ მოუკვდა, ხელი ჩაიქნია, ქარხნიდან წერტში მისატან ღვინოს, მუცელში ისხამდა. დაანგარიშების დრო რომ მოვიდა, კაბინეტში თოკი ჩამოაბა და თავი ჩამოიხრჩო.

გათხოვდა. იმაზე, ვინც უყვარდა და ვისაც უყვარდა. ქმარი ჯარიდან რომ დაბრუნდა, ბიჭი დაახვედრა. მერე მეორე ბიჭიც გააჩინა და კიდევ რომ დაფეხმძიმდა, ნურას უკაცრავადო, უთხრეს ექიმებმა, აღარ გამოვა, ორ შვილს დასჯერდი, ორსულობა აღარ გაიფიქროო.

დედას სატკივრად ერთი შვილიც ეყოფა, მას ორი ჰყავდა. არც ბედს და არც შვილებს არ დაუკლიათ მისთვის სატკივარი. მაგრამ ძმებისგან განსხვავებით, შვილებმა ზრდასრულ ასაკს საღსალამათებმა მიაღწიეს, ცოლებიც შეირთეს, ბავშვებიც გაუჩნდათ, საქმესაც ხელი მოჰკიდეს და სახლიდანაც წავიდნენ, ერთი დედაქალაქში, მეორე — მეზობელ სოფელში, სიმამრთან, ერთად საქმიანობდნენ.

ქმრის სიკვდილის შემდეგ თავადაც მალე მოკვდა. არ ელოდნენ, ყოჩაღად იყო. არადა როდემდეღა უნდა ყოფილიყო, რაღა უნდა ენახა, რაღას უნდა მოსწრებოდა, რა ტკივილის ცრემლიღა უნდა ჩამოსდენოდა მის დამჭკნარ-დანაოჭებულ სახეს?!

დაკრძალვისთვის სურათის გადიდებაზე რომ მიდგა საქმე, რძლებს გაახსენდათ, თვითონ დატოვა სურათი, კარადის უჯრაში ექნება შენახული და ის უნდა გავადიდებინოთო. ნახეს სურათი. ახალგაზრდა გოგოები, სამნი, დგანან და ფოტოობიექტივს უღიმიან. ახალგაზრდობის ბედნიერება ატყვიათ სახეზე. სურათის უკანა მხარეს ღია თუ ფერგადასული წითელი მელნით აწერია: სტალინის გოგო. მოსკოვი. 1968.

სულგუნი და მწნილი

— გაკვეთილად რა გვქონდა, ბავშვებო? — იკითხა მასწავლებელმა მას შემდეგ, რაც სიის ამოკითხვა დაამთავრა და უცნაურჩარჩოიანი სათვალე მოიხსნა.

— ბარათაშვილი, მას, ლექსები, — რამდენიმე მოსწავლემ ერთხმად უპასუხა.

— პირველი ლექსი რომელი იყო? სუმბული და მწირი? — მასწავლებელი ახლა უკვე ამდგარიყო და დაფის წინ მიმოდიოდა.

— დიახ, სულგუნი და მწნილი, მას! — გაიკრიჭა დონღუზაშვილი.

კლასმა გაიცინა. მასწავლებელმაც.

დიმიტრი დონღუზაშვილი სკოლის მოწაფის კვალობაზე კარგად ჩასუქებული ყმაწვილი იყო. რა დასამალია, ჭამა უყვარდა. უყვარდა და ერგებოდა კიდეც. მაგისი დედ-მამა რომ გენახათ, დიმიტრის ფერხორციანობა აღარ გაგაკვირვებდათ.

ერთხელ ბიჭები დიმიტრის დაენიძლავნენ, 7-8 კილოიან საზამთროს ვერ შეჭამო. დიმიტრიმ გაიოცა, რას ვერ შევჭამო. ადგნენ და კაი ყმაწვილური სანაძლეო დადეს. ოღონდო, დიმიტრიმა თქვა, ჯერ სახლში ჩავირბენ და მალევე დავბრუნდებიო. დიმიტრი შორს არა ცხოვრობდა სკოლიდან. ბიჭებმა, ბალაჯაურების თავში, მუხასთან, ვიქნებითო და წავიდნენ.

დიმიტრი რომ ავიდა, ბიჭები მუხის ქვეშ ქვებზე ისხდნენ. შუაში საზამთრო დაედოთ და შავტარა დანაც გაემზადებინათ. აღმართამოვლილი დიმიტრი მძიმედ სუნთქავდა, მაგრამ თვალები ეშმაკურად უცინოდა. ერთმა ბიჭმა, ისე, რომ ქვიდან არ ამდგარა, საზამთროს დაჭრა დაიწყო. სიგრძივად ჭრიდა და მოჭრილ ნაჭერს დიმიტრის აწვდიდა. დიმიტრიც გამოართმევდა ნაჭერს, კიდიდან კიდემდე პირს გაატარებდა და ქერქს დაბლა აგდებდა. ბოლო ნაჭერიც პირველივით შეჭამა.

ბიჭები ისეთი საოცრების მომსწრენი იყვნენ, სანაძლეოს წაგება არ ენაღვლებოდათ. ერთმა ჰკითხა, სახლში რაღა გინდოდა, რო გაიქეციო. შევამოწმე, მართლა შევჭამდი თუ არაო — კრეჭით უპასუხა დიმიტრიმ. დიმიტრის სიცილი იყო კეთილი და უბოროტო, ისეთი როგორიც მხოლოდ მსუქან ბავშვებს შეუძლიათ.

ექიმობანა

გვერდითა ოთახიდან გამომავალი შუქის ფონზე შიშვლები დგანან. ქალს ცუდად შეღებილი შავი თმა აქვს. თვალები ამოღამებია. მისმა პროფესიამ იცის. გადარეცხილ, გადაფხეკილ, გადაფხრეწილ ხელნაწერებს ჩაჰყურებს ყოველდღე. გრძელი ცხვირი უფრო დაგრძელებია. მკერდი მოშვებია და დუნდულები ცელულიტებით ავსებია.

კაცი საგრძნობლად შემელოტებულა, ნაოჭები გასჩენია, ღიპი დასდებია, მუცელსა და ფეხებზე თმის ცვენა დასწყებია.

დგანან შიშვლები ერთმანეთის პირისპირ და ერთმანეთთან მიახლოებას ვერ ბედავენ. ბოლოს კაცი მიიღებს გადაწყვეტილებას. საწოლთან დაგდებულ შარვალს აიღებს და ამოიცვამს. პერანგსაც მოძებნის და კარისკენ წავა. კარგადო, უკანმოუხედავად იტყვის.

ოცდათხუთმეტი წლის წინაც შიშვლები იდგნენ და ერთმანეთს ეხუტებოდნენ, პატრონებმა რომ მიაგნეს მეზობლის მიტოვებული სახლის სარდაფის ერთ კუთხეში. რას აკეთებთო, ჰკითხეს და ექიმობანას ვთამაშობთო, უპასუხეს. ჩაავლეს ხელი და სახლებისკენ წაიწონიალეს. მათი გზები აღარ გადაკვეთილა, ბიჭი სხვა ქალაქში გადაიყვანეს.

ექიმობანას თამაში ვერ დაამთავრეს.

მონადირის კოდექსი

ძაღლი მაყვლის ბუჩქნარში ჩაიკარგა. ფერდობს რაც შემოუყვნენ, დაადო მიწას ცხვირი და აღარ აუღია. თოფი ჩამოიხსნა მხრიდან. ჩახმახი გადმოსწია და გაიყურსა.

ფრررრ! — გაისმა მალევე. ძაღლმა ხოხბის ლაპრები ააფრინა. ჯერ ერთი ამოფრინდა, მეორე მოჰყვა, მესამე, მეოთხე... ღელე გადაიფრინეს და იქითა ფერდზე ჩასხდნენ. სასხლეტს ხელი გაუშვა, ჩახმახი საწყის მდგომარეობაში დააბრუნა, თოფი ისევ მხარზე გადაიკიდა და ჩაფიქრდა.

სულ პატარა ბიჭი იყო, მამამ ლეკვი რომ მოიყვანა. შავი იყო, ყავისფერი და თეთრი კოპლებით. ჭამა ძალიან უყვარდა, ხან ისე დამძიმდებოდა ხოლმე, ვეღარ დარბოდა. კარგი მეძებარი დადგებოდა იმისგან, ჯიში არ აკლდა და პატრონი ნამდვილი მონადირე შეხვედროდა. ჭია ჰყოლია, წამალმა ვეღარ მიუსწრო და მოკვდა. ბიჭი დანაღვლიანდა, ჭამას და ბავშვებთან გართობას გულს ვეღარ უდებდა. რამდენიმე დღე უყურეს და მერე მამამ ახალი მეძებარი მოიყვანა. ლეკვობა უკვე გაევლო, მაგრამ ლეკვური სიანცე შერჩენოდა. მაშინ იყო პირველად, მამა სანადიროდ რომ წავიდა და ბიჭიც თან წაიტანა. ტყისპირებში ხოხობი კარგად იცოდა, უძაღლოდაც მიაგნებდა მონადირე კაცი, მაგრამ ამათ ძაღლიც ჰყავდათ და, როგორც აღმოჩნდა, არცთუ ურიგო. ხოხბების აფრენის ხმა რომ გაისმა, შეხტა, არ ელოდა. მამის გვერდით იდგა. მამას თოფი მოემარჯვებინა, სასროლად მომზადებულიყო, მაგრამ არ უსვრია. „ლაპრები იყვნენ, ამ წლისანი“, — თქვა მამამ. მერე წყაროსთან მივიდნენ და ცოტა ხანს იქ ჩამოსხდნენ. სახლში ხელცარიელები დაბრუნდნენ, არაფერი მოუნადირებიათ.

გავიდა რამდენიმე წელი. სკოლიდან დაბრუნდა და მშობლები ჩხუბობდნენ, უფრო სწორად მამა ყვიროდა და დედა ტიროდა. იმ ასაკში იყო, როცა დედის ტირილს და მამის მიერ მის ცემას უკვე სხვანაირად შეხედავდა. ვეღარ აიღებდა ბურთს და სტადიონზე ვერ წავიდოდა. სამზარეულოში შევიდა. ჭურჭლის კარადის უკან ინახავდა მამა თოფს, კარადის თავზე კი ვაზა იდგა და იმაში ტყვიები ეწყო. სკამი მიიდგა და ვაზიდან ერთი ტყვია ამოიღო. თოფი გამოიღო და ტყვია შიგ ჩადო. მშობლების საძინებელში შევიდა. მამას დედისთვის თმაში ხელი ჩაევლო და თავს სკამზე არტყმევინებდა. დედას ტუჩიდან და ცხვირიდან სისხლი სდიოდა... სანამ მუცელში ტყვიამოხვედრილი მამა იატაკზე დაეცემოდა, შემოხედვა მოასწრო — წარმოუდგენლად გაკვირვებული თვალები ჰქონდა.

ძუდი

აბრამა თოხს აიღებს და ვენახში წავა. ვენახი ორი აქვს, ერთი შოროქანზე, მეორე

— ახლოვე, რკინიგზას ჩასცდები თუ არა, იქვე. ისეთი მოვლილი ვენახი აქვს, ისე თავმომწონედ დგანან ვაზები, ავ თვალსაც კი სიავეს გადააფიქრებინებს. კრეფამდე რაღა დარჩა, ერთი თვეც და რთვლობა დაიწყება. რთვლობა ხომ შემოდგომის ქორწილია, აირევა ხალხი, აფუსფუსდება მინდორ-ველი. საქორწილოდ გამზადებულ ვაზებს ჩამოკრეფენ, მტევნებს გოდრებში ჩაყრიან, მანქანებს დატვირთავენ და გზებზე მტვრის კორიანტელს დააყენებენ. ფუტკრებიც გამოჩნდებიან, ყურძნის დაღვრილ წვენს დაეწაფებიან, რომ ამ ღვთაებრივი სითხის ერთი წვეთიც არ დაიკარგოს. ქვევრები გარეცხილია, საწნახლები მომზადებულია. ჩაიჭყლიტება, ჩაიწურება ყურძენი და საქმე რომ მომთავრდება, მწვადები შეიწვება წალამზე.

ეს ყველაფერი მერე, იქამდე კიდევ ერთი თვეა. აბრამა ვენახს უახლოვდება. ხედავს, ხალხი შეჯგუფებულა, ათ კაცამდე, გამგეობის ხალხია და ვენახის პატრონები. როგორც გამოირკვა, სამინისტროს წარმომადგენლებს ელოდებიან, საირიგაციო სისტემას აწესრიგებენ და ვერც აწესრიგებენ. არ იციან თუ არ უნდათ გაკეთება, იქაურებს ვერ გაურკვევიათ. წინა მინისტრის დროს დაიწყეს და ვერ მოაბეს თავი. რამდენიმე კაცს პატიმრობისთვისაც გამოუკრავს ხელი იმიტომ, რომ ეშმაკს აჰყოლიან და ფულები ჯიბეში გაუქანებიათ.

ორი ჯიპით მოვიდნენ. გამგეობის სოფლის მეურნეობის კურატორი შეეგებათ. ვინც უფროსობდა, ორმოცდაათს იქნებოდა გადაბიჯებული, არცთუ მოხერხებულად ეცვა იმ ადგილისთვის, სადაც მოსულიყო. იქაურების გასაკვირად, გამგეობის კაცს ყურადღება არ მიაქცია და აბრამას დაადგა თვალი, იმას დაუწყო გამოკითხვა, აზრი გაუცვალა. აბრამას წვერი ახალგაპარსული ჰქონდა და მუშა კაცის კვალობაზე კარგადაც ეცვა. ჯერ ხო თოხი არ მოექნია, არ გაოფლილიყო, არ გამტვერილიყო. აბრამას კეპი ეხურა, რომელზეც ყვითლად ამოქარგულიყო „შემოსავლების სამსახური“. აბრამას სიძე საბაჟოზე მუშაობდა, ქუდი იმან ჩამოუტანა, აბრამა იხურავდა ხოლმე.

სამინისტროს კაცმა ცოტა კიდევ მიიარ-მოიარა და წასვლა გადაწყვიტა. დამშვიდობებისასაც მარტო აბრამას ჩამოართვა ხელი. ჩასხდნენ ჯიპებში და წავიდნენ. შეკრებილები გაიფანტნენ. აბრამა და მისი მომიჯნეელა დარჩნენ. მომიჯნეს აბრამა ჩაფიქრებული ეჩვენა და უთხრა: „ეგემაგ ქუდი გამო, ვერან!“. მერე აბრამას მხარზე ხელი დაჰკრა და ვენახისკენ გაემართა.

პაპაჩემისეული აბგა

მთლად ბავშვი აღარ ვიყავი, რადგან გოგოების შესათვალიერებლად მეზობელ სოფლებში დავდიოდი, მაგრამ დიდიც ვერ მეთქმოდა იმიტომ, რომ ალაზანი ჯერ ვერ გადამეცურა, მეშინოდა. კარგად ვცურავდი, მაგრამ შიში ვერ დამეძლია. ვინც ალაზანს არ იცნობს, იმას ადვილი ეგონება. ალაზანს ჩქარი დინებაც აქვს და მორევიც იცის, ქვეშ კი კარჩხლებს მალავს. კარჩხლები მოგლეჯილი ხეებია, რომლებიც მდინარე მოიტანა და გაჩხირა. კარგი მოცურავეც გაუფუჭებია კარჩხალს, შეიძლება ფეხი გაგეჭედოს, ნიფხავი წამოსდო ან სხეული გაიჭრა. იქაურ პატარა ბიჭებს ერთ ხანობამდე უჭირთ გაბედვა, მერე შიშს დაძლევენ და გაღმაც გაცურავენ. იქიდან, გაღმიდან, თათრის ბავშვები უფრო პატარა ასაკიდან იწყებენ აქეთ გამოსვლას, იმათ არ ეშინიათ, უფრო ყოჩაღები არიან.

წყლისა თუ გვეშინოდა, ტყეს არ გავურბოდით. ყოველწლიურად, გვიან შემოდგომაზე, ჩვენი უბნის კაცები ჯამბალ წმინდა გიორგიში დადიოდნენ სადღეობოდ. მიჰქონდათ ღვინო, პური და მიჰყავდათ იმდენი მამალი, რამდენი მამაკაცი წევრიც იყო ოჯახში.

ჯერ დიდი რომ ვერ ვიყავი, იქიდანაც ჩანდა, რომ მამაჩემს დღეობაში არ დავყავდი. დილით გაგაღვიძებო, მეტყოდა, მაგრამ არ მაღვიძებდა, ჩემით კი ვერ ვიღვიძებდი. ჩემ დღეში იყვნენ ჩემი მეგობრებიც, ამიტომ გადავწყვიტეთ, მამებსა და პაპებს არ დავლოდებოდით და ჩვენით წავსულიყავით ჯამბალში. დავდიოდით ზაფხულობით. უთენია გავუდგებოდით გზას და დაღამებამდე, სანამ მგელი და კატუნია აირეოდა, ვბრუნდებოდით. კაცებივით ღამეს ვერ ვათევდით.

პირველად რომ გადავწყვიტეთ წასვლა, პაპაჩემმა აბგა გამომიტანა, მამამისის ნაქონი, რა თქმა უნდა, ხაკისფერი და ყველაზე მაგარი, რაც კი იმ დროისთვის აბგები მენახა.

გიორგა ჩემი დიდი პაპა იყო. ჩემს დაბადებამდე გარდაიცვალა. ვერ მოვესწარი. ვერ შეგესწროო, ასე ამბობდა პაპაჩემი ისიდორე. გიორგას ომი ჰქონდა გამოვლილი, გერმანელების ტყვეობა და აზიაში გადასახლება. ძია სტალინმა ტყვედ ჩავარდნა ვერ აპატია. პაპაჩემი იხსენებდა, რომ გიორგასგან სტალინის აუგი არ გაუგია. სხვა თუ რამე ცუდს იტყოდა, გიორგა, თურმე, თავს გააქნევდა და სხვაგან თუ იყო, სახლში მოდიოდა და სახლში თუ იყო, წრიალს იწყებდა. გიორგა რომ პატარა ბიჭი ყოფილა, მაშინ ვიღაცას უთქვამს, ჩვენი ბელადი სტალინი მთვარეში ჩანსო. გიორგამ ეს ცოდნა პაპაჩემს გადასცა, პაპაჩემმა — მამაჩემს და მამაჩემმა სრულიად უწყინრად — მე. ჩვენი გვარის ოთხი თაობა სტალინს მთვარეში ხედავდა. დაღამდება, ცაზე სავსე მთვარე ამოცურდება, გავხედავ და სტალინს ვხედავ, ის თავისი გახუნებული კიტელი აცვია და ოდნავ შესამჩნევად იღიმება.

403

„შინმოუსვლელო სადა ხარ...
სად ლპება შენი ქოჩორი,
თვალი სად ამოგიღამდა“.

ნაწყვეტი გიორგი ლეონიძის ლექსიდან. ომის შემდეგ პოპულარულ სიმღერად იქცა, ასრულებდნენ ჰამლეტ გონაშვილი, ილია ზაქაიძე და სხვანი.

მეორე მსოფლიო ომმა ჩვენში ნეოლოგიზმი — შინმოუსვლელი გააჩინა თუ გააქტიურა. შინმოუსვლელი ისეთი კაცი იყო, რომელიც ომში წავიდა და ვეღარ დაბრუნდა, ან მოკვდა, ან დაიკარგა, ანაც გადაიკარგა, თუმცა ეს უკანასკნელი ქართველი კაცისგან მოულოდნელია. საბჭოთა კავშირს სამხედრო ტყვეები არ ჰყავდა (თავისთავად აბსურდი, ომი ტყვეების გარეშე?), თორემ მოკლული და დაკარგული, იცოცხლე. მოკლული და დაკარგული იმათაც და მაშინაც ძალიან უყვარდათ ან უბრალოდ ასე მოითხოვდა პოლიტიკური იდეოლოგია. იმათ სახელზე მონუმენტებს აგებდნენ და პარკებს აშენებდნენ. ასეთ პარკს შინმოუსვლელთა პარკი ერქვა.

იქაც დააარსეს შინმოუსვლელთა პარკი. ოთხას სამი ფიჭვი, ნაძვი და კვიპაროსი დარგეს, რაც ნიშნავდა, რომ ოთხას სამი კაცი წავიდა იქიდან ომში და ვეღარ მობრუნდა თავის ოჯახში. რა დასამალია, ითქვას, რომ ოთხასსამკაციანი მსხვერპლი ძალიან ბევრია ერთი სოფლის კვალობაზე, როგორი დიდი სოფელიც არ უნდა იყოს. თუ დამიჯერებთ, იმის თქმაც შემიძლია, რომ ამდენი კაცი შეეწიროს ომისთვის სხვა სოფელს, დიდი ალბათობით, არც მოიძებნება და თუ მოიძებნება, ძალიან ცოტა იქნება ასეთი. რა ვარსკვლავზე იყვნენ დაბადებულები, რა ფეხზე იარეს იქაურებმა, ძნელი სათქმელია.

* * *

ზურაბა გამორჩეული თამადა იყო. უფრო მაშინ გაიწაფა, იქაური ახალგაზრდობის ჯარში გაწვევის საქმეს თავი რომ დაანება და მთელი დრო თამადობას დაუთმო. უნივერსალური თამადა იყო, ჭირის სუფრაც ეხერხებოდა და ლხინისაც. ისტორიები და ლექსები ბლომად იცოდა. ზურაბა პროფესიონალიც იყო. პატარა ბლოკნოტი და ფანქარი ჰქონდა. სუფრის დაწყებამდე ერთი-ორი საათით ადრე მივიდოდა, ვინმე შინაურს გამოიჭერდა და მიცვალებული თუ იყო, იმის შვილების, შვილიშვილების, დედმამიშვილების, მშობლების სახელებს გამოიკითხავდა, თუ ქორწილი იყო, მაშინ სიძე-პატარძლისას. თუ ზურაბა თავის სოფელში თამადობდა, იქ ამდენი გამოკითხვა არ იყო საჭირო, მაგრამ ზურაბას სხვა სოფლებშიც იწვევდნენ.

ზურაბა დაუთრობელი კაცი იყო. ის მთვრალი არასდროს უნახავთ. იქ ზოგის დათრობას ჩაფობით ღვინო სჭირდება, მაგრამ სუფრის ბოლოს ისინი თვრებოდნენ, ზურაბას კი ოდნავ შეუწითლდებოდა ხოლმე სახე. როგორ ახერხებდა ამას, ვერავინ იტყოდა, იმათ თვალწინ სვამდა და ღვინოს ჭიქაში არ ტოვებდა, მაგრამ ისინი თვრებოდნენ და ეს კი — არა. ალბათ, ზურაბამ რამე პროფესიული საიდუმლო იცოდა. იქაურებმა რომ ვერა და ვერ დაათვრეს, მერე ამბავი გამოუგონეს — როგო იყო, ვეჯინში რო დაითვერ და ვაშკაცობი სადღეგძელო ჩვენი ოთხას სამი თამადობით დაილიე და მერე სუფრიდან ძლივ გამაასწარ, შე მამაძაღლო, აქ მკვდრები არა გვყავ, შენი სოფლელები თამადობით რო იძახიო. ჰოოვო, მარტო ამას იტყოდა ზურაბა და გაიღიმებდა. არ უარყოფდა, მაგრამ ეს ჰო, მგონი, არც დასტური იყო. მე არა მჯერა, რომ ზურაბას ეგ შეეშლებოდა.

* * *

იქ კი დგას ოთხასსამი მარადმწვანე ხე, გულზე ლითონის ფირფიტები ჩამოუკიდიათ, ვის სახელობაზეც ოდესღაც დარგულან.

* * *

სული იწვის, იფერფლება
ფიქრი,
გული ვეღარ მიეჩვია
ლოდინს.
დუმს წარსული, იცრემლება
აწმყო,
მომავალი ფერწასული
მოდის.
ვეღარ გიკრავ მზის სხივების
კონას,
მზიან ამინდს უმზეობა
მიჯობს.
კენჭებს ვესვრი ტოტზე შემსხდარ
ჩიტებს,
ცა ქუდივით მახურავს და —
ვბიჭობ.
მარტოობამ მიმაჩვია
ღვინოს,
ღვინომ კიდევ — უთავბოლო
როშვას.
შენი ლანდი ოთახებში
დადის,
შენი მზერა მაცივებს და
მთოშავს.
აღარ ვითვლი ვარსკვლავების
ცვენას,
მუჭს არ ვუშლი სამკითხაოდ
ბოშას.
სამარცხვინოდ შებილწულს და
ნათრევს —
ღმერთს ვუბრუნებ სათნოების
დროშას.

დროშები ცაში

ჩემი ცხოვრება აირ-დაირია:
იყო შარადა, ახლა შაირია.
მე შენზე ვფიქრობ, ჩემთვის დაკარგულო,
მზერა ჩამუქდა, გული აღარ გულობს.
სულში ავაგე ცრემლის ეკლესია, —
იქ დავასვენე ჩემი დეპრესია.
წარსულის ლანდი გროშივით გადამრჩა!
ცაზე ღრუბელმა მოხაზა დამბაჩა.
ღამე დღე არის, დღე მრუმე ღამეა;
გულში წვიმაა, ღაწვებზე ნამია.
ქარმა დროშები ცის თაღს შეალესა,
აგენთო მზე და მე არ მიალერსა...
შენი ღიმილი ფერთანაირია,
ჩემი ღიმილი ნისლში გაილია.

ისევ შენდამი

შენი სიცოცხლე მე მაბარია,
შენი სიმშვიდის ვდგავარ დარაჯად.
მიწიდან ცამდე ვზომავ მანძილებს,
არ გამიხდია ზრუნვის ფარაჯა.
ლალისფერ ცრემლში ვითვლი ნატყვიარს,
დეკემბრის სუსხში რომ მომხვედრია.
ალიონებზე მზეების ქარგვა
ჩემი ვალი და ჩემი ხვედრია.
ახლა ჩემს მკერდზე გიდევს თავი და
თითებზე ვიხვევ შენს თმებს — ხავერდებს.
შენი სიცოცხლე ვინც ჩამაბარა,
შენს კარგად ყოფნას მასვე ვავედრებ.

ლექსი

ახლა, როდესაც ლექსს ვწერ,
ოცი წუთია ექვსის.
დილის ლიცლიცებს შუქი,
ჩიტის ჭიკჭიკი მესმის.
გუბეში ჩაშრა მთვარე,
მსგავსად რომ ეგდო ნესვის.
სიტყვებით ვკერავ სამოსს,
სულს რომ მოვარგო ლექსის.
ფურცელზე დახტის მზერა,
ვწერ, რაც ხმამაღლა მითქვამს:
სახეებს ვეძებ ლექსში,
მერე დავეძებ რითმას.
რა გამოგვილევს უტკბესს
ქართული სიტყვის ბეღელს.
ვისაც როგორ სურს, წეროს,
არავის ვუშლი მე ხელს.

მე შენგან შორს ვარ

როდესაც სიცხადე გულს მატკენს, მიმუხთლებს,
ოცნების მდელოზე გავრბივარ, ვიმუხლებ.
აქ ბევრი იაა, აქ ბევრი ვარდია,
აქ ხალებიანი ირმები დარბიან;
მწყერები გოგავენ, არჩვები დახტიან.
აქ სულ ყველაფერი სუფთა და ნაღდია.
აქ არაფერია კაცისგან წამხდარი.
უტკბესი სიზმრები აქა მაქვს ამხდარი.
მზის სხივთა გვირგვინში ელვარებს ტაძარი.
აქ გვალვა არ იცის, არ იცის ხანძარი.
აქ დღე არ ღამდება, არავის არ კლავენ,
იესო მაცხოვარს ჯვარზე არ აკრავენ.
ცა გამჭვირვალეა, ლურჯი აქვს სინათლე,
გულისთქმა მიხდება, რასაც აქ ვინატრებ.
ფერები მშვიდობას უმღერის ბუნებას.
აქ ვერ გამიფუჭებს ვერავენ გუნებას.
თავზე მახვევიან პეპლები გუნდებად,
აქ ტკბილად გავლილი დღეები ბრუნდება.
ამ მხარეს ტბა არის, იმ მხარეს მთებია...
ნისლიდან ამოდის გამზრდელი ბებია.
სისხლის რომ ვიცოდი ცელქობით გაშრობა,
ღიმილით მიბრუნებს უკან იმ ბავშვობას.
აქ ვხვდები ჩემს დედას, ჩემს ძმას და მამაჩემს.
ვკოცნი და ვეხვევი (ცრემლს ვმალავ, არ ვაჩენ).
როცა გვერდით გყავდი, მყვედრიდი, მკიცხავდი!
ახლა მე შორსა ვარ, ასულო სიცხადის...
რადგან აქ არ არის ყვედრება და ბოღმა,
ლაღად დავაბიჯებ გაღმა და გამოღმა.

მუზას

ქალი ხარ — ცაში დაფრინავ,
თვალებს აკვესებ ბგერწერით.
პოეტებს ფურცლებს უმშვენებ, —
კალმის წრიპინში ეწევი.
სრა-სასახლეში ბინადრობ,
ღამით სარკესთან ირთვები.
ცისკარზე სულში მეწვევი,
პეშვებით მოგაქვს რითმები.
თმაში ვარსკვლავი გინთია,
ტანზე მთის ნისლი გაცვია,
ხმაში გაქვს პალინდრომები,
რიტმი და ინტონაცია.
მუცლით მეღვრები ფურცელზე,
მხიბლავ უზადო გრაციით.
ხან კონსონანსით მაოცებ,
ხან კი — ალიტერაციით;
ასონანს-დისონანსებით
იპრანჭები და ნაზდები.
თუ არაფერი გამომდის,
უხეშდები და ბრაზდები.
ხან ითხოვ რვალებს, ტერცინებს,
ხან — კანცონებს და ოქტავებს.
მე მხოლოდ იმას ვაკეთებ,
რაც შეუძლიათ მოკვდავებს.
ზოგჯერ თვალთაგან მოგწყდება
მზერა უცხო და ველური.
სუნთქვა გაქვს ვაჟასნაირი,
პროფილი — რუსთაველური.
მთელი ცხოვრება გიხმობდი:
ვწერდი, ვხაზავდი... ვწვალობდი.
შენ სხვა პოეტებს სტუმრობდი,
შენ სხვა პოეტებს სწყალობდი.
აბობოქრებულ ტალღებში
უშენოდ როგორ მეცურა!
ტერფი და მუხლი ამტკივდა,
სმენამ დაკარგა ცენზურა.
ახლა კალამზე მიზიხარ,
ჩემს ფიქრებს კრებ და აჯამებ.
მაჯა არ მისდევს სონეტებს,
მუხამბაზებს და მაჯამებს.
ფრთები არა მაქვს მსუბუქი
და არც ნიჭი მაქვს ხალასი.
ვდგავარ, ქვემოდან შევხარი —
როგორ ბრჭყვიალებს პარნასი.

პორტი ორისთვის

წვიმა — ქარისფერი. ქარი — ქარვისფერი.
მთვარე — ჩალისფერი. სითბო — ალისფერი.
ზღვაში ურჩხულივით გდია გემის ჩრდილი.
გემს კი მთვარის შუქზე ძინავს მშვიდი ძილით.
ღრუბელი მიცურავს. მთვარე არსად მიდის.
ქალი პორტში დგას და სხეულს მუქთად ყიდის.
არყის მყრალი სუნი პალმებს მოსდებია.
(ასეა: ჯერ სმა და — მერე ბოზდებიან).
მეთევზე მერხზე ზის. სიგარეტს აბოლებს.
იმ ქალის კოპწიას დასცქერის საბოებს.
ცოლისთვის ასეთის ყიდვა სურს. აფასებს.
თან ურტყამს ღიმილით ჩქარ-ჩქარა ნაფაზებს.
ქალი გუნებაზე არ არის შაყირის.
„იყიდე სხეული!“ — ფიქრებში გაჰყვირის.
ქალს კაცი არ უნდა. ქალს ფული სჭირდება.
თვალებით მეთევზის ჯიბეს ეჭიდება.
კაცი ალალია. ქალი — ბრაზიანი.
კაცი უფულოა. ქალი — ფასიანი.
მთვარე როცა ჩავა, მზე მერე ამოვა.
მზე ვისთვის მწველია, ვისთვის კი ამოა.
ახლა საღამოა. დილამდე შორია.
სიცოცხლე მტრედია. ცხოვრება ქორია.
ზღვა ქშინავს. ფერები ტალღებში ბანაობს.
კაცი ზის. ქალი კი პალმებთან ქანაობს.

სასიყვარულო

ატმისფერი გაქვს სხეული,
თმები — გრძელი და ხვეული.
სხვა ქალებისგან, ლამაზო,
გულს ჰყავხარ გამორჩეული.

სხვა ქალთან ვიყო წვეული, —
არ წავალ, ვიყო წყეული.
როგორც ტუსაღი საკანში,
შენში ვარ გამომწყვდეული.

როცა გიცქერენ კაცები,
წითლად გიღუის ღაწვები.
მოგიტაცებენ, არ გათქვა,
ლოგინი სად გაქვს, სად წვები.

შენს ტრფობას მე ვზრდი, მე ვუვლი,
ფიქრით მაქვს გადარწეული.
ყველა მეტოქე მოკვდება,
დუელში გამოწვეული.

ძვირფასი სახელი

თენდება ადრე, ღამდება გვიან,
დღეები როგორც ირმები, რბიან.
უშენოდ გამქრალ წამებს და წუთებს,
ძვირფასო, შენი სახელი ჰქვია.
დრომ ჩვენი გზები არივ-დარია,
ქარმა წაიღო ძოწი და ფარჩა.
ბევრი სათქმელი სიტყვად თუ ლექსად
ყელში გაჩრილი, ყელშივე ჩამრჩა.
კისკისი შენი, გაბუტვა შენი
ცისფერ ლაქებად ატყვია ძარღვებს.
ვიღაცა მოდის და არიადნეს
გაჭიმულ ძაფებს ბურდავს და არღვევს.
მე მიყვარს ფიქრი შენზე და ჩემზე,
და ყველაფერი მიხდება ფიქრში;
ახლაც კი გნატრობ, როდესაც ბნელა
და უხმოდ ვდგავარ სიკვდილის რიგში!
მე ვიცი: როცა ცა შეისუნთქავს
აცუღლუტებულ აპრილის ქარებს,
ააბრდღვიალებს მაისი ქუჩებს,
ნუშის რტოსავით დაკვირტულ ქალებს;
შენც მოგინდება (შენც ხომ ხარ ქალი),
მკერდი გადიხსნა — მინებდე სითბოს...
აუთრთოლდება სხივები მზეს და
შემოგეხვევა, მე ვიყო, თითქოს.
გაგეღვიძება ძარღვებში სუნთქვა,
ტრფიალებისას დაჰყვები ნებას
და, სიყვარულში მოცილეს ჩემსას,
ცხელ სარეცელზე დაუცხრობ ვნებას.
მე ავიმღვრევი: ამიფეთქდება
მკერდში გული და თვალში — სინათლე!
ცრემლში ჩავახრჩობ მაისის მზეს და
თებერვლის ქარს და ყინვას ვინატრებ...
გულს ამოვიღებ — ავაკრავ ზეცას
(დედამიწისთვის გავხდი საჩინოს)
და მერე წარსულს გავეკიდები,
სიყვარული რომ გადავარჩინო.

ხანდახან

ხანდახან, ღმერთო, გამოატარე
შემთხვევით ჩემკენ,
შემთხვევით-მეთქი
და ეს შემთხვევა მე დამაბრალე,
მე დამაბრალე, რაც ადრე ვერ ვთქვი.

ხანდახან ხოლმე მეც ვხვდები ცუდად,
როცა ოთახში ჩემს ღმერთს ვერ ვხედავ.
როცა კალენდარს უკუღმა ვფურცლავ,
რომ გამახსენოს ჩვენი შეხვედრა.

ხანდახან მინას ისე მივადებ
შენზე ფიქრებით გაჟღენთილ შუბლს, რომ...
და მაგიდაზე ოთარ ჭილაძეს
ხანდახან, თითქმის სამჯერ, ვკითხულობ.

ხანდახან ისე ავტეხავ სლოკინს —
(რა შუაშია აქ დიაფრაგმა)
ვიტყვი მის სახელს, გამივლის უცებ
რაღაც, ცრურწმენის წესის თანახმად.

ხანდახან, ღმერთო, მე დამაბრალე!
ჩემი ბრალია, რაც ადრე ვერ ვთქვი.
მერე, სულ ერთხელ, გამოატარე,
შემთხვევით ჩემკენ, შემთხვევით-მეთქი.

„მე + შენ“

ერთ დღესაც ავდგები და ღიმილს ვისესხებ,
თორემ ჩემს ღიმილებს ყავლი ხომ გაუდის!
შეგხვდება ქუჩაში ჩემსავით ვინმე სხვა,
ვინმე სხვა, ისიც რომ ჩემსავით „გაცუდდეს“.

ჩაივლი შენ და სხვა კორპუსის კედელთან,
იქ, სადაც „მე“ და „შენ“ წერია პლიუსით.
შენ — გახარებული კედელს არც შეხედავ,
მე — დამარცხებული ჩავუვლი კორპუსებს.

ბერწ ამინდს გაუდის ვადა და ვერ გეძებ,
ჯანდაბას! — წვიმა არ მოდის და არც ვუცდი.
„მე“ და „შენ“ (პლიუსით) წერია კედელზე,
პლიუსი, რომელიც არაფერს არ უდრის.

* * *
ყურს მოკრავ ალბათ
ამ ქალაქის ჭორს და მოროშილს
და უფრო მეტად
შეგეკვრება ტანზე ღილები.
მოგაგონდები
რომელიღაც ქუჩის ბოლოში,
თავს ჩაღუნავ და
სევდიანად გაგეღიმები.
ქუჩა მკაცრია,
შეგაცივებს ცივი ჩექმები,
შეგაცივებს და
მე გამოვზრდი ფილტვში ანთებას.
მოგენატრება
შენი თავი მხოლოდ ჩემს გვერდით
და პლიუს ერთი
საფიქრალიც მოგემატება.
მოვა შემლილი
თებერვალი და ბილბორდები
დაიხრებიან
ქუჩებისკენ თავმომწონედ და
შენ თუ ოდესმე,
თუ ოდესმე, მოგაგონდები,
ნახე ლექსები,
ის ლექსები — შენ რომ მოგწონდა.
და ეს ქუჩებიც
უფერული ნახატებივით
დაიდღაბნება,
თვალსა და ხელს შუა გაქრება...
როგორც კროსვორდში
ჩასაწერი რაღაც ტერმინი —
მოგაგონდები,
თუმცა მე სხვა სიტყვა ვიქნები...

წადი

წადი, წადი და ისე წადი, ნუ მობრუნდები!
იყოს — კარებსაც მე დავხურავ, მაგრად ჩავკეტავ.
ნუ გაჩერდები, თორემ ახლა შემოვბრუნდები
და ნუ მომიწევს მაგ თვალებში კიდევ ჩახედვა.

წადი, მე სხვა მაქვს სურვილი და გულის წადილი
და მაპატიე, ცარიელს რომ ვტოვებ შენს ხელებს.
წადი, უთხარი შენს ქმარს, რომ მე შემხვდი ამ დილით,
რომ მე, უგულომ და უცოლომ, არც შემოგხედე!

* * *
შემოდგომდა და მეც დავუწყე ღმერთთან ჩივილი
ამ სიცივეებს, ამ ამინდებს, ამ ჩვენს ცხოვრებას;
რომ ჩვენს საწოლში ჩვენ ორს შუა გვიწევს შვილივით
ოქტომბრის მწიფე და ჯანმრთელი გაუცხოება.

შენ ამ წვიმებში შეგაციებს და გაცივდები,
მე მსგავს ლექსებს ვწერ,
უფრო მეტად გვიან ღამით და...
და პალატაში გარდაცვლილი იმ პაციენტის
ექიმივით ვარ, საკუთარ თავს რომ ვეღარ იტანს.

გაგეღიმები სევდიანად ერთ დღეს და მაგრად
იგრძნობ, რომ
ერთხელ ჩვენც ვიდექით ზურგის შექცევით.
დაიჯერებ, რომ არ გახსოვარ საერთოდ, მაგრამ
დაძინებამდე საკუთარ თავს ვერ გაექცევი.

* * *
ენკენისთვეა,
ვენდეტა აქვთ წვიმებს ესოდენ
ამინდებზე და წყალი უდგათ დაღლილ მუხლებში.
მე კიდე, დღესაც მომავალი შენი ეზოდან,
ეს ჩემი თავი გზად შემხვდა და ვერც ვანუგეშე
(შენ არც გესმოდა).

და ჩვენ რომ ერთად არ გვეცხოვრა —
იყვნენ უარზე,
შენი არყოფნით და დაკარგვით ვინ რას მმატებდა...
ჩემი გამხდარი სილუეტი დღეს ტროტუარზე
სასაცილოდ და გროტესკულად მილასლასებდა
(არც თუ ჭკუაზე).

და ალბათ, მალე გათოვდება,
შენ — გათხოვდები,
მოაპირკეთებს ყინვაც მალე ჩემს ნაფეხურებს.
ეს ნაბიჯები (შენი ეზოს ეს მათხოვრები)
ითვლიან შენგან მოუცემელ გროშებს და ხურდებს
(და მარტო ვრჩები).

* * *
ფანჯრებში წვიმა ჩადგა და
არსად წასასვლელს ვეძებ.
გაწვიმდებოდა —
აბა რა...
შენს წასვლას ნანობს ესეც!
შემოდგომდა და ამ ქალაქს
მოედო გამა ფერთა.
შენ წახვიდოდი —
აბა რა...
რა დაგარჩენდა ჩემთან!
მალე მოთოვს და დაფარავს
მიწას...
(ეს კიდე რას წვიმს!)
შემაცივებდა,
აბა რა,
კარს ვხურავდი და მაინც!
თვალებში წვიმა ჩადგა და
აქა-იქ გაკრავს ნისლიც...
მოგიკვდებოდი,
აბა რა,
როგორ გელოდი, იცი?!

იმ წელს

იმ წელს ჩვენ — მამა და დანარჩენი
სხვები რგავდნენ სხვა ნერგს, ახალნაზარდს...
ჩვენ მიწაში დავრგეთ მამაჩემი
და ვუცდიდით მერე იმის გაზრდას.
(წვიმით ვრწყავდით)...
და რას გავარჩევდით,
იანვარში სახლთან მომავალ კვალს...
ჩვენი ღუმელივით მამაჩემიც
მიმქრალი იყო და
(რომ აღარ ვთქვა,
დედაჩემზე რამე)
ვერ მოგვარგო
უმამობა ტანზე... მერე ჰოდა...
ჩვენ კი,
ჩვენ ყოველდღე გვეგონა, რომ
ხახვს ჭრიდა და ცრემლი ერეოდა...
ახლა დავდივართ და გზა გვაქვს ჩვენი...
და სექტემბრის წვიმით ვრწყავ ამ ნარგავს.
ჰოდა, ღრმად კი დავრგეთ მამაჩემი,
მაგრამ ეს ნარგავი მამას არ ჰგავს.

* * *
მე შენს ფოტოებს
ვუყურებ და ვზივარ ბუხართან
(ბუხართან-მეთქი,
უფრო სწორად, ვზივარ ეკლებზე).
შენ ალბათ მთვარის
დაბნელებას გაურბიხარ და
მე უფრო მეტად
მეშინია თვალის ეკლიპსის.

ბოლო დღეებში
ეს წვიმები სულ მიმძიმებს სულს,
მიწის კი არა,
ისე ვფიქრობ — ღამისძვრებია
და ღამით, როცა
გამეპარე ღრმად ჩაძინებულს —
დამიჯერე, რომ
მას შემდეგ არც გამღვიძებია.

სხვებმა იცინონ,
რა ანაღვლებთ, რა ენაღვლებათ —
ჯანდაბას სხვები! —
შენ ჩემთვის ხარ სხვათაშორისი.
შენ კარის ღრიჭოს
არასდროს არ შემოაღებ და
მე ხის საწოლს ვწვავ
(ბუხარში ვწვავ) — ერთ დროს, ორისთვის.



გიორგი შერვაშიძე

ჩემო ნანუკამას

გახსოვს, ნანუკამას, სპექტაკლი რომ დავდგით? აუ, რა მაგარი ამბავი იყო?! მეც კი მომეცი მაშინ როლი და კიდეც ვითამაშე. აი, რა სპექტაკლი იყო, ეგ კი აღარ მახსოვს, მაგრამ მე რომ ლოთ კაცს ვთამაშობდი, ეგ კარგად დამამახსოვრდა. უსიტყვო როლი მქონდა. მთელი წარმოდგენა სცენაზე უხმოდ ვიწექი და მეძინა. მერე კი საფინალო სცენაში ვიღვიძებდი, მეეზოვე ქალთან მივრბოდი და ლოყაზე ვკოცნიდი. ეგ ადგილი ყველაზე მეტად მომწონდა და კიდეც აღმაგზნებდა. მაშინ კიდევ იმ ასაკში ვიყავი, აი, ყველაფერი რომ აღმაგზნებდა და, შესაბამისად, ყველაფერზევე უსასრულოდ მასტურბირება შემეძლო. აქ კიდევ უცებ ასეთი საინტერესო როლი მერგო და გოგოსთვისაც კი უნდა მეკოცნა. თან ნაღდი, ცოცხალი გოგოსთვის. მახსოვს, თავიდან სცენარის მიხედვით, მეეზოვისთვის ტუჩებში უნდა მეკოცნა, თუმცა მერე ბაგე ლოყამ შეცვალა. ალბათ ტუჩებში კოცნას ვერც გადავიტანდი. ეს ჩემი უკიდეგანო ფანტაზიისთვისაც კი ნამეტანი იქნებოდა. მარტო ლოყაზე კოცნის წარმოდგენაზეც კი ისე ვიგზნებოდი, რომ შემეძლო მთელი ღამე თეთრად გამეთენებინა. თუმცა მერე რომ ვნახე, ვინც დაამტკიცეს მეეზოვე ქალის როლზე, საერთოდ აღარ მეჩვენა ეგ კოცნის ამბავი ეგზომ მომხიბვლელი. ცოტა ვინანე კიდეც, ამდენი დრო და ენერგია რომ დავუთმე ამ ერთ კოცნაზე ფიქრს. არადა, ცუდი სპექტაკლი ნაღდად არ გამოვიდა. მერე ყველაფერი რომ დამთავრდა, მახსოვს, მითხარი, შენ მსახიობი უნდა გამოხვიდეო. რა შემატყვე, მსახიობობისა წარმოდგენა არ მაქვს. დავიჯერო, ისეთი დაუვიწყარი კოცნა გამომივიდა, რომ ისიც კი გაფიქრებინა, ამისგან კარგი მსახიობი დადგებაო? მეეჭვება, მგონი, უბრალოდ ჩემი წახალისება გინდოდა და მაგიტომაც შემაქე. ისე, ეგ ხოტბა მართლაც მაგრად მეამა და რამდენიმე დღე იმაზეც კი ვფიქრობდი, მსახიობი გამოვსულიყავი და სასიყვარულო სცენებშიც მეთამაშა. ნუ ძირითადად სასიყვარულოში მაინც... მგონი, პორნოვარსკვლავობა მინდოდა და, უბრალოდ, ამ პროფესიის სახელი არ ვიცოდი.

და ის თუ გახსოვს, ნანუკამას, ერთხელ ნოდარას გადარეული ძმა რომ მიუვარდა სკოლაში ფიზიკის მასწავლებელს, ჩემს უმცროს ძმას ნიშანს რატომ არ უწერო. სამ კბილებამდე შეიარაღებულ მუტრუკთან ერთად დაადგა თავზე. მაგ დროს მთელი სკოლა ეზოში ვიყავით შეკრებილი. ნოდარამ წინასწარ გაგვაფრთხილა, ახლა ჩემი ძმა მოვა და ბონდოს ნიშანს დააწერინებსო, ხოლო თუ ის გაჯიუტდა, აუცილებლად ფანჯრიდან გადმოკიდებსო. ჩვენც ვიდექით ცხვრებივით და ველოდით, როდის გადმოკიდებდა ნოდარას გადარეული ძმა უსაზღვროდ ჯიუტ ბონდო მასწავლებელს ფანჯრიდან. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მწარე გინებასა და მინების მსხვრევას მართლაც მოჰყვა ფანჯრების ფართოდ გამოღება. სულ მალე კი დანაპირებიც ახდა და კოჭლი ბონდო მტვრიანი ხალიჩასავით გადმოფინეს ფანჯრიდან. ისე, ისიც მართლა რა მაგარი ჯიუტი კაცი იყო, არა? ეკიდა ასე თავდაყირა და მაინც იმას გაიძახოდა, მე მაგას ნიშანს არ დავუწერო. და რა მოხდა მერე? მთელი სამასწავლებლო, ქალიან-კაციანა, სადღაც გაქრა და ერთადერთი ადამიანი, ვინც ბონდოს გამოესარჩლა, სწორედ შენ აღმოჩნდი. დიახ, ნანუკამას, ამ გადარეულებს მხოლოდ შენ შეეწინააღმდეგე. მახსოვს, შენი შეკივლება და ყინულივით ცივი ხმა ეზოშიც კი მოგვწვდა, ახლავე დააბრუნეთ ბონდო თავის ადგილზეო. ისინიც, თითქოს შენს ბრძანებას ელოდნენო, დაფაცურდნენ და ბონდოც უკან, ოთახში დააბრუნეს. მერე იქ რა მოხდა და რა ილაპარაკეთ, აზრზე არ ვარ, თუმცა ის მუტრუკები სკოლიდან ისეთი დარცხვენილები გაიძურწნენ, რომ გასვლისას თავი არც ერთს აუწევია. ბონდომ ნოდარას ნიშანი მაინც არ დაუწერა და საშემოდგომოც გამოყოლა. არა, მართლა ძალიან მაგარი იყავი, რა, ნანუკამას. შემდეგ მთელი თვე მარტო ამ ამბავზე ლაპარაკობდა სკოლაცა და უბანიც. ფაქტობრივად გმირი გახდი, რა. ოღონდ ქალი გმირი. გმირი, რომელიც მერე იმ სირს გაჰყვა ცოლად. აი, ეგ ამბავი კიდევ იმაზე უფრო დიდი შოკის მომგვრელი გამოდგა, ვიდრე ბონდოს ფანჯრიდან გადმოკიდება. თავიდან, როცა ხმა გავარდა, ნანუკამასი თენგიზას ცოლად გაჰყვაო, დედას გეფიცები, არავინ დაიჯერა. შენ ასეთი ჭკვიანი, ლამაზი, წესიერი და ის კიდევ ასეთი... ისეთი... პათოლოგი... ნეტავ, რა მოხდა მაშინ და რამ გაიძულა, მაგ ნაგავს ცოლად გაჰყოლოდი? ვითომ, მართლა გიყვარდა? თუ იყო კიდევ რაღაც? რაღაც, რასაც ვერ გადააბიჯე და ასეთი გაუგონარი რამ ჩაიდინე? იქნებ, კიდეც იძალადა შენზე და ან კი გაშინებდა?! არ ვიცი, რა იყო და როგორ, თუმცა ეგ სიახლე რომ გავიგე, მახსოვს, ძალიან შემშურდა თენგიზასი. აი, ისე ძალიან, რომ სკოლაშიც აღარ წავსულვარ და მთელი დღე მუშთაიდის ბაღში დავბორიალობდი ეულად. მგონი, სწორედ მაშინ მივხვდი, რომ სიგიჟემდე მიყვარდი.

და ის თუ გახსოვს, გალაკტიონის ლექსებს რომ ზეპირად გვასწავლიდი? მეც კი ვისწავლე რამდენიმე. არადა, ეგ ლექსების გაზუთხვის ამბავი, უბანში რომ გაეგოთ, აი, ისეთს დამცინებდნენ, გარეთ თავს ვეღარასოდეს გავყოფდი. თან ეს პოეზიაც ძალიან მომწონდა. თან შენც რაღაცნაირად შთამბეჭდავად კითხულობდი. ღვთაებრივადაც კი... უსასრულოდ შემეძლო შენი მოსმენა. ალბათ ყველაზე მაგარი ქართულის მასწავლებელი იყავი მთელს ქვეყანაში. არა, რა ქვეყანაში, კონტინენტზე. თუმცა, შეიძლება, პლანეტაზეც კი... მასწავლებელი, რომელსაც მოწაფეები მზიურის პარკში მხოლოდ იმისთვის დაჰყავდა, რათა იქ მათთვის გალაკტიონის ლექსები წაეკითხა. ისიც კი მახსოვს, ერთ ლექსზე მითხარი, ეს შენ შეგეფერება და კარგად დაიხსომეო. მეც ზედმიწევნით დავიხსომე ეს ლექსიცა და ის ყვავილებიანი ჩითის კაბაც, რომელიც იმ დღეს პირველად გეცვა.

სიტყვა არ გაბედო, რომ შენ დაიღალე,
განზე გადექი და ტყვია დაიხალე.
გული გაიხელე, სისხლით გაიხალე,
ოღონდ არ გაბედო, —
რომ შენ დაიღალე.

ისე, რაღა ეს ლექსი შემირჩიე და გაიმეტე ჩემთვის? რატომ ჩათვალე, რომ სწორედ ეს ლექსი უნდა ყოფილიყო ჩემთვის მნიშვნელოვანი? ვითომ, გული გიგრძნობდა, რომ თვითმკვლელობისკენ მიდრეკილი ვიქნებოდი? არ ვიცი, თუმცა ეს ლექსიცა და სხვა დანარჩენნიც უსაზღვროდ მომწონდა. ბევრი მათგანი დღესაც კი მახსოვს. აი, ეს კიდევ შენი საყვარელი არ იყო?

ახლა, რა თქმა უნდა, ძლიერ გვიანაა.
გულში მწუხარებამ ღამე გაათია...
მაინც არ მასვენებს მწარე სინანული,
რომელი საათია? რომელი საათია?

ამ ჩვენი ბუნებაში „სალექსაოდ“ გასვლებიდან კიდევ მე მაინც ყველაზე მეტად ის ერთი დღე დამამახსოვრდა, როდესაც ვაკის პარკში წაგვიყვანე და ლექსები წაიკითხე. ასე მეგონა, მე მომიძღვენი და მხოლოდ ჩემთვის კითხულობდი. ჩემთვის დაწერე... ჩემზე დაწერე... და მხოლოდ მე გიყვარდი და მხოლოდ მე გინდოდი...

იქ, სადაც სდუმან პირამიდები,
მზის ქორწილის დროს მე დავწვები
მზისფერ სილაზე,
იქ, სადაც დუმან პირამიდები,
შენ მომინდები,
შენი თვალები, შენი მკლავები,
შენი სინაზე.

ისე, შენ მარტო ჩემი კი არა, ალბათ ჩემი ძმის მფარველი ანგელოზიც იყავი. სწორედ შენ ურჩიე, რომ ფიზიკა-მათემატიკურზე ჩაებარებინა და თითქმის აიძულე კიდეც, „კომაროვის“ სკოლაში გადასულიყო. შემდეგ წარმატებითვე დაემთავრებინა და უნივერსიტეტშიც წარჩინებით ჩარიცხულიყო. ნეტავ, რა გინდოდა და რა გრჯიდა? რატომ გიყვარდით და ზრუნავდი ჩვენზე ასე? რას ხედავდი ჩვენში? ეჰჰჰ... ისე, ჩემი ძმა მართლაც სულ სხვა ყაიდის კაცი იყო. მე საერთოდ არ მგავდა. მე სულ გართობაზე მეჭირა თვალი და ის კიდევ მუდამ სწავლაზე ფიქრობდა. ხომ გახსოვს, მერე ომი რომ დაიწყო და მოხალისედ წავიდა, ეგრევე საარტილერიოში ჩაეწერა და ისეთი გათვლების გაკეთება დაიწყო, რომ სულ ცხრიანში ურტყამდა. მოწინააღმდეგის ძალიან ბევრი ჯავშანტექნიკა გაანადგურა და გმირის წოდებაც კი დაიმსახურა. სულ მისი გამოთვლებითა და „ნავოდკებით“ იგებდნენ ბრძოლებს. მერე მეც ხომ მივბაძე და გავიპარე ომში. ჰო, ისე, ეს მანამდე არავისთვის მითქვამს და მაშინ იქ, ომში არავის დავუჭრივარ. პირველსავე დღეს ავტომატი გამივარდა და მაგიტომაც დავიჭერი ფეხში. ფაქტობრივად ბრძოლის ველზე რამდენიმე საათი დავყავი. მერე ბიჭებს ვთხოვე, ეს ამბავი საიდუმლოდ შეენახათ და არავისთან წამოსცდენოდათ. იმათმაც არ მიღალატეს და ნამუსი შემინახეს. მერე ვისღა უნდა წამოსცდენოდა ეს ჩემი ვაჟკაცობა, როცა ვინც იქ ჩემთან ერთად იყო, ომიდან აღარც დაბრუნებულა. მე კიდევ დავბრუნდი და უბანშიც ისეთი პატივით დამხვდნენ, როგორც ომის გმირსა და დიდ მამულიშვილს შეეფერება. ნეტავ, მაშინ მერამდენე კლასში ვიყავი? მეათეში? მეთერთმეტეში? არ მახსოვს. შენ კიდევ ჩვენთან სახლში ყოველ დღე დაუზარებლად მოდიოდი და ქართულის გაკვეთილებს მიტარებდი. აი, ხომ დაჭრილი ვიყავი და ეს ფეხიც საშინლად მტკიოდა, მაგრამ დედას გეფიცები, თუ ეგ პერიოდი ყველაზე ტკბილად არ მახსოვდეს. ჩამომიჯდებოდი საწოლთან, დედა ჩაის მოგართმევდა და შენც იწყებდი კითხვას. რას აღარ მიკითხავდი და ვინ აღარ გამაცანი მაშინ?! ეჰ, მართლაც რა კარგი დრო იყო?! ისე, ყოველთვის სწორი იყავი, როცა ამბობდი, ამის გარეთ, უყურადღებოდ დატოვება არაფრით შეიძლება, დაიღუპებაო. ეტყობა, ძალიან კარგად მიცნობდი. მგონი, ყველაზე უკეთაც კი და მართალიც აღმოჩნდი. იმ წელს ჩემი ძმა დაიღუპა, ჩემი უმაღლესში ჩაბარებაც გადაიდო და ცხოვრებაც თავდაყირა დადგა. აღმოვჩნდი გარეთ და თან სრულიად უყურადღებოდ. სკოლაც დავამთავრე, დედამაც შავები ჩაიცვა და მეც დიდი ენთუზიაზმით შევერიე ქუჩის დინებას. მერე კიდევ სად აღარ ამოვყავი თავი და ვის აღარ გადავეყარე. ბევრი ცუდი ამბავიც გადამხდა, თუმცა ეს ჩემი განსაცდელები რა მოსატანია შენებთან?

ჩემი აზრით, იმ შენ ნაბიჭვარ ქმარს თავიდანვე უნდა გაჰყროდი. შვილი თქვენ არ გყავდათ და, მგონი, არც სხვა რამ საერთო გაგაჩნდათ. უნდა ამდგარიყავი და იმ დღესვე მიგეგდო, რა დღესაც კი პირველად ხელით შეგეხო. აუ, როგორ მწარედ მახსოვს ეგ დღე. აი, დღესაც კი ყელში ბურთი მადგება, როცა მახსენდება, პირველად როგორ გავიგე შენი ცემის ამბავი. სკოლის დარაჯი რომ იყო ვალერა, აი, მაგის ბიჭი მოვიდა ბირჟაზე და მოყვა, თენგიზამ გააფრინა და ნანუკას სცემაო. გავშრი და ენა მუცელში ჩამივარდა. მერე მთელი დღე თქვენ სახლთან ვიდექი, რათა შენთვის თვალი მომეკრა. იმ დღეს ვერ გნახე. შენ კიდევ მეორე დღეს სკოლაში ისე გამოცხადდი, ვითომც არაფერი მოგსვლია. არადა, მშვენივრად მოგეხსენებოდა, ყველამ, მთელმა სკოლამ და უბანმაც მშვენივრად იცოდა, ის ნაბოზარი წიხლებით რომ შეგდგა. შენ კიდევ არაფერი შეიმჩნიე. გეკეთა შავი სათვალე და დალურჯებულ ლოყაზეც ტონალური კრემი გესვა. გატაცებით გვიხსნიდი „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდებს და სიყვარულს აღმერთებდი. სწორედ მაშინ გადავწყვიტე, თენგიზა მომეკლა. ჰო, მომეპარა ჩემი ძმის იარაღი, ღამით სახლთან დავხვედროდი და ტყვია შუბლში დამეხალა. ცოტა დიდი რომ ვყოფილიყავი, ალბათ ეგრეც მოვიქცეოდი, მაგრამ მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი და ვერ შევძელი. ვერ გავბედე... არ დაგიმალავ და იმ ღამით მართლაც მოვიპარე ჩემი ძმის იარაღი. ნაგანი ჰქონდა, რომელსაც ლეიბის ქვეშ მალავდა. რად უნდოდა ამ ფიზიკოს კაცს ეს იარაღი, წარმოდგენა არა მაქვს. იქნებ, მისი არც იყო და სხვისას ინახავდა სახლში? მოკლედ, იყო იარაღი და მეც მოვიპარე. მერე თქვენ სახლთან მოვედი და თენგიზას დაველოდე. ის დამპალიც შუაღამეს მოეთრა. როგორც ყოველთვის, ახლაც გახეული მთვრალი იყო. მანქანის კარი გააღო და გადმოვარდა. ძლივს წამოდგა და მორთო ყვირილი — ნანუკა, ნანუკა. ჰოდა, სწორედ მაგ დროს დავაძვრე ნაგანი და რომ უნდა მივახლოებოდი, იმ შობელძაღლმა მანქანიდან ავტომატი არ გადმოათრია და არ დააკაკანა?! მთელი მჭიდი დაცალა და სამეზობლოც ფეხზე დააყენა. შენც სიგნალი მიიღე და ეგრევე ეზოში ჩამოქანდი. მხარში ამოუდექი და სახლისკენ წაათრიე. მე კიდევ ვიდექი იქვე, ხეს ამოფარებული და მესმოდა, ის ცხოველი როგორ გაგინებდა და გლანძღავდა.

შენ კიდევ მიათრევდი, ამშვიდებდი, ეჩურჩულებოდი და უყვავებდი. ის კიდევ უშვერი სიტყვებით გლანძღავდა და ბრაზისგან პირიდან დუჟი სდიოდა. იმ წამს თითქოს შიგნით რაღაც ჩამწყდა და მაშინ გადავწყვიტე, აღარასოდეს მენახე. მგონი, ვიეჭვიანე, შენი შეურაცხმყოფელი და ამომგდები იქვე რომ არ დააგდე და ჩემთან ერთად არ გაიქეცი. მე ხომ შენ მიყვარდი?! მე ხომ შენ ცივ ნიავს არ მოგაკარებდი?! მე ხომ შენი გულისთვის მთებს გადავდგამდი?! და შენ კი მაინც ის მკვლელი აირჩიე. მართალია, არასდროს მითქვამს, რომ მიყვარდი, თუმცა დარწმუნებული ვარ, ამას ისედაც მშვენივრად ხვდებოდი. ხვდებოდი და მაინც თენგიზასთან ცხოვრობდი.

ისე, რა უცნაური რაღაც ყოფილა ეს ცხოვრება?! მთელი ის პერიოდი, რაც შენ ჩვენი ქართულის მასწავლებელი და მერე კი დამრიგებელი იყავი, სულ ძალადობას გმობდი და მისი ნებისმიერი სახით გამოვლენას სასტიკად ეწინააღმდეგებოდი. ლიტერატურულ ტექსტებში ასახულ ძალადობის სცენებსაც კი ემიჯნებოდი და ცდილობდი, სულ სხვა მხრიდან განგეხილა. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ მთელი ახალგაზრდობა და საუკეთესო წლებიც მოძალადესთან ერთად იცხოვრე და თავიც შესწირე. მეტიც, მისი მსხვერპლიც გახდი. ვითომ, ბედის ირონია იყო ახლა ეს? ვითომ, ასე ძლიერ გიყვარდა ის ნაბიჭვარი, რომ გაშორების შემდეგაც კი მზად იყავი, მასთან გესაუბრა და სახლის კარიც გაგეღო? მერე უბნის ჭორიკანა ქალები ჰყვებოდნენ, თენგიზას გაუგია, ჩვენ ბანკეტზე ფიზკულტურის მასწავლებელს რომ ეცეკვე და მაგაზე უეჭვიანია, გაუფრენიაო. არადა, მაგ დროს შენ უკვე მისგან წამოსულიც იყავი და დედასთან ცხოვრობდი. ცხოვრობდი რა, მკურნალობდი. იმ მხეცმა ბოლოს ხომ ისე გცემა, რომ ნეკნები ჩაგიმსხვრია?! შენც ამ წარმოუდგენელ წნეხს ვეღარ გაუძელი და დედასთან გადახვედი. მერე ეს ჩვენი დასაწვავი ბოლო ზარი და ბანკეტი იყო. მე არ მინახავს შენი ცეკვა, მეტიჩარა გოგოებს კი არ გამოპარვიათ. მერე სახლში მშობლებისთვის მოუყოლიათ. მერე იმათ ენაჭარტალა დედებს მეზობლებისთვის უთქვამთ და საბოლოოდ ეს ამბავი ათას კუდ-ფეხ გამობმული თენგიზამდეც მისულა. იმან კი ის ქნა, რაც ყველაზე უკეთ ეხერხებოდა. დათვრა და მოგივარდა. შენ კი იმის მაგივრად, რომ მილიციაში დაგერეკა და ან კი მეზობლებისთვის დახმარება გეთხოვა, ადექი და კარი გაუღე. ის მკვლელი, რომელიც შენ კარს წიხლებს ურტყამდა, სახლში შეუშვი. რატომ? რატომ ქენი ეს ნანუკა? რატომ შეუშვი ის ველური შენს სახლში? რატომ არ დარეკე მილიციაში და რატომ არ ითხოვე შველა? მე, მე რატომ არ დამიძახე?..

არცერთ პანაშვიდზე მე არ ვყოფილვარ. არც გასვენებაში მოვსულვარ. არ შემეძლო. ვცადე, მაგრამ არ გამომივიდა. ვერაფრით შემოვდგი ფეხი შენს სადარბაზოში. არ შემეძლო შენი მკვდარი და დასახიჩრებული სხეულის ნახვა. ვერც შენ შავ ჩარჩოში ჩასმულ ფოტოს შევხედავდი. ვერც დედაშენის კივილსა თუ მამაშენის ღრიალს გავუძლებდი. არც შენი ნათესავებისა თუ მეზობლების ვიშვიშის ატანა შემეძლო. უბრალოდ, ვერ შევძლებდი მთელი ამ დამპალი და უსახური საზოგადოების დანახვას. საზოგადოებისა, რომელიც არ დაგეხმარა და იმ ნადირს შეგატოვა. ხალხისა, რომელმაც გაგიმეტა და გაგწირა. ერთობისა, რომელმაც ჯერ დანით ყელი გამოგჭრა და მერე კი აივნიდან გადმოგაგდო. დიახ, ეს თენგომ კი არა, მათ ქნეს და მათ მოგკლეს შენ, ჩემო ნანუკამას...

მარგალიტები მოვიხვიე ყელზე
სამწყება,
მარგალიტები, იაგუნდები...
არ შემიძლია შენი სახის გადავიწყება!
არ დაბრუნდები?

მის მერე ამეკვიატა პაოლოს ეს ლექსი და სულ თან დამდევს. მახსოვს, როგორ მგზნებარედ კითხულობდი ამ სტროფებს. მხატვრულად, გამოთქმით და თავდავიწყებით... ეს ლექსიც შენ შემაყვარე და მთელი პოეზიაც, ლიტერატურაცა და მთლიანობაში ცხოვრებაც. და ახლა უკვე ზუსტად ვიცი, რომ შენ აღარ დაბრუნდები...

ამას წინათ შენი მკვლელი ქმარი შემხვდა. 25 წელიც გასულა და ციხიდანაც გამოუშვიათ. მაღაზიასთან ეგდო მთვრალი და ხაოდა — ნანუკა... ნანუკა... ნანუკა... ეტყობა, ეგეც ვერ გივიწყებს. მართლა ვერ ვხვდები, რა გინდოდა შენ მაგ კაცთან? რა? დღემდე არ მესმის არც ეგ და ბევრი სხვა რამეც. და მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ვაგრძელებ ცხოვრებას. შენ ნასწავლ ცხოვრებას... ახლა კი უნდა დაგტოვო, ჩემო ძვირფასო ნანუკამას. ამ პასქას აგერ დავტოვებ და ამ წითელ კვერცხს კიდევ ამ ყვავილებში დავმალავ. ერთ ჭიქა ღვინოსაც წაგიქცევ, სანთელს ქვაზე მივამაგრებ და მერე გავუყვები ჩემს გზას. ახლა ჩემი ძმის ჯერია. ახლა ჩემი არტილერისტი ძმა უნდა მოვინახულო. იქნებ, ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, ეს ყველაფერი სხვანაირად მოწყობილიყო? იქნებ, არც შენ დაგმართოდა ეს ამბავი და პირიქითაც, გვეცხოვრა ყველას ერთად და დიდხანს. გვეკითხა გალაკტიონისა თუ პაოლოს ლექსები და ვყოფილიყავით ბედნიერები. იქნებ, ყველაფერი მართლაც ასე ყოფილიყო და იქნებ, არც... აბა, შენ იცი ახლა, ჩემო ნანუკამას, და გახსოვდეს, ადრე თუ გვიან აუცილებლად შევხვდებით. და შენ ისევ იქნები პლანეტაზე საუკეთესო ქართულის მასწავლებელი და მე კიდევ შენი საყვარელი მოწაფე. ჰო, ღამის სულ დამავიწყდა — ქრისტე აღსდგა. აღსდგა და არა აღდგა. სწორედ ისე, როგორც ამას შენ მასწავლიდი...

ამაღამ მგონი იქნება ქარი,
ვაი დედოფალ ტყემლების ბრალი,
დაღონებული წავიდა ქმარი
და დაბრუნდება დილაზე მთვრალი.

გიორგი ლორთქიფანიძე

ქალღმერთი ნიკე

მე, შერლოკ ხარმსი, თბილისში ვცხოვრობ და ნახევარი საუკუნის წინათ ამ ქვეყნად ჩემი მოვლინებიდან დღემდე ამ განუმეორებელი ქალაქის იდუმალი და უხილავი განცდებით ვტკბები. ძალზე გავიწაფე ამ საქმეში.

ამ სიამტკბილობაში კი „შარლოტის“ თავდამსხმელმა მაილს ბრიჯესმა მაღალ ნახტომში აჯობა „ლეიკერსის“ დამცველს, მაგრამ მაინც ვერ ჩატენა ბურთი კალათში. ბურთი მოხვდა კიდეს, აირეკლა, ქუჩაში პირდაპირ ტროტუარზე ჩემს წინ დაეშვა და იმის ნაცვლად, რომ დაბლა გამზირისკენ ხტუნვა-ხტუნვით გაგორებულიყო, ადგილზე დაბზრიალდა და ძვრა აღარ იყო მისი.

პურის მაღაზიისკენ მივიჩქაროდი, მეზობელი ლამარა დეიდასთვის ქატოს დიეტური პური უნდა მეყიდა. თეთრი პური შეურაცხყოფს და აზარალებს ამ ასაკოვანი ქალბატონის კუჭის ეპითელიუმს და ამის გამო დილაობით უბნის შორეულ „მარკეტში“ მიწევს სიარული, რაც ქუჩაში ყოველდღიური გასეირნებისა და შედარებით სუფთა ჰაერის ჩასუნთქვის საშუალებას მაძლევს. მერე ნიღაბს ცხვირიდან ნიკაპზე ჩამოვწევ და „კოვიდ-ნარუშილოვკით“ ხელში, ჰაიდა, სუნთქვა-სუნთქვით პურის მაღაზიისკენ — მე ხომ ხარმსი ვარ, ნათესავებში გოგოლ-მოგოლი, ნიკო ლორთქიფანიძე, ქალაქის პოლიციის უფროსი და მედიცინის მუშაკთა ზედამხედველი მყვანან, ასე იოლად ვერ დამაჯარიმებენ... სწრაფად ვიცი სიარული და გზაში კურდღელივით აქეთ-იქეთ არ ვიხედები ხოლმე, მხოლოდ პირდაპირ, მაგრამ ბურთი სწორედ მაშინ დაეშვა ჩემს წინ, როცა ქუჩის მეორე მხარეს გადასვლას ვაპირებდი. ამიტომ ძალაუნებურად შევყოვნდი, დავიხარე და ბურთს ყურადღებით დავაკვირდი.

წარმოიდგინეთ ფეხთან მობზრიალე ვეებერთელა ნახევრადგამჭვირვალე ბუშტი, რომლის გარშემოწირულობა აშკარად აღემატება კალათბურთის ბურთის სტანდარტულ სამოცდათვრამეტ სანტიმეტრს. უმალ მივხვდი, თუ რატომ ვერ ჩაეშვა ბურთი კალათში, ის უბრალოდ ვერ ჩაეტია... ბურთი კი ამასობაში წამდაუწუმ ფერს იცვლიდა, ცაში მოფარფატე ლაღი ღრუბელივით ლივლივებდა, თავადაც მსუბუქად მოშრიალე ბუმბულისებრი ღრუბლებით იყო შემოსილი, ჭექდა და ელავდა და თითქოს ყურადღებას ითხოვდა ჩემგან — ამიტაცე, ბედნიერებას მოგიტან, აგაშენებ, ფორმულა 1-ის გმირად გაგხდი, აღარ მოგიწევს ქატოს პურზე და აქაურ ზღვაზე სიარული, რამეთუ ქობულეთის მოყირჭებულ სანაპიროს ზამთრობით ალპებში განფენილი დათოვლილი შალე და პალეროიალებით, ხოლო ზაფხულობით ღამის აკაპულკოს ცის კაბადონზე მოჭედილი ბრჭყვიალა ფანტელებით ჩაგინაცვლებო... ყველა ამ შეპირებამ, ვითარცა მთელმა ჩემმა წარსულმა, წამის მეათედში გამირბინა თვალწინ, ამიტომ გავბედე, ბურთს თითი დავაკარე და უმალ ვინანე კიდეც — დენის ძლიერმა მუხტმა უცებ მომისროლა ტროტუარიდან და იქვე მიმაქროლმა მანქანამ კინაღამ ბორბლებში ჩამიყოლა, ძლივს მოვასწარი თავის არიდება... ასე და ამგვარად დავრწმუნდი, რომ ეს სხვისი ბედნიერების ბურთი იყო. არ ვიცი, ვისი — იქნებ მაილს ბრიჯესის, იქნებ დეიდა ლამარასი, იქნებ კი სულაც ჩემი თანაუბნელი კუდრაჭა ქალღმერთი ნიკესიც კი, იმ ნიკესი, რომლის ერთი გაღიმებაც კი ოდესღაც აღმაფრენით ავსებდა ჩემს გონებას, სულსა და გულს — და არა მხოლოდ ჩემსას, არამედ ყველა ჩემი თანაკლასელის, თანასკოლელისა და თანაქალაქელის ერთად აღებულისა... ვაღიარებ, მინდოდა, ხელში ამეტაცა და ამეთამაშებინა, მაგრამ... ტროტუარზე ავბრუნდი, უფრო ფრთხილად ჩავაკვირდი მოელვარე ბუშტის ფერისცვალებას და აღმოვაჩინე, რომ მისი გარშემოწერილობის სამოცდათვრამეტივე სანტიმეტრის ყველა გრძედსა და განედზე სამოცდათვრამეტი ფერადი სურათი გამოჩნდა და ამ სურათებში ელვარებდა კუდრაჭა ნიკეს მთელი ცხოვრება: ყველა მისი სიხარული თუ გლოვა, გამარჯვება თუ მარცხი, შენაძენი თუ დანაკარგი, შვილები თუ შვილიშვილები, პირველი პაემანი თუ უკანასკნელი მოჰიკანი, და მივხვდი, რომ მისი ცხოვრების მითვისებას აზრი არა აქვს, დაგვიანებულია, მატარებელი გავიდა მეზობელი დეიდა ლამარას სადგურიდან და მაილს ბრიჯესის სადგურისკენ მიემართება, შერლოკი ვეღარ გააჩერებს.

მივხვდი ამას თუ არა, წელში გავსწორდი, საკუთარ თავზე გაბრაზებულმა ფეხი გავაქანე, ბურთს მთელი ძალით დავარტყი და იმასღა გავაყოლე თვალი, თუ როგორ გაფრინდა ის ხმელი ფოთოლივით დაბლა გამზირისკენ და ბოლოს, როგორც იქნა, კუთვნილ ადგილას, „ლეიკერსის“ კალათში ჩაეშვა. ამჯერად, ჩაეტია.

მერე გამახსენდა, რომ კატოს დიეტურმა პურმა დახლიდან სწრაფად გაქრობა იცის ხოლმე, დეიდა ლამარას ეპითელიუმის უგულებელყოფას კი არავინ მაპატიებს და ქუჩაზე სწრაფად გადავედი. წინ მაღაზია მელოდა.

ამ დედამიწაზე ყველას თავ-თავისი კალათბურთის ბურთი ეკუთვნის და თავ-თავისი „შარლოტი“ და „ლეიკერსი“ ეგულება — თუ ეგულება. სხვისი კი არავის შეერგება. შეეცდები, შეირგო და, დენი დაგარტყამს, ან გადარჩები, ან — ვერა. დასაბამიდან ეგრეა და ამ წესს ვერაფერი შეცვლის: ვერც ჟამთა უსასრულო ცვალებადობა, ვერც ასტეროიდი ცაში და ვერც ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი დედამიწაზე.

გამოგიტყდებით, სარდაფში მეც კი მაქვს შემონახული პატარა და დროისგან გაცვეთილ-გაყვითლებული ტყავის ბურთი, განუმეორებელი, ვით თავად მე — შერლოკ ხარმსი. სათამაშოდ კიდევ ივარგებს, თუმცა ხშირად მაინც არ ვაწუხებ. უხეში, ხაოიანი და მტკივნეული ზედაპირი აქვს.

„ᲚᲐᲨᲐᲠᲔᲚᲐᲡ“ 1963 წლის გამოცემის ანოტაციაში აღინიშნებოდა, რომ:

ის წარმოადგენდა გადამუშავებულსა და შესწორებულ რედაქციას.

გრიგოლ აბაშიძე თავისი რომანის ანოტაციას თვითონვე შეადგენდა და გადამუშავებულისა და შესწორებულის აღნიშვნას აუცილებლობად მიიჩნევდა.

დაე მკითხველს ამთავითვე სცოდნოდა, რომ:

აქ არ მეორდებოდა 1957 წლის გამოცემა და ავტორს გარკვეული შესწორებანი შეეტანა.

ხოლო თუ რა შეიძლებოდა, შეესწორებინა, პირვანდელი ვერსიის წამკითხველი თავისითაც ივარაუდებდა და გადაკითხვა პირველი თავებისა კიდეც დაუდასტურებდა ამ ვარაუდს.

სხვაგვარად მწერალი მოერიდებოდა „ლაშარელას“ ხელმეორე გამოცემას.

გადამუშავება და შესწორება უმეტესწილად გულისხმობს გაუკეთესებას: ამათუიმ მონაკვეთისა თუ პასაჟისა, თუმც არაერთხელ მომხდარა — ჩვენშიც და ყველა ქვეყანაშიც — რომ მწერლის ჩარევას ტექსტში კი არ გაეუმჯობესებინა რაიმე, არამედ გაეუარესებინა.

საბჭოთა რეჟიმის პირობებში კი სულაც კონიუნქტურული ცვლილებანი იყო მოსალოდნელი — მწერლის ნების საწინააღმდეგო და მხოლოდღა იძულებითი — და ჩასწორებანი სულაც არა ნიშნავს, თითქოს ეს მწერლის საბოლოო ნება იყოს.

ვინ იცის, როგორი გულისტკივილით გააყოლებდა თვალს თავისივე ხელით ამოშლილ თუ გადაკეთებულ სტრიქონებს ესათუის შემოქმედი.

ამიტომაც ბოლო ვერსია არ შეიძლება უყოყმანოდ ვაღიაროთ ავტორის საბოლოო ნებადაც.

„გადამუშავებული და შესწორებულიო“, „ლაშარელას“ ანოტაცია რომ გვატყობინებდა, ამჯერად მაინც როგორ უნდა მიგვეღო?

გაუმჯობესებად?

გაუარესებად?

საბოლოო ნებად?

იძულებით ნაბიჯად?

მანამდე კი ანოტაცია გვაუწყებდა, რომ:

მეცამეტე საუკუნის ეს ქართული ქრონიკა მოგვითხრობდა ძლიერი ფეოდალური საქართველოს მზის ჩასვლის დასაწყისზე, დიდი თამარის შემდეგ ტახტზე ასული ლაშა-გიორგი მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლე რომ იბრძოდა სამეფო ხელისუფლების გასაძლიერებლად და უზომოდ განდიდებულ ფეოდალთა თავგასულობის ასალაგმავად.

ეს ის პოლიტიკურ-კონიუნქტურული ფრაზაა, ისტორიული რომანის დაწერის გამართლებად რომ ესაჭიროებოდა მწერალს ბოლშევიკურ-კომუნისტური მმართველობის ჟამს, რაკიღა მოსალოდნელი გახლდათ არაკეთილმოსურნეებს წარსულისა და მონარქიის გაიდეალება ეკიჟინებინათ გრიგოლ აბაშიძისათვის, მიუხედავად იმისა, რომ „ლაშარელა“ რეალისტური მანერით დაწერილიყო და სიახლედ წარმომდგარიყო ქართული ისტორიული რომანის რომანტიკული ნაკადის ფონზე.

განდიდებულ ფეოდალთა თავგასულობით ალაგმვის მცდელობაზე ხაზგასმას უნდა გაეკვალა გზა რომანისათვის, რაკიღა საბჭოთა ისტორიოგრაფია განადიდებდა სახელმწიფო ცენტრალიზაციას და გმობდა ყოველგვარ, მათ შორის — ფეოდალურ, წინააღმდეგობას ამ ცენტრალიზაციის მოსაშლელად.

როსტომ ჩხეიძე

„ლაშარელა“ და მწერლის საბოლოო ნება

მერე კი გვამცნობდნენ, რომ:

შინაგანად დახლართულ სოციალ-პოლიტიკურ სირთულეს უნდა დამატებოდა ისტორიის სარბიელზე ახალი ძლიერი მტრის — მონგოლების გამოჩენაც, მათ პირველ დარტყმებს საგრძნობლად რომ უნდა შეერყია საქართველოს სამეფოს ძლიერება, ხოლო ლაშა-გიორგი საბოლოოდ მონგოლთაგან მიყენებულ ჭრილობას ემსხვერპლა.

ხოლო მწერალი ლაშას გვიხატავდა როგორც:

ადრეული რენესანსის ადამიანს, გულის ამყოლს, სიყვარულში ერთგულ მიჯნურსა და კეთილშობილ რაინდს, ფართოდ განათლებულ ჭაბუკ მეფეს, რომლისთვისაც უცხო არ გახლდათ არც სარწმუნოებასთან თავისუფალი დამოკიდებულება და არც სამიჯნურო ფათერაკები.

სარწმუნოებასთან თავისუფალი დამოკიდებულების ხსენებაც აუცილებელი იყო პოლიტიკურ-კონიუნქტურული თვალსაზრისით, მარქსისტული ნორმები ამგვარ ხედვას ჭაბუკ მეფეს ღირსებად რომ მიუთვლიდა.

და... შესწორება და გადამუშავება მაინც რომელ ადგილებს შეხებოდა „ლაშარელასი“?

რომელს და:

* * *

ლაშარის გორაზე მსხვერპლშეწირვისა და დამწყალობნების მონაწილე ლაშა-გიორგი შემთხვევით რომ შეესწრებოდა, რარიგ მარჯვედ მოიგერიებდა და გაუმკლავდებოდა ახოვანი ჭაბუკი სამ მოსისხლეს, თავისთან მიიხმობდა, შეიტყობდა მის ვინაობას და ლუხუმ მიგრიაულს თავის მცველობას შესთავაზებდა.

და თბილისში, სასახლეში დაბრუნებული თავის სასვენებულ პალატაში რომ შევიდოდა, კართან მცველად ლუხუმს დააყენებდა და უბრძანებდა, მასთან არავინ შემოეშვა.

და ფარშუბდაბღუჯული გოლიათიც უზარმაზარ ოქროჭედილ კართან უნდა გაქვავებულიყო. და ჩასაფრებული ნადირივით სულგანაბული მისჩერებოდა მოფარდაგულს.

ქალების კისკისს უნდა გამოერკვია მეფის ახალი მცველი, მოფარდაგულის თავში სამი ერთიმეორეზე უტურფესი გოგონა რომ უნდა გამოჩენილიყო, მათგან ყველაზე ლამაზსა და მდიდრულად მორთულს დანარჩენი ორი სიცილ-კისკისით უკან გაებრუნებინა და თვითონ ასკინკილის ცეკვითა და სიმღერით პირდაპირ მეფის საწოლისაკენ წამოსულიყო.

კარს რომ მიუახლოვდებოდა, შეჩერდებოდა, ეტყობოდა ელოდა, რომ მცველი კარს გაუღებდა, მაგრამ უძრავად გაშეშებულ გოლიათს რომ შეხედავდა, წამით შეცბებოდა, თავით ფეხამდე აათვალიერებდა, ბოლოს ჭრელ პაჭიჭებზე დააცქერდებოდა და სიცილი აუტყდებოდა. მერე კისკისა ქალიშვილი სახეს კუშტად შეკრავდა, ტუჩს აბზეკდა და კარის სახელურისაკენ წაიღებდა ხელს, მაგრამ კარის წინ ლუხუმი უნდა აღმართულიყო და გზა გადაეღობა.

— განზე მიდექ, დათვო! — ზიზღით შეუძახებდა ქალიშვილი.

მეფის მცველი, თითქოს არც გაეგონოს, ზურგით კარსმიყრდნობილი იდგებოდა და წარბსაც არ შეიხრიდა მოთმინებადაკარგული ქალის წინაშე, რომელიც გაანჩხლდებოდა, გაკაპასდებოდა და კივილსაც მოჰყვებოდა, ხმაურზე მეორე კარი რომ უნდა გაღებულიყო და ლაშა გამოჩენილიყო, რომელსაც გაკაპასებული ქალისა და გაჯიუტებული მცველის შემხედვარეს უნდა გასცინებოდა, მათკენ წამოსულიყო, ქალიშვილს ზურგიდან წამოპარებოდა და ხელებით თვალები დაეხუჭა.

— გამიშვი-მეთქი, ეს ვინღა არი! ლაშა, მიშველე... ლაშაა... — და ქალიშვილი პატარა ბავშვივით უნდა ატირებულიყო.

— აქა ვარ, აქაა! — უნდა გამოეჯავრებინა ლაშას, ხელები თვალთაგან მოეშორებინა და მისკენ შემობრუნებულ თვალცრემლიან რუსუდანს გადახვეოდა, მცველისათვის კი ეთქვა: ეს ჩემი დაია, რუსუდანი, იგი ყოველთვის უნდა გამოატაროო!

რუსუდანს წყენა ერთბაშად უნდა დავიწყებოდა, კარგ გუნებაზე დამდგარიყო და ლუხუმისათვის ეშმაკურად მიემართა:

— მეფეს წაწლობა მოსწონებია. შენ, ალბათ, ბევრი წაწალი გეყოლება, ფშაველო!

1963 წლის გამოცემაში ეს ფრაზა ასე ჩასწორდებოდა:

— მეფეს ფშავი მოსწონებია. შენ, ალბათ, ლაშარის ყმა ხარ, ფშაველო!

ოღონდ რამდენადაც ბუნებრივია ლუხუმის საქციელი პირვანდელ ვერსიაში, წაწლობის ხსენებაზე სახე რომ აელეწება, თვალებს დახრის და ხმას ვერც ამოიღებს, იმდენადვე მოულოდნელი ჩანს მისი ამგვარი რეაქცია ფშავისა და ლაშარის ყმის ხსენებაზე, ამ ფრაზას მწერალი რომ აღარ შეცვლიდა და ჩატოვებდა ერთგვარ რუდიმენტად.

— ღონიერი ჩანს შენი ახალი მცველი, ნახე რა კუნთები აქვს, წეღან ძვრა ვერ ვუყავი, — ისევ უნდა ატიტინებულიყო რუსუდანი, ლუხუმის მარჯვენა მკლავისათვის თავისი ორივე ხელი შემოერტყა და ვერ კი შემოეწვდინა.

— ღონიერი კი არა, გმირია, ნამდვილი ბუმბერაზი. ხმალში უნდა გენახა, სამ ხევსურს როგორ მარტო გაუმკლავდა! — შეაქებდა ლაშა დარცხვენისა თუ სიხარულისაგან სახეწამონითლებულ ლუხუმს, მერე კი რუსუდანს უნდა მიბრუნებოდა და სიცილით ჩაეჩურჩულა:

— მაგ მკლავებს ერიდე, თორემ ნეკნები არ შეგრჩება!

რუსუდანს ეშმაკურად უნდა გაეღიმა, მერე ლუხუმისაკენ ქუფრად მობრუნებულიყო და მკაცრად ეთქვა:

— სასახლეში ფშაურად არ იცვამენ, ფხოველო. აბანოში წადი და ეგ გამურული ტანსაცმელი გამოიცვალე!

და მეფეც თავის ქნევით რომ დაუდასტურებდა ლუხუმს რუსუდანის ნათქვამს, და-ძმა იქაურობას გაშორდებოდა.

1963 წლის გამოცემაში რუსუდანი აღარ შემოარტყამდა ლუხუმის მარჯვენა მკლავს თავის ორივე ხელს, და აღარც ლაშა უჩურჩულებდა: მაგ მკლავებს ერიდეო...

ამიტომაც გაუგებარი დარჩებოდა, რატომღა უნდა გაეღიმა რუსუდანს ეშმაკურად, და რა ჩაეფიქრებინა, მის იდუმალ გულისთქმას ლაშა მაშინვე რომ აუღებდა ალღოს.

ამიტომაც ეს „ეშმაკურად გაღიმებაც“ პირვანდელი ვერსიის რუდიმენტულ გადმონაშთად ჩარჩებოდა ახალ რედაქციაში.

აბაზანაში ჯერ მექისეს უნდა მიეხედა ლუხუმისათვის, მერე სხვა კაცი უნდა გამოცხადებოდა, შემოსვლისთანავე ნაზი, ქალური ღიმილით რომ მიესალმებოდა, ტანსაცმელს ნელსაცხებლებით დაუზელდა და თმას დაულბობდა და დაუვარცხნიდა, მერე ძვირფას აღმოსავლურ ხალათს მოახვევდა და სანთლებს სულის ერთი შებერვით ჩააქრობდა.

— რას აქრობ? — გაიოცებდა ლუხუმი.

— მომყე... — ჩურჩულით უნდა ეთქვა უცნაურ კაცს, ხელი ჩაეკიდა და წინ გაძღოლოდა. ესეც მინდობილად გაჰყოლოდა. მის მეგზურს სადღაც უნდა შეეხვევინებინა, ფარდის იქით გაეტარებინა, მერე ხელი ეშვა და გამქრალიყო.

— სად წახვალ, ძმობილო? — გასძახებდა მიგრიაული და კედლებზე ხელს მოაფათურებდა.

— აქ მო, ლუხუმო! — ოდნავად გასაგონად უნდა გამოხმაურებოდა ქალის ხმა.

ლუხუმი სმენად უნდა ქცეულიყო, თითქოს ხმა ეცნაურებოდა.

— აქეთ მოდი, ნუ გეშინია, — ისევ მოესმოდა ქალის ჩურჩული.

— ვინა ხარ? — გასძახებდა გაოცებული ლუხუმი და გაუბედავი ნაბიჯებით დაიძრებოდა იქით, საიდანაც ქალის ხმა მოდიოდა.

რამდენიმე ბიჯს რომ წადგამდა, ვიღაც მოეგებებოდა. სახესა და ტანს ვერ დაინახავდა სიბნელეში, მხოლოდ ხელზე ხელის შეხებით მიხვდებოდა, რომ ქალი უნდა ყოფილიყო: გრძელი, ნაზი თითები და ფაფუკი ნები რომ ექნებოდა.

ახლა უცნობ ქალს გაჰყვებოდა ბნელში ლუხუმი, ქალი შეჩერდებოდა, დაბლა დაიხრებოდა, ეტყობა ჩამოჯდებოდა და ლუხუმს მოესმოდა:

— ტახტია, ჩამოჯექ.

მიგრიაულიც ტახტზე დაეშვებოდა და უცებ გაახსენდებოდა, რომ უცნობ ქალთან ნახევრად შიშველი იმყოფებოდა, და შეიშმუშნებოდა, რადგანაც საშინლად ეუხერხულებოდა.

— წაწლობა მასწავლე! — ეჩურჩულებოდა ქალი და ყურის ბიბილოსთან დაეწაფებოდა ბაგეებით.

დიაცის ცხელ, ვნებიან კოცნას ერთიანად უნდა აეშალა ვაჟკაცი, თავბრუ დახვეოდა, ქალისათვის ხელი დაევლო და აეტაცა.

— ნელა... ნელა... ნეკნები დამილეწე, დათვო! — შესძახებდა ქალი და ყელზე მოეხვეოდა ვაჟკაცს.

„დათვო“, თითქოს ისევ ეცნაურებოდა ქალის ხმა ლუხუმს, მაგრამ ახლა ფიქრის თავი სადღა ექნებოდა, გონდაკარგულს უნდა დაელოშნა მკერდსავსე ქალი.

წელს ქვემოთაც უნდა წვდომოდა ვაჟკაცი, მაგრამ ქალი იწყენდა და ახლო არ მიიკარებდა.

— ვინაწლოთ, წაწლობა მასწავლე... — ჩურჩულით ეტყოდა ქალი, აცახცახებული ხელით ვაჟკაცის ხელს რომ იშორებდა და ტუჩს ტუჩზე აწებებდა.

გაშმაგებული ლუხუმი მაგრად აკოცებდა და უცებ, თავისდაუნებურად, ერთს ისეთს უკბენდა ზედა ტუჩზე, რომ ქალი ტკივილისაგან შეჰკივლებდა, გამწარებული მოწყვეტით სტკიცავდა ყბაში და ზე წამოიჭრებოდა:

— სადღა უნდა გამოვჩნდე... — წაიტირებდა და ქვითინით ბნელში გაუჩინარდებოდა.

და ლუხუმს ისევ ეცნაურებოდა ქალის ხმა, უფრო მაშინ, როცა გაბრაზებული ამოიტირებდა. ეცნაურებოდა და შეკრთებოდა.

— ნუთუ? ნუთუ ის იყო? არა... ეს რა საფიქრებელია! — შუბლზე ხელს მოისვამდა აბეზარი ფიქრის მოსაშორებლად და ბნელში ზეზე წამოდგებოდა.

მერე ისევ უნდა გაეგონა ფეხის ხმა, ვიღაც ხელს ჩაჰკიდებდა და ახლა იმ კაცის ხმაც მოესმოდა, წეღან აქ რომ შემოეყვანა: მომყეო... — და წეღანდელზე მეტს რომ ივლიდნენ ბნელში, იმას ერთ კართან უნდა მიეყვანა და გაშორებოდა. ლუხუმს კი პატარა ოთახში ტახტზე ახალი ტანსაცმელი დახვდებოდა, ისეთი, სასახლეში რომ ეცვათ შეჭურვილ მცველებს. ესეც ჩამოჯდებოდა და განცდილისაგან გაშტერებული ჩაცმას შეუდგებოდა.

ის, რასაც ჩახვდებოდა ლუხუმ მიგრიაული, მაგრამ დაჯერება არ ენდომებოდა, ადვილად ამოსაცნობი იქნებოდა მკითხველისათვის.

წაწლობის ხსენებაც, „დათვოს“ დაძახებაც და ნაცნობი ხმითვე ამოტირებაც ძალდაუტანებლად მიახვედრებდა, იდუმალებით მოცული ქალი მეფის და რომ უნდა ყოფილიყო, რუსუდანი, რომელსაც ცოტა ხნის წინათ ლაშა გააფრთხილებდა: მაგის მკლავებს ერიდე, თორემ ნეკნები არ შეგრჩებაო...

როგორც ჩანს მოეხსენებოდა, გულგრილად რომ ვერ უყურებდა რუსუდანი მამაკაცებს.

მიხვედრა მიხვედრად, მაგრამ მწერალს ოდნავი ეჭვიც აღარ უნდა დაეტოვებინა მკითხველისათვის და იდუმალებისათვის საბოლოოდ ჩამოეხსნა ფარდა, ჯერ ლუხუმს რომ არ დაავიწყებინებდა აბანოში მომხდარ უსიამოვნო შემთხვევას და ისევ ამდენხანს გაუცემელ კითხვას ამოუტივტივებდა:

— ნუთუ? ნუთუ ის იყო?

შემდგომ კი:

დილით ადრე უნდა ამდგარიყო ლაშა, სადღესასწაულოდ გამოწყობილიყო და წირვაზე წასასვლელად გამზადებულიყო. დღეს კათოლიკოსს უნდა ეწირნა და, როგორც გაგებული ჰქონდა, ქადაგებასაც აპირებდა. ამიტომაც ჩქარობდა ხელმწიფე და აქამდისაც სიონში იქნებოდა, რუსუდანს რომ არ შეეგვიანა. მეფის ასულსაც რომ მოსურვებოდა საყდარში წასვლა, ძმისათვის ეთხოვა, ერთად წავიდეთო.

სასახლეში მოსვლის პირველ დღესვე რომ ნახავდა მიგრიაული, მერე აღარ გამოჩენილიყო რუსუდანი — ამბობდნენ, შეუძლოდ არისო. მაგრამ დის მოყვარული მეფის მხიარულება და სასახლეში გამეფებული უზრუნველობა ამ ნათქვამს არ ეწყობოდა.

დღეს გათენებიდან უგუნებობა დაჰყვებოდა ლუხუმს, ტანი ცუდს უაზრებდა და გაურკვევლობის უსიამოვნო მოლოდინში ამყოფებდა.

როგორც იქნებოდა გვიან გამობრძანდებოდა მეფის დაი. კარს რომ მოუახლოვდებოდა, თითქოს შეკრთებოდა და ფეხი აერეოდა. მაინც არ შეიმჩნევდა, სახეს მოღუშავდა და ისე სწრაფად გაივლიდა, დარბაზის შესასვლელთან გაქვავებულ მეფის მცველს ზედაც არ შეხედავდა.

ჯაჭვის ახალი პერანგი ეცმეოდა მიგრიაულს, ხელს უზარმაზარი ფარ-შუბი ეპყრობოდა და თავზე ლაპლაპა მუზარადი ეხურებოდა.

რუსუდანის დანახვისთანავე სახე აელეწებოდა, დაიბნეოდა, მუხლებში უღონობას იგრძნობდა და თავს არ აიღებდა, ისე გაუღებდა კარს. გზას რომ მისცემდა, წამით მზერას გააპარებდა და მეფის დის ზედა ტუჩს შეასწრებდა თვალს: ტუჩს ნაკბენისა თუ ნაჭრევის კვალი აჩნეოდა.

კარი მიიხურებოდა. ლუხუმი ერთხანს გაოგნებული იდგებოდა. მუხლები ციებიანივით აუცახცახდებოდა და, რომ არ წაქცეულიყო, ორივე ხელით შუბს დაეყრდნობოდა.

თანდათან გონი დაუბრუნდებოდა და, თითქმის სიზმარივით დავიწყებული, აბანოში მომხდარი შემთხვევა ხელახლა თვალწინ წარმოუდგებოდა. და გონებაში ჩაჭედილი კითხვა ისევ დაჟინებით მოეძალებოდა:

— ნუთუ ის იყო? ნუთუ?

— ღმერთმა ნუ ჰქნასო, — უკვე ხმამაღლა აღმოხდებოდა აბეზარი ფიქრით დატანჯულ ვაჟკაცს, თავისივე ხმისა თვითონვე შეეშინდებოდა და ტანში ცივად გასცრიდა.

ფიქრიდან გამორკვეული იქაურობას მოავლებდა თვალს: არავინ უყურებდა, არც არავინ უსმენდა, ფარ-შუბს მოიმარჯვებდა, წელში გასწორდებოდა და კარის წინ ჩუმი, მძიმე ნაბიჯით დაიწყებდა ბოლთის ცემას.

ესეც რუსუდანის ზედა ტუჩზე დაჩნეული ნაკბენი თუ ნაჭრევი — აბანოში მისი იმღამეული ყოფნის უტყუარი კვალი.

რა უბიძგებდა გრიგოლ აბაშიძეს აბანოს ეპიზოდის შესათხზველად?

რუსუდანის ხასიათის ის თვისება, ჟამთააღმწერელი მის გარეგნულ მშვენიერებასა და სხვა ღირსებებთან ერთად — მდაბალი, უხვი, პატივისმცემელი პატიოსანთა კაცთა, მოყვარე — ნაკლოვანებასაც რომ არ დაფარავდა.

ლაშა-გიორგის ნაადრევი აღსასრულის შემდგომ მას რომ გადაეცემოდა სამეფო ტახტი, დაიწყებოდა უძღებება და განცხრომა ყველა თაობის ადამიანის ყოფაში და კიდეც მიიქცეოდნენ სიბოროტედ, რის სათავედაც მემატიანე სამეფოს კარის ცხოვრების სტილს მიიჩნევდა და ამ სტილის წარმმართველს:

— მეფეცა რუსუდან ჩვეულებითა ძმისა თვისისა ვიდოდა განცხრომითა და სიმღერით. ამისათვის აღდგეს ბოროტნი უდიდესნი.

ხოლო მეფობა მისთვის ლაშა-გიორგის რომ დაეტოვებინა ანდერძითა და იმ პირობით:

როდესაც ლაშას ძე დავითი წამოიზრდებოდა, რუსუდანს ტახტი მისთვის უნდა გადაეცა, იმ დავითისათვის, რომელიც ძმას მისთვის მიებარებინა აღსაზრდელად.

რუსუდანი, ტახტის შესანარჩუნებლად, დაღუპვას მოუნდომებდა ძმისწულს და მისი ბოროტება იქამდეც კი მივიდოდა, რომ:

თავის ასულს, თამარს, და დავითს, ბიძაშვილ-მამიდაშვილებს, ცილს დასწამებდა, თითქოსდა მათ არანათესაური სიყვარულით უყვარდათ ერთმანეთი.

ამხელა ცოდვის წინაშეც არ დაიხევდა უკან და, დავითს რა ფათერაკებიც და ტანჯვაც გადახდებოდა, მხოლოდ სასწაული რომ იხსნიდა ხოლმე, სულ მამიდისაგან.

ჯერ ისედაც ჟამთააღმწერლის კვალს მიჰყვებოდა გრიგოლ აბაშიძე იმ ისტორიული მოვლენების გააზრება-შეფასებისას, და მითუმეტეს რუსუდანის ხასიათის ეს თვისებანი — განცხრომის სიყვარული ერთი მხრივ და მეორე მხრივ ეს უზომო გულბოროტება — შეათხზევინებდა აბანოს ეპიზოდს, შესაფერისს თხრობის რომანტიკულ მანერასთან დასაპირისპირებლადაც და ისტორიული რომანისათვის რეალისტური მიმართულების მისაცემად.

მითუმეტეს:

რომანს უხდება ეროტიკული სცენები თუ სურათები.

აგერ კონსტანტინე გამსახურდიას როგორი სცენები ჩაერთო გიორგი პირველზე რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“, რომელიც რომანტიკული სულით აღვსილიყო.

და მითუფრო რა გასაკვირი უნდა ყოფილიყო ამგვარი სცენა რეალისტური ხედვისა და მანერის რომანში.

თან კონსტანტინე გამსახურდიას საამისოდ არანაირი ცნობა არ უბიძგებდა მემატიანეთაგან, არსად გაიელვებდა გიორგი პირველის ამგვარი მიდრეკილება.

გრიგოლ აბაშიძეს კი წარმოსახვის გასაშლელად ჟამთააღმწერლის ცნობები ეგულებოდა.

მაგრამ...

გიორგი პირველის არსებობას მკითხველი „დიდოსტატის მარჯვენადან“ უფრო შეიტყობდა, რაკიღა მინავლებულიყო მისი სახელი, საისტორიო მატიანეში ჩაკარგული, და არავის შეაწუხებდა ვარდისახართან მისი ქცევა, რაოდენ შეუფერებელიც უნდა ყოფილიყო მეფისათვის, და რაოდენ დაგემოვნებითაც უნდა აღეწერა მწერალს.

რუსუდანი კი თამარ მეფის ასული გახლდათ, თამარისა, რომელიც საქართველოს სახედაც გასიმბოლოვებულიყო, ზეცამდე აზიდულიყო, მოშარავანდებულიყო, და თუმც თავის დროზე ახალი რელიგიური მიმდინარეობის საწყისად ვეღარ დამკვიდრდებოდა — მიუხედავად საამისო მცდელობისა — მისი კულტი საუკუნეებს გაუძლებდა და XX ასწლეულის 50-იან წლებშიც ძალუმად იტრიალებდა საზოგადოებრივ ცნობიერებაში, სულს ხალხი მისი ხსენებითაც რომ ითქვამდა, ისედაც გაწამებულ სულს — დაპყრობილი ქვეყნისთვის ისედაც ნიშანდობლივს, თან არნახული რეპრესიებიც რომ დასტეხოდა თავს და მშობლიური ენისა და მეობისა და კულტურის გადასარჩენად აწყდებოდა ყრუ და შეუვალ კედლებს ბოლშევიკურ-კომუნისტური მმართველობისა.

თანაც სულ ახლახან მოწყობილიყო კიდევ ერთი სისხლიანი კალო:

9 მარტს დაღვრილი სისხლი ჯერაც არ ამშრალიყო.

და რუსუდანის ასე წარმოსახვას თამარ მეფის შეურაცხყოფადაც რომ მიიღებდნენ და რისხვითაც აღივსებოდნენ, მთელ გულისწყრომას გრიგოლ აბაშიძეს დაატეხდნენ თავს, ის საჯაროდ რომ მოიბოდიშებდა, რათა მორალურად ჩაქოლილს სიცოცხლე გადაერჩინა.

და „ლაშარელას“ ხელმეორე გამოცემისას აბანოს სცენას ამოაგდებდა და ამ ჩარევას დაარქმევდა შესწორებასა და გადამუშავებას.

გარეგნულად მწერლის საბოლოო ნებად გამოიყურებოდა ეს ცვლილება, არადა — იძულებითი ნაბიჯი გახლდათ, გამიზნული არა თხრობის გასაუმჯობესებლად — ხასიათების გამოსაკვეთად თუ დინამიზმის გასაძლიერებლად — არამედ თავდასაცავად.

ნაცვლად მხატვრული კანონებისა, თავსმოხვეული მოთხოვნა რომ გადაწყვეტდა ამ ჩარევას.

მისი ხელოვნურობა კი აშკარა შეიქნებოდა, რაკიღა უკვე ზედმეტი გახდებოდა ლუხუმ მიგრიაულის დაბანის დეტალური აღწერა — მექისეს თუ მენელსაცხებლესთან ურთიერთობა, და ჰაერში გამოეკიდებოდა რუსუდანის ის ნათქვამიც: აბანოში წასვლას რომ ურჩევდა მეფის ახალ მცველს.

ეს სიტყვებიც და აბანოში ლუხუმის ყოფნის დეტალიზებაც მკითხველს მოულოდნელობის მოლოდინით აღავსებდა, რაღაცას მიანიშნებდა, რაღაცას აგრძნობინებდა და... ერთბაშად იმედგაცრუებული უნდა დარჩენილიყო.

მაშინ აბანოში ლუხუმის ყოფნის მთელი სცენა პირწმინდად უნდა ამოშლილიყო, თორემ ახლა თხრობის დინამიზმს თუ ანელებდა, თორემ სხვა არაფრად ესაჭიროებოდა რომანს.

არადა გრიგოლ აბაშიძე თან შელეოდა ამ ეპიზოდის მთავარ ძარღვს — რუსუდანის იდუმალ გამოჩენას, თან ვერ ელეოდა და აშკარა დამახინჯებულს ჩატოვებდა „ლაშარელას“ 1963 წლის გამოცემაში.

და ანოტაციაში გადამუშავებასა და შესწორებას რომ ახსენებდა, გულისტკივილით იგულისხმებდა დამახინჯებას.

* * *

თან შელეოდა და თან ვერ ელეოდაო...

და 1990 წლის გამოცემაში უნდა გამოჩენილიყო ახალი პერსონაჟი — დიდვაჭარ შიო კაციტაისძის ცოლი.

ლაშარობიდან დედაქალაქს შემოქცეულ ხელმწიფეს უამრავი ხალხი რომ შემოეგებებოდა, ლუხუმი დამხვდურთ თვალს მოავლებდა, უცებ ვიღაცის დაჟინებულ მზერას იგრძნობდა და... მისკენ მზირალ ორ გიშერს წააწყდებოშდა, შავი წამწამებიდან დამბნედავად რომ იცქირებოდნენ, ბუდეებიდან გადმოფრენას ლამობდნენ და, ლუხუმს კი არ უმზერდნენ, ნთქავდნენ.

ლუხუმს კინაღამ თვალთ დაუბნელდებოდა, ლამაზი ქალის გამომწვევ მზერას ვერ გაუძლებდა, თავს დახრიდა და ხელს უნაგირის ტახტას წაატანდა, წონასწორობა რომ შეენარჩუნებინა.

მეფის ლურჯას წინ დიდვაჭრები რომ ჩაიჩოქებდნენ, შიო კაციტაისძე ძვირფას ძღვენს მიართმევდა ლაშა-გიორგის, კეთილად დაბრუნებას მიულოცავდა და მის კალთას სამთხვევად მიწვდებოდა. ხელმწიფე სადავეს რომ აკრეფდა, რაკიღა დაქვეითებას დააპირებდა, ლუხუმი მიუხვდებოდა და, ავჟანდის დაჭერა რომ არავის დაესწრო, ცხენიდან ისკუპებდა. ამოდენა კაცი ძირს მძიმედ დაეშვებოდა და იგრძნობდა, რომ ფეხს რაღაცას დაადგამდა.

ვაიმეო, მის ზურგსუკან უნდა ამოეკვნესა ვიღაცას.

ლუხუმს მაშინვე უნდა აეღო ფეხი და შემობრუნებულიყო.

მის წინაშე ის ლამაზი ქალი იდგებოდა, წეღან ჩაციებით რომ შემოსცქეროდა. ტკივილისაგან გაფითრებულ ქალს თავისათვის ძალა უნდა დაეტანებინა და სახეზე სიმწრის ღიმილი გადაეფინა:

— კნინღა გამსრისე, დათვო!

ოდნავ გასაგონად უნდა ეთქვა და იმ ნათქვამში ლუხუმს საყვედურზე მეტი ალერსი ამოეკითხა, დაბნეულს ბოდიშის მოხდაც ვერ მოეხერხებინა, მეფისაკენ უკანმოუხედავად წაძუნძულებულიყო და ავჟანდსა და უზანგს სცემოდა.

მერეა, რუსუდანს მეფესთან რომ არ შეუშვებდა და პატარა შეხლა-შემოხლაც მოუვიდოდათ.

მერეა, რუსუდანი რომ ურჩევდა ტალავრის გამოცვლას.

მერეა, აბანოში იდუმალი ქალი რომ გამოეცხადებოდა, და წაწლობის სნავლებასაც სთხოვდა და ცხელი კოცნითაც ერთიანად აშლიდა.

მერეა, ვაჟკაცის ყელზე შემოხვეული რომ შესძახებდა:

— ნელა... ნელა, ნეკნები დამიღეწე, დათვო!

და ლუხუმს თითქოს რომ ეცნაურებოდა ქალის ხმა.

ოღონდ ამჯერად ზედა ტუჩზე კი არ უკბენდა ქალს უნებურად, გაშმაგებული მაგრად რომ აკოცებდა და ხელში აიტაცებდა, უცებ მარმარილოს იატაკზე ფეხი უნდა დასხლტომოდა, თავი ვეღარ შეემაგრებინა და ორივე ძირს დაცემულიყო.

— ვაიმე, ხელი მომტყდა...

ჩაესმოდა სირცხვილისა და ტკივილისაგან გონწართმეულ ლუხუმს.

— ეს რა მიყავი, შე დათვო... მკლავი ამომიგდე... სადღა უნდა გამოვჩნდე... — წაიტირებდა ქალი და ქვითინით ბნელში გაუჩინარდებოდა.

და ლუხუმს ისევ რომ ეცნაურებოდა ქალის ხმა, უფრო მაშინ, როცა გაბრაზებული ამოიკვნესებდა, ეცნაურებოდა და შეკრთებოდა, ერთი კი გაუელვებდა:

— ნუთუ? ნუთუ ის იყო? არა... ეს რა საფიქრებელია! — შუბლზე ხელს მოისვამდა აბეზარი ფიქრის მოსაშორებლად და ბნელში გაუჩინარდებოდა.

ხოლო იმ დილას ლაშა-გიორგი სადღესასწაულოდ რომ გამოეწყობოდა და წირვაზე წასასვლელად გაემზადებოდა, რუსუდანი კი აღარ გამოუვლიდა წინ ლუხუმს ელვისსისწრაფით, შიო კაციტაისძის ცოლს ახსენებდა მწერალი, მეფედან პირდაპირ მასზე გადავიდოდა თხრობა:

სასახლეში მოსვლის პირველ დღეს რომ ნახა მიგრიაულმა, მერე აღარ გამოჩენილა დიდვაჭრის ცოლიო.

ფრაზა, რომელიც პირვანდელი გამოცემიდან რუსუდანზე ჩარჩებოდა ხსოვნაში ნამდვილ მკითხველს, ახლა შიო კაციტაისძის ცოლზე უნდა განმეორებულიყო.

და ის განწყობილებაც მიგრიაულისა:

სახე რომ აელეწებოდა, დაიბნეოდა, მუხლებში უღონობას იგრძნობდა და თავს არ აიღებდა, მხოლოდ წამით გააპარებდა მზერას და თვალს შეასწრებდა.

ახლა — ნაცვლად რუსუდანისა — დიდვაჭრის ცოლს უნდა გამოეწვია.

ეგაა:

ნაცვლად ზედა ტუჩზე დაჩნეული ნაკბენისა თუ ნაჭრევისა, ქალს არტაშანგაკრული მარჯვენა ხელი გულზე უნდა ჩამოჰკიდნოდა.

მერეა, ლუხუმი ერთხანს გონდაკარგულივით რომ იდგებოდა, მუხლები ციებიანივით აუცახცახდებოდა და, რომ არ წაქცეულიყო, ორივე ხელით შუბს დაეყრდნობოდა.

მერეა, სიზმარივით თითქმის დავიწყებული აბანოში მომხდარი შემთხვევა ხელახლა თვალწინ რომ წარმოუდგებოდა.

მერეა, გონებაში ჩაჭედილი კითხვა ისევ დაჟინებით რომ მოეძალებოდა:

— ნუთუ ის იყო? ნუთუ?

და: ღმერთმა ნუ ჰქნასო, — უკვე ხმამაღლა რომ აღმოხდებოდა აბეზარი ფიქრით დატანჯულს, თავისივე ხმისა თვითონვე რომ უნდა შეშინებოდა და ტანში ცივად გასცროდა.

ასე შეენაცვლებოდა შიო კაციტაისძის მეუღლე რუსუდანს.

ასე მოხერხდებოდა, რომ მკითხველის მოლოდინი არ გაწბილებულიყო და აღარც თხრობის დინამიზმი შენელებულიყო — აბანოს სცენა ზედმეტი რომ აღარ გამოჩნდებოდა.

დიდვაჭრის ცოლის გამო აღარავინ უნდა წასდავებოდა, და თუ მაინც ვინმე აუხირდებოდა, გრიგოლ აბაშიძეს შეეძლო „ვეფხისტყაოსანი“ შემოეშველებინა:

თუკი თვით ავთანდილსაც არ ეძრახებოდა დიდვაჭრის ცოლთან ლაღობა, განა რა შავდებოდა, თუკი „ლაშარელას“ წამიერი პერსონაჟიც წაიფატმანებდა.

მთლად დამაჯერებლად ვერ გამოიყურებოდა რუსუდანის ჩანაცვლება შიო კაციტაისძის ცოლით, დამაჯერებლობა მოაკლდებოდა თხრობას?

აბანოში რუსუდანი გაგზავნიდა ლუხუმს და იქ შესვლა მეფის დას დაუბრკოლებლად შეეძლო, მენელსაცხებლესაც მიუგზავნიდა და გზასაც იოლად გამოაგნებინებდა თავისკენ, დიდვაჭრის ცოლს კი ან საიდან უნდა შეეტყო ლუხუმის ყოფნა აბანოში, ან იქ როგორ უნდა შეეღწია!..

გარდა ამისა:

ლუხუმის თავზარდამცემი განცდა და ფიქრები ფსიქოლოგიურად გამართლებულია, თუკი იდუმალ ქალში მეფის დას ამოიცნობდა, და გადამეტებულია, ასე განეცადა დიდვაჭრის ცოლთან მომხდარი შემთხვევა, კინაღამ რომ გადაჰყვებოდა უნებურ შეცოდებას.

ასეა თუ ისე:

რაღაც გამოსავალი მაინც მოიძებნებოდა, აბანოს სცენა პირწმინდად რომ არ ამოშლილიყო და არც მთლად დაგონჯებული სახით ჩარჩენილიყო თხრობაში.

* * *

და მაშ უკვე ეს არის მწერლის საბოლოო ნება?

იმ ორი გამოცემის — 1957 და 1963 წლებისა — შედარება თუ მწერლის საბოლოო ნებად — გარეგნულად — ამ ხელმეორე გადამუშავებულ და ჩასწორებულ რედაქციას გვაფიქრებინებდა, 1990 წლის გამოცემას უკვე ეს კიდევ ერთი ახალი რედაქცია უნდა შემოეთავაზებინა იმ საბოლოო ნების გამომხატველად.

სწორება-სწორებით უკვე აქამდე მისულიყო მწერალი — დიდვაჭრის ცოლის შემოყვანამდე თხრობაში.

მაგრამ... ესეც რომ იძულებითი ნაბიჯი გახლდათ?!. იმ მწარე, გაუნელებელი მოგონებისა და შთაბეჭდილებების გამოძახილი, კვლავაც რომ მოსდევდა და მოჰყიოდა მწერალს ის რისხვა და თავის გუნებისად აღდგენას არ დაანებებდა თავდაპირველი ვერსიისა.

იმ თავდაპირველის, რომელიც — მიუხედავად გადამუშავება-სწორებისა — მწერლის საბოლოო ნებად უნდა ვაღიაროთ და „ლაშარელას“ ახალი და ახალი გამოცემებისას ის პირვანდელი სახე შევუნარჩუნოთ რომანს, თავისებურ ნიშანსვეტს ქართული ისტორიული რომანის მდინარების შთამბეჭდავ და მრავალფეროვან გზაზე.



პაატა ნაცვლიშვილი

აქა ამბავი ვასიკოსი და მისი ბეატრიჩესი

ყოველთვის იმგვარად ვერ გამომდიოდა, როგორც მინდოდა, მაგრამ მუდამ ვცდილობდი, დამწყებ ავტორებს, ნორჩებს, ახალგაზრდებსა თუ ძველგაზრდებს, ისე მივხმარებოდი, როგორც შემეძლო. არასოდეს მიცდია მათი დათვლა, ვინც ჟურნალისტიკაში შემოვიყვანე ან ვისაც პოეზიაში თუ ზოგადად მწერლობაში გავუკვალე გზა. მუდამ ერთი რამ მამოძრავებდა — გამეკეთებინა სხვისთვის ის, რაც თავის დროზე მე არავინ გამიკეთა, გამეადვილებინა სხვისთვის ის გზა, რაც მე ძალიან გამირთულეს. ბევრი ამ ამბავს მადლიერებით იხსენებს ხოლმე მრავალი წლის შემდეგაც, რაც მე, რა თქმა უნდა, ძალზე მახარებს, ზოგიერთი კი თავის თავსაც უმალავს, რომ ოდესღაც ხელი წავაშველე, რაც მე დიდად არც მაღელვებს და არც მაკვირვებს.

ეს ფიქრები აღმიძრა ჩემი მეგობრის ვასილ ბესელიას ინტერვიუმ ესთერ ჯანაშვილთან, ამ ცოტა ხნის წინათ რომ გამოქვეყნდა ფეისბუქის ჯგუფ „პარნასში“. შეკითხვას მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის დასაწყისზე ვასილ ბესელია ასე უპასუხებს:

„ჩემი შემოქმედებითი დებიუტი ძალიან გვიან შედგა. რედაქციები ლექსებს არ მიბეჭდავდნენ, მერე მივხვდი, რომ ჩემს ნაწერებს იქ კაციშვილი არ კითხულობდა. პატრონის გარეშე წარმოუდგენელი იყო ჟურნალ-გაზეთებში მოხვედრა. დავანებე თავი რედაქციებში სიარულს და დავჯერდი ჩემი მეგობრების „ბლოკნოტებში“ პუბლიკაციას. სწორედ ამ გზით მოხვდა ჩემი შემოქმედება პაატა ნაცვლიშვილთან, რომელმაც უყოყმანოდ დამითმო გაზეთში მთელი ორი გვერდი... მერე კი ყველაფერი ბუნებრივად წავიდა“...

ჩემამდე ვასიკოს ლექსები ერთ-ერთი ასეთი ბლოკნოტის სახით მოვიდა. ერთმა მომხიბვლელმა ახალგაზრდა ქალმა წამაკითხა. დავარქვათ მას პირობითად თამრიკო ან, ვთქვათ, უფრო „ოფიციალურად“ — თ. ნ. ჰოდა, თამრიკოს სავსე ჰქონდა თავისი ბლოკნოტი ვასიკოს ლექსებით. ის იყო, გაზეთში ეკა ბაქრაძის პირველი ლექსები გამოვაქვეყნე, რომლებიც რედაქციაში მამიდამისმა — მარინა ბაქრაძემ მომიტანა. მარინა და თამრიკო მეგობრები იყვნენ. თამრიკო ალბათ ეკას მაგალითმაც შეაგულიანა.

თუმცა მათი პოეტური დებიუტი თითქმის ერთდროულად შედგა, ძნელია ეკა ბაქრაძისა და ვასილ ბესელიას შედარება და გვერდიგვერდ დაყენება — ეკა ბაქრაძე 10 წლის ბავშვი იყო, ვასიკო კი... სულ ერთი წლით გახლდათ ჩემზე უმცროსი. მის ასაკში ბარათაშვილი კარგა ხნის მკვდარი იყო. კიდევ კარგი, ვასიკოს „ეკატერინემ“ ის ბლოკნოტი მის სიცოცხლეშივე მომიტანა, თორემ არა კარიკატურულად, მაგრამ სრულიად სხვა მასშტაბში ეკატერინე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის ამბავი გათამაშდებოდა. მადლობა ღმერთს, ვასიკო ბესელია მაშინაც მეტისმეტად ცოცხალი იყო და დღესაც აგრძელებს ლექსების წერას.

ერთგან უკვე ვთქვი და აქაც გავიმეორებ: ვასილ ბესელია, ვგონებ, ერთადერთი ქართველი პოეტია, რომელიც არ გაზრდილა და არც იზრდება. რა მაგგგარიც იყო იმ პირველ ლექსებში, ის მაგგგარია დღესაც! ის კი არა, ლექსების თემატიკაც არ შეუცვლია. არც ადრესატი, სხვათა შორის! წერს სიყვარულზე და უწერს ერთადერთს, რომელსაც გინდ ეკატერინე დავარქვათ, გინდ — მერი და გინდ — თამრიკო, თუმცა პირდაპირ მინიშნებას, ან თ. ნ. ინიციალებს ვასიკოს ლექსების მიძღვნებში ტყუილად დაუწყებთ ძებნას. კი გამოერევა ხოლმე ხანდახან სხვა რამ, სხვა ინიციალები, მაგრამ უფრო შემთხვევით და ისიც — როგორც ვასილ ბესელიას ლირიკული ლექსების მთავარ ხაზის ერთგვარი გაგრძელება თუ შენაკადი.

თამრიკომ რომ ვასიკოს ჩაბლოკნოტებული ლექსები წამაკითხა, ის დრო იყო, როცა ლექსების ბეჭდვა მართლა ძალიან ჭირდა. ლიტერატურული თუ არალიტერატურული პრესა სავსე გახლდათ საშუალო ასაკის საშუალო პოეტთა საშუალო, რუხი ლექსებით. ახალი სახელი ძალზე ძნელად იკვალავდა გზას. მე კი პირიქით — ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტი ახალი სახე და ახალი სახელი გამომეჩინა.

აბა, ვასიკოს ლექსებს ხელიდან როგორ გავუშვებდი! მით უმეტეს, როცა გავიგე, რომ მშვენიერი ლექსები სწორედ თამრიკოს ეძღვნებოდა. ის ჯერ არ არის დანტე, მაგრამ შენ უკვე ხარ ბეატრიჩე-მეთქი, ვეხუმრე. ჭავჭავაძეები და ნიკოლოზ ბარათაშვილი მაშინ არ გამხსენებია. იმ ლექსებიდან არც ერთი გამოქვეყნებული არ იყო. საერთოდ, თუ არ ვცდები, ვასიკოს მანამდე ჯერ არც ერთი ლექსი არ დაებეჭდა.

იმის მიუხედავად, რომ უკვე ლიტერატურული პრემიებიც მოიხვეჭა, ვასიკო, არც დღეს არის დანტე, თუმცა თამრიკო ისევ მისი ბეატრიჩეა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია, ასე ვკითხულობ ბევრ მის ლექსს. დღეს ისინი — ბეატრიჩეც და მისი პოეტიც — ჩემი მეგობრები არიან. ოღონდ — ცალ-ცალკე. მაშინ კი, როცა თამრიკომ თავის ბლოკნოტში კოხტად ჩაწიკწიკებული ვასიკოს ლექსები წამაკითხა, ერთმანეთის მეგობრებიც იყვნენ.

ჰოდა, თამრიკოს ჯერ ის ლექსები დავატოვებინე, მერე თავად ვასიკოც მოვაყვანინე და მთელ ორ გვერდზე გადავჭიმე გაზეთში, უფრო მერე კი პირველი წიგნის გამოცემისთვისაც შევაგულიანე და წინასიტყვაობაც დავუწერე. მას შემდეგ არის, რომ ვმეგობრობთ.

ვასიკო ბესელია, ჩემი ფიქრით, თანამედროვეობის საუკეთესო ქართველი ლირიკოსია. არავისთან ასე ძალუმად და ასე ემოციურად არ არის გამოკვეთილი სატრფიალო ლირიკა.

აი, მისი ერთი პაწაწა, მაგრამ დიდი ლექსი:

...წავეკიდები, მგონია, ცეცხლად,
შენს მკერდს,
შენს ტუჩებს,
დაფერილ ღაწვებს...
ასე ოთახში დამწყვდეულ მერცხალს
სწადია —
ფანჯრის მინაში გაძვრეს...

მე თუ მკითხავთ, მთელი მისი პოეზია, ყოველ შემთხვევაში ძირითადი ნაწილი, ერთი დიდი პოემაა, რომლის ცალკე აღებული თითოეული თუ ორ-ორი სტროფი დასრულებულ ლექსებს წარმოადგენს. ან პირიქით: ვასიკო ბესელიას თითქმის ყველა ლექსი მთლიანობაში ერთი დიდი სამიჯნურო პოემაა! ვასიკოს თითქოს ორი ცხოვრება აქვს — ერთი ის, რეალური და მეორე კიდევ ის, რომელიც მის პოეზიაში აირეკლა.

და ქართული ლიტერატურის ისტორიაში უნდა დარჩეს, რომ ამ ბრწყინვალე შემოქმედების ინსპირატორი და მუზა იმთავიდან მოყოლებული დღემდე ის მშვენიერი ქალია, მე რომ პირობითად თამრიკო დავარქვი. მერე რა, რომ ამის შესახებ აქამდე არავინ ან თითქმის არავინ იცის. მერე რა, რომ დღეს პოეტი ალთას არის და მისი მუზა — ბალთას...

ალთა და ბალთა აქ პირდაპირი მნიშვნელობითაც არის ნათქვამი.უცხოეთში რომ მიდიოდა საცხოვრებლად, თამრიკომ ვასიკოს ლექსებით გაძეძგილი ის პირველი ბლოკნოტიც ჩამაბარა და სამი სხვაც მოაყოლა — შენთან იყოს, უკან რომ ჩამოვალ მაშინ დამიბრუნეო. სულმოუთქმელად წავიკითხე ოთხივე უბის წიგნაკი. ნაღმა-უკუღმა ჩაწერილი ლექსებიდან ბევრი მეცნო, ბევრი კი ახალი და სრულიად უცნობი აღმოჩნდა ჩემთვის.

ხოლო ერთი ლექსი სწორედ ამ ბლოკნოტებზეა:

უბის წიგნაკში
ლექსები თვლემენ
და ვერ მალავენ
ასახდენ სურვილს,
არავინ იცის,
იმ მწარე ლექსებს
რომ უკანონო
შვილივით უვლი!

ვინ იცის, იქნებ სწორედ თამრიკოს მიერ გადანახულ ამ უბის წიგნაკებში მთვლემარე გამოუქვეყნებელ ლექსებს გულისხმობს ხოლმე ვასიკო, როცა ამბობს, ბევრი ლექსი დამავიწყდა, ბევრიც დამეკარგაო. ჰოდა, იქნებ ახლა ვათხოვო კიდეც ეს ბლოკნოტები, რომ თამრიკოს და ჩემ მიერ გადარჩენილი მისი „დაკარგული ლექსები“ ცალკე კრებულად გამოსცეს. აჰა, იმ კრებულის სათაურიც აქვე თავისით გაჩნდა. ან იქნებ „დაბრუნებული ლექსები“ ჯობდეს სათაურად?!

მე, რა თქმა უნდა, არ მექნებოდა ვასიკოს და თამრიკოს საიდუმლოს გამჟღავნების უფლება, თითოეულ მათგანთან ცალ-ცალკე რომ არ შემეთანხმებინა ჩემი ეს ლიბროკუბიკულარისტული შთანაწერი. ცალ-ცალკე იმიტომ, რომ ისინი უკვე მრავალი წელია, უბრად არიან! თუმცა ლექსები იწერება და იწერება. იმავე თემატიკისა, იმავე ადრესატისთვის. და ჩვენთვისაც, რა თქმა უნდა, ლექსის გურმანებისთვის:

ხსოვნის ბილიკები
ისევ ირწევიან,
ისევ შრიალებენ
ქარში ლიანები,
როცა შემხვდებიან
შენი გოგონები,
უკვე დიდები და
ქმარშვილიანები...
ისე ეშმაკურად
შემომღიმილებენ —
თითქოს სიცოცხლის ხემ
ტოტი დამიწია...
დედას დაგაფიცებ,
ნუღარ დამიმალავ —
შენმა გოგონებმა
ჩვენზე...
რა იციან?!

ჰოდა, უნდა თუ არ უნდა ეს რომელიმე მათგანს, ან ვინმეს მათი გარემოცვიდან, ვასიკოს ეს თამრიკოდწოდებული ბეატრიჩე ქართული პოეზიის ნაწილია. ისევე როგორც ქართველ ლირიკოსთა სხვა მუზები: იგივე ეკატერინე ჭავჭავაძე ან მერი ან თამუნია წერეთელი ან მეორე თამუნია — ქავთარაძე... იქნებ უფრო მეტადაც. ქართული ლიტერატურის ისტორიისთვის ეს ფაქტი სულაც არ არის ისეთი უმნიშვნელო ან ისეთი ყვითელი, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს.

კიდევ ერთი ამონარიდი ვასილ ბესელიას იმ ფეისბუქური ინტერვიუდან:

„როცა პაატა ნაცვლიშვილმა „ახალგაზრდა კომუნისტში“ ჩემი ლექსები გამოაქვეყნა, მაშინ ქარხნის დირექტორად ვმუშაობდი... მირეკავდნენ, მწერდნენ, ვერ წარმოედგინათ შავი ლითონები და პოეზია ერთად“...

მაშინ ვერც მე წარმომედგინა. რაღაცნაირი ოქსიმორონივით იყო — რკინის კონსტრუქციების თუ რაღაც ასეთი უხეშობების ქარხნის დირექტორი ვასილ ბორისოვიჩ ბესელია და მისი ნატიფი პოეზია.

ჰოდა, ოქსიმორონი! ვასიკოს ლექსებში ხშირად არის ამა თუ იმ სახის ოქსიმორონი, რომელიც მისი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი და, შეიძლება ითქვას, მთავარი პოეტიკური ფიგურაა. ისიც შეიძლება ითქვას, რომ მისი სიყვარულის ისტორია და მთელი მისი პოეტური ცხოვრება ერთი მთლიანი ოქსიმორონი გახლავთ.

აი, მისი ერთ-ერთი რიგითი ოქსიმორონი:

...რომ რაც დავთესე,
იგივე მემკა,
და მეთქვა,
წლების სიყრუით შეშლილს:

— *რაც სამუდამოდ წაიღე ჩემგან,*
სამუდამოდვე
დატოვე ჩემში!

და აი, კიდევ ერთი ოქსიმორონი, 2018 წელს გამოქვეყნებული „ლიტერატურულ გაზეთში“:

ისევ იმ ცრემლის
ფარვანას ვისევ
და ჩემში ისევ
შენი მზე უფლობს...
სხვასთან ხარ, მაგრამ
ჩემთან ხარ ისე —
ჩემთან რომ იყო,
იმაზე უფრო.

ოქსიმორონი — ოქსიმორონად, ლექსები — ლექსებად, ჩემი ეს შთანაწერი კი ვასილ ბესელიას პოეზიის ერთ-ერთ გასაღებად მეიმედება, რომელიც მისი დასტურ ფასეული შემოქმედების მომავალ მკვლევარებს დიდად გაუადვილებს საქმეს. თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ვასიკო ბესელიას ლირიკული ლექსების შთამაგონებლისა და ადრესატის ვინაობა ისეთივე თავსატეხად არ ექცეს მათ, როგორიც თუნდაც ბესიკის ანას ვინაობაა!

ხოლო პირობითი „თამრიკოს“ ანუ საპოლიციო ქრონიკის ყაიდაზე რომ ვთქვათ — თ. ნ.-ს გაშიფვრა ქართული ლიტერატურის მომავალ ისტორიკოსებს, იმედია, დიდად არ გაუჭირდებათ...

ეს ყველაფერი უკვე დაწერილი მქონდა, როცა 2 სექტემბერს ვასიკომ თავის ფეისბუქგვერდზე კიდევ ერთი ლექსი გამოაქვეყნა, რომელიც, ჩემი ფიქრით, ისევ იმ თამრიკოს ეძღვნება.

არსად ვარ და...
დაკარგულიც შენს წინ ვარ,
თავს განონებ —
ისევ დიდის ამბით....
ველარ მოვრჩი
ოცნებების შეწირვას,
ველარ გავცდი
ამ ცხოვრების გამბიტს...
ყველა გზა რომ ჩაკეტილი წრეა,
მერე მივხვდი —
ცდა რომ დაგვრჩა თითოღა...
ვერ წავუველ
ამ უაზრო წრიალს,
ვერც სიმართლეს —
„შენც მაგარი ხვითო ხარ!“
ზამთრის ქარი
თათებს ზურგზე მაბჯენს,
უნდა ამ ქარს
ზურგჩანთაში ჩატევა...
მივაბარე სული უკვე გამჩენს
და ცარიელ
ჭურჭელივით მჩატე ვარ...
შენ ხარ სადღაც,
შენი წლებით სავსე,
მე არსად ვარ,
აღარც ჩემი ხნისა ვარ...
და ლოდინით გახუნებულ ცაზე
ამ ლექსს გიწერ —
დავიწყებულ
მისამართს...

ხოლო სულ ახლახან, 11 დეკემბერს ვასიკომ კიდევ ერთი ლექსი მიუძღვნა თავის ძველისძველ და მუდმივ მუზას:

ვისთვის კარგი ბებო ხარ და
ვისთვის ისევ გოგონა ხარ....
ვხვდებით...
ვდგავართ...
უპასუხოდ
გვრჩება კითხვა —
„როგორა ხარ?“
...ისე მახსოვს
ეს მკერდი და
ტუჩებიდან
ბადაგის სმა...
...ხომ მოვკვდები,
ახლა თავზე,
ხელი რომ არ
გადაგისვა!..

არ ვიცი, გადაუსვა თუ არა ვასიკომ თავზე ხელი თავის მუზას, მაგრამ რომ არ მომკვდარა და ცოცხალი რომაა, ნამდვილად ვიცი — ამას წინათ თავისი ახალი წიგნისთვის წინასიტყვაობის დაწერა მთხოვა. საერთოდაც, რა მოკლავს მისი ლექსების პატრონს! თუმცა ეს ახალი წიგნი ნოველების კრებულია. მაგრამ აკი, ვთქვი, რატომღაც მგონია, რომ კიდევ უფრო ახალი წიგნი მისი ძველი, ძველთაძველი ლექსების კრებული იქნება. რა ენაღვლება, დაკარგული ლექსებიც ხომ გამოჩნდა და, თუ დასჭირდება, ჩემი ეს შთანაწერიც ხომ გაინაღდა იმ ახალი ანუ ძველი წიგნის წინასიტყვაობად!..

„დრო... სევდიანი ლიტერატურის...“
ნიკა ჯორჯანელი

ზოია ცხადაია

პოეტური ტექსტი — ეგზისტენციური საზრისის მარადიული პარადიგმა

ადამიანის და, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებით შემოქმედი ადამიანის ბუნებაში აღიარებულია ეგრეთ წოდებული სარეზერვო ფიზიკური და ფსიქიკური ძალების არსებობა, რომელსაც ის, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ავლენს განსაცდელის ჟამს. თავისი მინიმალისტურობით, მხატვრული ეფექტებითა თუ მობილურობით ამის გამორჩეულ პარადიგმად შეიძლება მივიჩნიოთ პოეტური ტექსტი; უხსოვარი დროიდან დღემდე მრავალგვარმა ადამიანურმა შიშმა და განსაცდელმა შეაძრწუნა კაცობრიობა: ომებმა, სტიქიურმა კატაკლიზმებმა, პანდემიებმა... რამდენი რამ შემოინახა პოეზიამ სიკვდილ-სიცოცხლის ისტორიიდან: ეპოსებში, მითებში, ლეგენდებში, ეპიტაფიებში.

ცნობილია ანატორის — ხევსურეთის ულამაზესი ნასოფლარის ისტორია. მიხა ჭინჭარაული გზამკვლევში „შატილი-2008" წერს: „სოფელი ანატორი მდებარეობს საქართველოში, მცხეთა-მთიანეთის მხარეში, დუშეთის მუნიციპალიტეტში, ისტორიულ ხევსურეთში (პირიქითა), მდინარე არღუნისა და მუცოს წყლის შესართავთან; შატილიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 2-3 კილომეტრში. XVIII საუკუნეში ამოწყდა ზემოთნახსენები სოფელი ისე, რომ ერთი ადამიანიც არ გავიდა მეზობელ სოფლებში. რაღაც ინფექცია, აქაურად „ჟამი“ მოედო სოფელს და რაკი დამმარხავი და აკლდამამდე მიმყვანი აღარავინ რჩებოდა, ავადმყოფი ანატორლები თავისი ფეხით მიდიოდნენ აკლდამაში... ასეთი თვითდამარხვა კაცობრიობისათვის ალბათ უცნობია და ისტორიკოსებისა და ეთნოგრაფების სათანადო შესწავლასა და შეფასებას ელოდება“.

საგულისხმოა მკვლევრის ეს დასკვნა. ასეთივე საინტერესო ინფორმაციებს (ისტორიებს) გვაწვდიან პროფესორი ამირან არაბული და პოეტი ეთერ თათარაიძე ამ ისტორიულ წარსულთან დაკავშირებით. ერთ-ერთი თუშური ნარატივიდან იგებენ თუშეთის სოფელ დართლოს ჟამით ამოწყვეტის ამბავს... თავისი ფეხით მისულნი ყველა ასაკის ქალ-ვაჟი, ბალღები გაავსებენ პირთამდე დართლოს აკლდამებს... დართლო დაილევა.

„სიკვდილს დავცინითო და მღეროდნენ თურმე... სიკვდილს ვაშინებთო და მღეროდნენ თურმე შვილმკვდრები, ამოწყვეტილები... კორონაზე უფრო მძიმე ცხოვრებას ებრძოდნენ და იმარჯვებდნენ. ჩვენც გავალთ ბოლოში“... (ეთერ თათარაიძე, „სიკვდილ-დამცინავი საქართველო“).

წერილის თანმიმდევრულობას დავარღვევ და ბარემ აქვე გაგაცნობთ **ეთერ თათარაიძის** პოეტურ ტექსტებსაც, რომლებშიც თანამედროვე ადამიანის დამოკიდებულება გამოიხატა ამ შემზარავი მოვლენისადმი, რომელმაც მსოფლიოს გადაუარა და ჯერ კიდევ არსად აპირებს წასვლას:

„ჰო, მეაც ი'მ ჩიტს ვღგევარ,
მდუმარ ბაღში რო გალობს
გულამოგლეჯილ.
დაყრუებულ სოფელში
მეც ლექსით ვიკურნებ
გულამოფლეთილ.
ყურის მგდებელ გამწყდარ' თვარ...“

მისივე:

„რა ავადაჲ ქვეყანაჲ,
რა ავადაჲ ხალხ,
რა ავადაა სამზეოჲ,
დახვ-მოხვევი თალხ...“

ორსტრიქონიანი ემოციური ლირიკური ჩანახატი:

„გადამტკნარებულ ყაყაჩოებით
ცეცხლ მოხკიდები უფერო დღეებს“.
(„ლიტერატურული გაზეთი“, N13, 2020).

პოეტის საბოლოო სათქმელს მისსავე წერილიდან ამონარიდით დავასრულებ: „კორონაზე მძიმე ცხოვრებას ებრძოდნენ და იმარჯვებდნენ (გულისხმობს წინაპრებს — ზ.ც.), ჩვენც გავალთ ბოლოში“...

საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას შეწირული თუში პოეტი **ადამ ალვანელი (ბობღიაშვილი)** თავის ვრცელ ლექსში — „ჩემი მემკვიდრეობა“ — ცოცხალ სურათს გვთავაზობს იმ წარსულიდან, როცა შავი ჭირით სნეული თაობები (თუშების ისტორიას გულისხმობდა — ზ.ც.), სასიკვდილოდ განწირულები, თავიანთი ნებით წვებოდნენ აკლდამაში და „ძვლების გროვში ტანჯვით კვდებოდნენ“.

„...აქ იყო-მეთქი, ჭირით სნეული
აკლდამაში რომ თვითონ წვებოდა,
ცოცხლად აჩრდილად გადაქცეულ
ძვლების გროვაში
ტანჯვით კვდებოდა...
ბედს დასცინოდა შთენილი მარტოდ,
ოხვრა ეკიდა ნოტიო თაღებს...
მოჩანს კლდეებში აკლდამა ფართო
და მდუმარე კარს დუმილით ვაღებ
აი, შევდივარ წელში მოდრეკით,
ძვირფას სახსოვარს სიპზე ვალაგებ,
ვინ იცის, სად არ მოუკლავს ლეკი
ამ დაობებულ თითის ფალანგებს...
ო, განისვენეთ, მარად მდუმარი
მინის კედელი გეხუროთ შავად,
მე აქ მოვსულვარ, როგორც სტუმარი,
მემკვიდრეობის მოსაკითხავად...“

(„ჩემი მემკვიდრეობა“, 1939 წელი).

დღეს, როცა სამყარო შეაშფოთა ახალმა პანდემიამ, პოეზია კვლავ ასრულებს თავის ფუნქციას ნეგატიური განცდების დასათრგუნად, შინაგანი სიმტკიცის, სასიცოცხლო უნარის, სულიერი ჰარმონიის შესანარჩუნებლად. ახალი „ჟამი“, „კაცის მკვლელის“ (საბა) დასაძლევად, 2020-2021 წლების ქართულ სალიტერატურო პრესაში („ლიტერატურული გაზეთი“, „ლიტერატურული საქართველო“, „არილი“) ამ მხრივ ყურადღებას იქცევს თანამედროვე ქართველი პოეტების (ლია სტურუა, ბესიკ ხარანაული, ბათუ დანელია, ნიკა ჯორჯანელი, ნუგზარ ზაზანაშვილი, ნინო დარბაისელი, ეთერ თათარაიძე, ნომადი ბართაია, მანანა ქურდაძე, ვახტანგ ჯავახაძე, დოდო ჭუმბურიძე და სხვები) ახალი ლექსები, რომლებიც დასტურია იმისა, რომ „პანდემიამ თემები წარმოშვა“ (ბესიკ ხარანაული).

ყველაზე მძიმე ჩვენი საზოგადოებისათვის იყო 2020 წლის გაზაფხული, თავისგადასარჩენი მოწოდებით — „დარჩი შინ“ — როცა ოთხკედელში გამოკეტილი გაჰყურებ ქალაქის სივრცეს და ლამის ყურთან ჩაგესმის კორონების ზუნი.

ჩვენს მხცოვან პოეტს, პოეზიაში „ცრემლიანი სიცილის“ ოსტატს, **ვახტანგ ჯავახაძეს** იუმორისა და ნაცადი ირონიის (ამჯერად — ბედის ირონიის) ნაზავით უცდია ამ საყოველთაო განსაცდელის შემსუბუქება შვების და ღიმილისმომგვრელი ლექსით — „კორონავირუსი ანუ დაეტიე სახლში!“

„მინდა მუდამ ვიქართველო და
არასდროს ვირუსო,
რას გვერჩოდი,
ჩინეთიდან მოგ ზავნილო ვირუსო,
ვინ ვოლტერი გაიხსენა,
ვინ დიდრო და ვინ რუსო:
ვინც სახლში არ დაეტიოს,
წიხლი მოხვდეს ვირისო!

მე თუ მკითხავთ,
არ მაქვს ალტერნატივა,
ვინაიდან ნაღდი კანდიდატი ვარ“.
(„ლიტერატურული გაზეთი“, N9, 2020).

ამ დახშულობას, ჩაკეტილობის ჟამს **ლია სტურუას** ერთი ლექსი მოვიძიე (ტრანსპოეზიის ფესტივალი, 2020), რომელშიაც მწარე განცდაა იმისა, რომ დრომ ადამიანები ისე გააჩუმა, უკვე „დამიწებულს“ დაამსგავსა, არადა, ისევ ცოცხალი ხარ. ამიტომაც იტყვის მშვენიერ სატკივარს:

„რამდენი უპასუხობა,
რამდენი სართული თავზე,
საძირკველი გტკივა,
ჯერ მინა ხომ არა ხარ,
დუმილს მაინც სწავლობ.
გარედან ვინც გეხება,
ისინიც არ დააფრთხო.
ამაზე უარესია,
ფანჯრიდან რომ გაიხედავ
და ვერავის ეტყვი,
რა კარგი ამინდია!“

რეალური და ირეალური ერთმანეთში განზავებულა **ბათუ დანელიას** ლექსებში „მგზავრობა თვითიზოლაციისას“. ტექსტი პუნქტუაციის გარეშე იმ სულიერ ფორიაქს მიანიშნებს, რომელსაც პოეტი განიცდის ამჟამად, ლექსის წერის დროს და ზოგადადაც... ტრაგიკული ირონიის ნიშნით...

„სასტუმრო ოთახიდან
სამზარეულომდე
71 ნომერი ავტობუსით ვმგზავრობ
საძინებელ ოთახამდე — 37-თ
აბაზანამდე — 101-თ
ლოჯიამდე — 3 სამაშრუტოთი
აივნამდე — 34 სამაშრუტოთი
და უკანაც
იმავე ნომრებით ვბრუნდები
და ასეთ მგზავრობაში ვარ
მთელი დღის განმავლობაში
მგზავრობის გადასახდელიც
არ მაქვს
მხოლოდ კედლიდან
მეუღლის სურათი შემომჩივის
ფანჯრები გააღე თორემ
მანქანების გამონაბოლქვით
გაივსო ოთახები და
არ გაიგუდოო“.
(„ლიტერატურული გაზეთი“, N15, 2020).

→

დასასრული

არადა, ამ დროს მანქანები საერთოდ არ მოძრაობენ ქუჩაში. ყველაფერი მოჩვენებითია, ლანდური, ამიტომაც — ირონიული.

მურად მთვარელიძეს ამ გაჩერებულ დროში გამოსავლად უკან — ძველი, სევდანარევი გრძნობებისკენ გახედვა აურჩევია სიმშვიდისათვის:

„...იმ გასაოცარ, დათაფლულ წუთებს,
გულში უთქმელი ნაღველით ვადნობ,
აპრილის ღამეს ცრემლებით ვუთევ
და სიყვარულის აბზაცებს ვდარდობ!“
(„ლიტერატურული გაზეთი“, N10, 2020).

„მარტო არ დამტოვო ამ შუაღამეში, ამ ჟამიანობისთვის გამზადებულ ქალაქში“... **დოდო ჭუმბურიძის** ეს ვედრება უფალს მიემართება, ყოველთა მფარველს. რწმენის ამ ძალით ცდილობს ავტორი სულიერი სიმშვიდის შენარჩუნებას დაცარიელებულ, მდუმარე სივრცეში, ქალაქში — გუშინ რომ ყურისწამღებად ხმაურიანი იყო.

„...ცარიელი ქუჩები,
მოედნები, ბაზრები,
უდაბნოს დუმილი,
ძნელად გასაძლები,
შიშსა და ნაღველს უჩინრად მიასებს,
ფილტვი იხურება და გული ცივდება,
მრავალჯერ დაფლეთილი
მაინც რომ მჭირდება,
მარტო არ დამტოვო ამ ბნელში იესო!“
(„ლიტერატურული გაზეთი“, N20, 2020)

ნინო დარბაისელის „პრიმავერა“ („ლიტერატურული საქართველო“, N20, 2020) კორონავირუსის „რენესანსული“ სილამაზის წარმოსახვაა, ფორმა სრული და ფერადოვანი, მიმზიდველი და სიცოცხლით სავსე, მაგრამ ეს არ არის იმ შეგნებით ნათქვამი, „შიში რომ შეიქმს სიყვარულს“, არც „მოუარეთ ბატონებსა“ (მოსაფერებლად)... ეს სარკასტული მოფერებაა გაზაფხულივით ფერადოვანი ჯოჯოხეთისა:

„ო, პრიმავერა.
ო, კორონა.
თან კი რამდენი სიკვდილი მოგაქვს,
ხოლო მანამდე რამდენი შიში“.

ასე შემოდის პოეტურ ტექსტებში სრულიად არაპოეტური სიტყვები, რომლებიც შექმნილი დრამატული სიტუაციის ირონიული გამოხატვის ფუნქციას ასრულებენ: „კლასტერი“, „რისკ-ჯგუფი“, „კომენდანტის საათი“, „თერმოსკრინინგი“, „სიყვარული პანდემიაში“, „გამოტოვებული გაზაფხული“, „დატრენინგება“, „ხელების დაბანა“, „პირბადე“, „ვაქცინა“, „თვითიზოლაცია“.

სოფო წულაიას სამი ახალი ლექსი კორონავირუსზე („ლიტერატურული გაზეთი“ N13, 2020) „ჩვენი კლასტერი“, „სიყვარული ჟამიანობის დროს“ და „შიმშილი“ კიდევ უფრო მტკივნეულად გამოხატავს როგორც კონკრეტული პიროვნების, ასევე — ზოგად საფიქრალს, რომელიც გაამძაფრა ახალმა ჟამიანობამ. „ჩვენ ახლა ერთი კლასტერი ვართ“ — ასე იწყება ლექსი. ეს „ერთი კლასტერი“ ერთი ოჯახია: დედ-მამა და შვილი. მათთვის მხოლოდ საკუთარი ოჯახი და შვილი არაა განსაცდელი, რადგან „აიფონიდან ამოკენკილი ბოლო ამბებით“ უმძიმდებათ განწყობა (როგორც მთელ საქართველოს):

„...იტალიაში ბოლო მონაცემებით
25 000-ზე მეტი გარდაცვლილია
და ეს ციფრი
წამების ინტერვალით იცვლება;
დედაშენიც იტალიაშია,
დედაშენი რისკ-ჯგუფშია,
მაგრამ შენ 19 წლის შვილის ბედი
უფრო გაღელვებს,
ამერიკაში რომ დარჩა,
დღეში ერთხელ გვირეკავს და
ცდილობს, დაგვატრენინგოს.
— ხელები ხშირად დაიბანეთ!..“

ნიკა ჯორჯანელის ლექსები („ლიტერატურული გაზეთი“, „არილი“) კიდევ ერთი ცოცხალი წარმოსახვაა იმ მოულოდნელი ვითარებისა, რომელშიც ვცხოვრობდით: კომენდანტის საათი, როცა სიგარეტზე გასვლაც კი დანაშაულია, თუ გამოგიჭირეს, უნდა ამტკიცო, რომ ნამდვილად ახლა იყიდე სიგარეტი, აჩვენო, რომ ერთი ღერი აკლია შენს კოლოფს... მაგრამ ყველაფერი ამით არ მთავრდება. „ჩხრეკა“ გრძელდება და საინტერესო აღმოჩენაც სიურპრიზად ელოდება „მჩხრეკელს“ თუ მკითხველს:

„...მაგ დაჭმუჭნილ წითელ თოფრაში
რა გაქვს,
ასე საგულდაგულოდ რომ მალავ,
მთლად ნეკნებს უკან?
ეგ მაჩვენე.

ამ წითელ თოფრაში?
ამ წითელ თოფრაში
ტკივილი და რწმენაა...

...გულის ძირთან მაქვს
შეხორცებული ორივე...“
(„ლიტერატურული გაზეთი“, N11, 2021).

ნიკა ჯორჯანელის ლექსები (მთელი ციკლი) დაიბეჭდა ჟურნალ „არილში“ (N4, 2020).

მის სათქმელს გლობალური, საყოველთაო სატკივრის დამღა ატყვია. შეიძლება, კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე უფრო დიდი ტრაგედიები, პანდემიები დასტყდომია თავს, მაგრამ დღევანდელ საზოგადოებას ის უმძიმებს განსაცდელს, რომ ყოველი წუთის და წამის ინფორმაციებთან აქვს წვდომა: ვინ სად კვდება, როგორ, რა ვითარებაში, დიდია თუ პატარა. ამიტომაც შორს მიდის მგრძნობიარე ადამიანის ფიქრები. ასე უჩნდება პოეტს სურვილი, რომ ამოთქვას სიტყვა „ყველა მსხვერპლის პატივსაცემად“.

„...დაიწეროს ყველა მსხვერპლის
პატივსაცემად
ყველა დროის საუკეთესო ლექსი
მთვარეზე!
რომელიც მოჩანს ღრუბლებიდან,
როგორც ღამის საბრალო გული,
სამყაროსავით ფართო ინფარქტით
გადახლეჩილი“.
(„არილი“, N4, 2020).

ნიკა ჯორჯანელის ტექსტის გულისტკივილის საგანი ისიც გამხდარა, რომ ამ ჯოჯოხეთურ რეალობაში არსებობს არანაკლები გულსატკენიც — ბაზრის შესასვლელთან შავებიანი მოხუცი რომ დაიჩივლებს ადმინისტრაციის თანამშრომელთან:

„...შენ ის გაინტერესებს,
სიცხე მაქვს თუ არა,
და იმას რად არ მკითხავ,
ხუთი პურის და ერთი
თევზის საყიდელი თანხა
მაინც თუ მაქვს;
იმას რად არ მკითხავ,
მაქვს თუ არა საერთოდ რამე,
რაც შეიძლება უფალმა გამიმრავლოს,
რამე მაინც, შვილო,
სიცხის არქონის გარდა“.
(„თერმო სკრინინგი“,
„არილი“, N4, 2020).

საინტერესო სათქმელი აქვს **ნუგზარ ზაზანაშვილს** („ლიტერატურული გაზეთი“, N5, 2021) ლექსში „31.10.2020, შაბათი — არჩევნების დღე“:

„არ წავალ-მეთქი,
მაგრამ მაინც წავედი
ამ გაგანია კოვიდობის ჟამს:
სახე პლასტიკატის ფარით დავიცავი,
პირი — პირბადით
და გამოვცხადდი საარჩევნო უბანზე...“

1990-იანი წლებიდან არ გამოუტოვებია თურმე. რატომ? თავისსავე ამ კითხვას ირონიით და იმ სიმართლით უპასუხებს, რომელიც, ალბათ ბევრისთვის საცნაურია.

შინჩაკეტილ, „უჟამურობის ჟამით“ დათრგუნულ ყოფას იმედით ავსებს **მანანა ქურდაძის** უსათაურო ლექსი („ლიტერატურული გაზეთი“, N19, 2020), ამდენ ვერლიბრში (გამონაკლისების გარდა) ამუსიკებული — რითმით და რიტმით:

„უჟამურობის ჟამი,
ჟამიანობის რისხვა,
მუხის ხე დგას და არის
და რკოს ყოველთვის ისხამს.
გადაივლის და წავა...
ულიმიტოა ყოფა...
შველაა და აბჯარი,
ყიფლიბანდების ჯარი,
ჟამიანობის რისხვა.
უამურობის ჟამი,
გადაივლის და წავა...“

ასეთივე იმედის მშვენიერ ეიფორიაშია შინგამოკეტილი **ნომადი ბართაია**, როგორ შველის თურმე ადამიანს პოეტური წარმოსახვის უნარი, რომელიც გათქმევინებს:

„თანდათან წყდება წელში
მარტი,
თუ დამიჯერებთ,
ხმაც მესმის წვდომის,
საცაა მოვა აპრილიც ახლა,
ვიღაცას კიდეც უნახავს, მგონი“.
(„ლიტერატურული საქართველო“,
11 IX, 2020).

ასეა, როცა გამოკეტილი, თუნდაც შენს საყვარელ სახლში, განსაკუთრებულად ფრთხილობ, მით უმეტეს, ბატონი ვახტანგ ჯავახაძის არ იყოს, თუ „რისკ-ჯგუფში“ ხარ... რა დაგრჩენია? — მოთმინებით უნდა იჯდე „შენი ნიჟარის ქარიშხალში“ და იქიდან ეფერო სამყაროს და გაზაფხულს, რომელიც ვერ ნახე 2020 წელს:

„რა პატარა ყოფილა მოსაფერებლად
მთელი სამყარო...
რა ახლოს ყოფილა სხვისი ჭირი...
რამხელა ბედნიერება გვქონია:
გულში ჩახუტების უფლება...
„ფრთხილად!“
(ხილული თუ უხილავი შეგონება)...
და ზიხარ ახლა
შენი ნიჟარის ქარიშხალში
და ფიქრობ:
ისევ ისეთი ლამაზი იყო
გამოტოვებული გაზაფხული?!“
(**ზოია ცხადაია**,
„ლიტერატურული გაზეთი“,
N21, 2021).

შინ ჩაკეტვიდან ერთი წლის შემდეგ საერთო მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა, მაგრამ მაინც „თავისუფლებაში გასულის“ სიხარულს გამოხატავს **ზურაბ ლობჟანიძის** ლექსი („ლიტერატურული გაზეთი“, N19, 2021):

„ყლურტულებენ ჩიტები
რა საყვარლად,
რა ტკბილად...
რა კორონა,
რა ვირუსი,
რა ჭირი და ბაცილა...
ჩამომძახეს —
თქვენმა შიშმა
ოხ, რამდენი გვაცინა...
მზე გაცოცხლდა,
გაზაფხულდა,
უკვდავების ვაქცინა...“

ბესიკ ხარანაულისთვის ძალზე ნაყოფიერი გამოდგა ეგრეთ წოდებული იზოლაციის პერიოდი, იმდენად უხვია, იმდენად საინტერესო, რომ ის უკვე ცალკე მსჯელობას ითხოვს. თავისი დიდებული „არტგომურიდან“ გაჰყურებს შეცბუნებულ, შეშინებულ სამყაროს და „სიკვდილს აშინებს“. „ვარ იზოლაციაში, ვსარგებლობ ბოროტად და ვწერ და ვწერ... სრულიად პანდემიამ თემები წარმოშვა, იმასთან ახლო ვყოფილვარ. ეტყობა, ბევრი რამე შეიცვალა. რაღაც ხომ უნდა შეიცვალოს. ყოველ დილას ვიღვიძებ და ვფიქრობ, რაც ხდებოდა, ძალიან ორგანული იყო... დიახ, „სიკვდილს აშინებს“, „სიკვდილს დასცინის“ პანდემიის დროს ნათქვამი „სიმღერებით“: „ეჰ, ბესარიონ, შენზე იმღერე, ყველასთვის გამოვა“...

„სიყვარული პანდემიაში“ ჭირში მყოფი კაცის სალაღობოა, ამჯერად კონვენციური ფორმით:

„ზამთრის პირია,
ქარი ფანჯრებს ფანტელს მიაშლის,

რა შეძლოს კაცმა
შეუძლებელ პანდემიაში?

გარეთ ვერ გადის,
ფიქრები რომ აფრთხოს ნიავში,
შინაც არ უნდა,
ყველაფერიც არევია შინ —

...დაივიწყებდა
კაცი თავსაც,
წიგნს იღლიაში,
თუკი შეძლებდა
სიყვარულსაც პანდემიაში...

...იტყოდა — იყოს პანდემია,
რა მიშავდება,
დაბმული ძაღლი
ჯაჭვისაგან უფრო ავდება!“
(„ლიტერატურული გაზეთი“,
N2, 2021).

„რისხვის ვირუსი“ („ლიტერატურული გაზეთი“, N2, 2021) ვრცელი ტექსტია, რომელშიაც საყურადღებოა პოეტის მინიშნება, რომ

„მოთქმით გალობა“ და
„სიმღერით ტირილი“ სინონიმებია,
რომელიმე ყელში თუ წამიჭერს,
ნება დამრთეთ, სახე აგარიდოთ...“

კრიტიკულია ლექსის პათოსი და ეს ქართულ საზოგადოებას მიემართება, „წაკიდებულ მამლებივით“ რომ ძიძგილაობენ:

„...სერზე კი
მელასავით დაყურსული ოკუპანტია.

ყოველნო ქართველნო!
ეს ის დროა,
როცა ვეფხვის ტყავივით
ქართულ რუკას
ურუმებმა კალთა წაკბიჩეს“.

„ლიტერატურულ გაზეთში“ (N22, 2020) დაიბეჭდა **დავიდ ტოსკანას** „პანდემია და აღორძინება“ (მთარგმნელი ლანა კალანდია), რომელიც სწორედ ამ უჩვეულო და მძიმე დროისთვის არის ნათქვამი: „ლიტერატურას, წიგნს, კითხვას ცოლქმრული ფიცი უნდა დავუდოთ, რომ ვუერთგულებთ ჯანმრთელობასა და სნეულებაში, ჭირსა და ლხინში, კეთილდღეობასა და გაჭირვებაში, პანდემიის ჟამს თუ მის გარეშე... ლიტერატურის კლასიკა ითხოვს ყველაზე ძვირფასს, რაც კი გვაქვს — დროს... ცხოვრება დროა... პანდემიამ ბევრს მოუსწრაფა დრო, მაგრამ, ცხადია, თქვენ თუ ამ სტრიქონებს კითხულობთ, ესე იგი, ამქვეყნად ხართ. რა ვუყოთ დარჩენილ დროს?.. ვირუსმა სხვა აზრი უნდა შესძინოს ჩვენს არსებობას, უფრო მეტად უნდა გავაცნობიეროთ, რომ მოკვდავნი ვართ, რადგან სიკვდილია ის, რაც ცხოვრების აზრს გვაპოვნინებს და წამიერებას დაგვაფასებინებს“... შემდეგ ავტორი იხსენებს დოსტოევსკის მაგალითს. სიკვდილით დასჯა ციმბირში ექვსწლიანი გადასახლებით რომ შეუცვალეს... მანამ დრო არ დაუკარგავს და უამრავი შედევრი შექმნაო... შეიძლება ვთქვათ, ჩვენს რეალობაში დრო დაფასდა. შედევრები თუ ვერ შევქმენით, „პანდემიამ რაღაცები გვასწავლა“ (ბესიკ ხარანაული).

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004